# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

№ 84 (5685)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


◉ განუკითხაობა გრიგოლეთში

## ძმაო, დითა ხარ ძლიერი!



4

„ვარდებით“, დემოკრატიულობისა და სამართლიანობის უცილობელი დაცვის დაპირებებით მოსული ხელისუფლების დღევანდელი სახეცვლილება ნებისმიერ ეჭვს საზოგადოების თვალში სინამდვილის ელფერს აძლევს

◉ ბენდუქიძეს დაიკომ მიწა აჩუქა

◉ მართლა ვანო მერაბიშვილმა შეიხვილიფა ნუგზარ შევარდნაძისთვის ჩამორთმეული ნაკვეთი?

◉ რადიკალური ოპოზიცია

## სამგლეთში შეტანილი ცხვრების საჩივარი...

ბოკერია ციხეში დახვრეტებს ხელმძღვანელობდაო 2

◉ მორალი

## სამართლიანობის ბრძოლა 5 აღმაშენებელში, კაიკუნებსა და...

◉ აქტუალური თემა

## ოპოზიცია მაინც კმაყოფილია 2

РОСБАЛТ 10

## საქართველო თავდაცვისთვის განკუთვნილ ხარჯებს ერთიორად ზრდის



## რას ფიქრობს ხალხი?

რა დავაშავეთ ისეთი, რომ მშობლების ბინაში მთავრობას ფული უნდა გადავუხადოთ, რატომ გვექცევა ხელისუფლება ასე სასტიკად? ყოველთვის უცხოეთის მაგალითი რომ მოჰყავთ, რატომ იმას არ ითვალისწინებენ, იქ რა შემოსავალი აქვს უბრალო ხალხს?




7

**● უმრავლესობის წევრის რატი სამყურაშვილის ინიციატივით, თუ პარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სამპროცენტიან ბარიერს გადალახავს, საპარლამენტო არჩევნებში კი — ოთხპროცენტიანს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. საწყისი თანხა 150 ათასი ლარია.**



◎ აქტუალური თემა

# ოპოზიცია მაინც კმაყოფილია

**უმრავლესობის წევრის რატი სამყურაშვილის ინიციატივით, თუ პარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სამპროცენტიან ბარიერს გადალახავს, საპარლამენტო არჩევნებში კი — ოთხპროცენტიანს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. საწყისი თანხა 150 ათასი ლარია. პარტიათა დაფინანსების ეს ახალი წესი, რასაც პარლამენტის იურიდიული კომიტეტი პირველი მოსმენით განიხილავდა, უმრავლესობასაც მოსწონს და ოპოზიციასაც.**

სადავო მხოლოდ კანონის ამოქმედების დროა. ოპოზიცია მოითხოვს, რომ კანონი რაც შეიძლება სწრაფად ამოქმედდეს — ბოლო ვადა 2007 წლის 1 სექტემბერი იყოსო. უმრავლესობა კი კანონის ამოქმედებას 2008 წლის 1 იანვრიდან ვარაუდობს. თუმცა, მრეწველთა ლიდერი ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი ამ შემთხვევაში ოპოზიციის მოთხოვნას უჭერს მხარს.



**„პრეზიდენტმა ბრძანა, მეგონა, თქვენ ამ გაზრდილ დაფინანსებას უკვე ლებულობთო. პირობა მოგვცა, როცა ბიუჯეტში ცვლილებები შევა, ეს საკითხი გათვალისწინებული იქნებაო“,** — აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ პარტიების დაფინანსების გამო შეთანხმების მიღწევა დიდი ხნის მანძილზე ვერ ხერხდებოდა. ამ თემაზე პარლამენტში მწვავე დებატები მრავალჯერ გაიმართა. დისკუსიაში საერთაშორისო ექსპერტებიც ჩაერთვნენ. მათი დახმარებით, დაახლოებით ორი თვის წინათ, კონსენსუსს მიაღწიეს — შეთანხმებას უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის ხელი სტრასბურგში მოეწერა.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი საბაზისო თანხის გაზრდასაც ითვალისწინებს. ეს ხმების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ეს ცვლილებები სწორედ ოპოზიციისთვის არის განსაკუთრებით ხელსაყრელი. აქამდე, გამოყოფილი თანხიდან 75 პროცენტი უმრავლესობას ეკუთვნოდა, დანარჩენი 25 პროცენტი კი ყველა პარტიაზე ნაწილდებოდა. უმრავლესობის ინიციატივის მთავარი მიზეზი კობა დავითაშვილთან დაკავშირებული ინციდენტი გახდა. სწორედ ამის შემდეგ იფიქრა მმართველმა პარტიამ ოპოზიციის დაფინანსების გაზრდაზე.

ოპოზიცია აღნიშნავს, რომ ახალი კანონითაც უმრავლესობა მთლიანი თანხის ნახევარზე მეტს მიიღებს, თუმცა „ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე 75 პროცენტის მიკუთვნება. სახელისუფლო პარტიას სხვა უამრავი რუსურსიც აქვს. იქნება ეს ტენდერები და ა. შ.“, — თქვა დავით ბერძენიშვილმა.

როგორც აღვნიშნე, ერთადერთი, რასაც არ ეთანხმება ოპოზიცია, კანონპროექტის ის მუხლია, რომლის მიხედვითაც, ეს კანონი ძალაში 2008 წლის 1 იანვრიდან უნდა შევიდეს. ჯერჯერობით უმრავლესობა აცხადებს, რომ ოპოზიცია დაფინანსებას სწორედ მომავალი წლის 1 იანვრიდან მიიღებს.

**მზია ხურცილავა**

◎ რადიკალური ოპოზიცია

# სამგლეთში შეტანილი ცხვრების საჩივარი...

## ბოკერია ციხეში დახვრეტებს ხელმძღვანელობდაო

**ბოლო დროს, საზოგადოებრიობა გახშირებულმა დანაშაულებებმა, კერძოდ, მკვლელობებმა ძალზე შეაშფოთა. ლამის ყოველდღე, სულ ცოტა, ორი-სამი მკვლელობა მაინც ხდება. ღმერთმა უწყის, ყოველდღიურად რამდენი ოჯახი უბედურდება, რამდენი ჭირისუფალი ითხოვს მიჩუმათებული დანაშაულის გახსნას, მაგრამ გადის დრო და თაროებზე შემოწყობილ საქმეებს მტვერი ედება. ხალხი კი სამართალს ითხოვს, მაგრამ სად არის სამართალი?..**

წინა ხელისუფლების დროს მომხდარი გაუხსნელი დანაშაულობები ამჟამინდელ ხელისუფლებას „ვალად“ დაედო, მაგრამ ეს საქმეები ადგილიდანაც არ დაძრულა. არადა, ხელისუფლებაში მოსვლამდე მათი დაპირებები სხვაგვარი იყო...

დვალიშვილის, საჯაიას, ასათიანის, სანაიას, ქვანიას, გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის მკვლელობები... ჩამოთვლილ საქმეებში მართლაც იმდენი უზუსტობა და შეუსაბამობაა, რომ, ცხადია, საზოგადოებრიობაში ეჭვები ჩნდება. ზოგიერთი გამოუძიებელი საქმე ბურუსითაა მოცული და დღემდე ტაბუ ადევს. მართალია, „ვითომ მკვლელები“ ციხეში სხედან, მაგრამ არიან კი ისინი მკვლელები?

ამ გახმაურებული მკვლელობების საკითხს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი გამოეხმაურა და პრესკონფერენცია გამართა.



„ალბათ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ გახმაურებული მკვლელობები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშია დაგეგმილი და ორგანიზებული. ჩვენი პრეზიდენტი ერთადერთი პოლიტიკოსია მსოფლიოში, სამართალდამცავ ორგანოებს ეჭვიტანილთა ადგილზე ლიკვიდაციისკენ რომ მოუწოდებს. ამდენად, ამ სისტემაში სარჩელის შეტანა იგივეა, ცხვრებმა საჩივარი სამგლეთში რომ შეიტანონ. ჩვენ თხოვნით მივმართავთ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, რომ სამართალწარმოება დაიწყონ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წინააღმდეგ არა მარტო ბოლო დროს მომხდარი მკვლელობების გამო, არამედ იმ მკვლელობებზეც, რაც პოლიტიკურ-ბიზნეს ხასიათისაა და ათეული წლის წინათ არის ჩადენილი. საჭიროა სერიოზული პრევენციული მუშაობა, რათა შეწყვიტონ მკვლელობები და დაიკითხონ სასამართლოში სააკაშვილი, მერაბიშვილი და ბოკერია, რომელიც ციხეში დახვრეტას ხელმძღვანელობდა“, — განაცხადა მან.

ადამიანები მავანთა პოლიტიკურ თუ ბიზნეს ინტერესებს ისე ეწირებიან, რომ ამაზე პასუხს არავინ აგებს, ამიტომ ხელისუფლება კარგავს საზოგადოებრიობის ნდობას.

როდემდე უნდა ვეხვეწოთ და ვემუდაროთ უცხოელებს, რომ გაუხსნელი საქმეები გამოიძიონ? როდემდე უნდა ვიყოთ სხვაზე დამოკიდებული? ნუთუ სიმართლე ასე ძნელი დასადგენია? ნუთუ ასე დაუსრულებლად უნდა შევეწიროთ მავანთა ინტერესებს? ფაქტია, რომ უკმაყოფილება თანდათან მატულობს და საზოგადოებრიობის მოთმინების ფიალაც ივსება...

**მაია ხორგუაშვილი**

◎ ფაქტი

# აფხაზეთში ცხოვრება გაუმჯობესდა?!

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. მთავრობის თავმჯდომარემ ალექსანდრე ანქვაბმა, აფხაზეთში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ კომიტეტის ხელმძღვანელთან „2007 წელს ურთიერთგაგების მემორანდუმი“ გააფორმა. შეხვედრაში, აფხაზური მხარის ინფორმაციით, აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია მონაწილეობდა.**

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი საერთაშორისო „წითელი ჯვარი“ მნიშვნელოვნად ამცირებს აფხაზეთში განსახორციელებელ პროგრამებს.

— მემორანდუმის მთავარი მიზანია ამ პროგრამათა შეკვეცის, ერთგვარ გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის დაუცველი ფენის არც ერთი წარმომადგენელი ყურადღების მიღმა არ დარჩეს, — განაცხადა შეხვედრის დასასრულს საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ მისიის ხელმძღვანელმა და დასძინა, — „ის ფაქტი, რომ საერთაშორისო „წითელი ჯვარი“ აფხაზეთში პროგრამებს წყვეტს, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში ცხოვრება გაუმჯობესდა“.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ თარიღი

# 9 მაისი ერთად აღვნიშნოთ

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობა ფაშიზმზე გამარჯვების დღის, 9 მაისის კონფლიქტის ზონაში ყოველგვარი კონფრონტაციების გარეშე აღნიშვნის ინიციატივით გამოდის.**

9 მაისს, ალტერნატიული მთავრობის მიწვევით, კონფლიქტის ზონაში, ცნობილი ქართველი მომღერალი და მსახიობი ვახტანგ კიკაბიძე კონცერტს გამართავს. ალტერნატიული მთავრობა კონცერტზე ეპატიჟება უკლებლივ ყველას — მათ შორის, პოლიტიკურ ოპონენტებსაც.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ომარ ხუბაევმა ტელეკომპანია „ალანიის“ სატელევიზიო ეთერში გამოსვლისას განაცხადა, რომ 9 მაისს სამხრეთ ოსეთში ყველა ერთად აღნიშნავს.

— ეს ჩვენი, ჩვენი მამებისა და ბაბუების ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. ვამაყობ, რომ გმირი ოსი ხალხი გმირულად იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე. საბჭოთა კავშირის გმირის ორდენი 33 ოსს მიენიჭა. პროცენტული თანაფარდობით, ოსმა ერმა მეორე მსოფლიო ომს ყველაზე მეტი გმირი გაუზარდა, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ალტერნატიულ მთავრობას დიდი იმედი აქვს, რომ კონფლიქტის ზონაში ეს ერთი დღე მაინც ჩაივლის დაპირისპირებისა და კონფრონტაციის გარეშე.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ბავშვთა უფლებებისათვის

# კოკოითმა ყმაწვილები თბილისისკენ არ გამოუშვა

**გუშინ ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციამ „მეგობრობის ხიდი — ქართლოსმა“ ბავშვთა უფლებების დარღვევის თაობაზე აქცია გამართა.**

29 აპრილს თბილისის მერის გიგი უგულავას ინიციატივით, ლიახვის ხეობაში მდებარე სოფელ ქურთადან ბავშვები გასართობად თბილისში უნდა ჩამოეყვანათ, მაგრამ ისინი ცხინვალზე არ გამოატარეს.

**„სამწუხაროდ, მხოლოდ კოკოითი როდი არღვევს ბავშვთა უფლებებს. ჩვენი აქციის მიზანია, რომ ბავშვთა უფლებები ყოველთვის იყოს დაცული და ისინი არავინ გამოიყენოს თავისი მიზნებისთვის. ასეთი რამ თუ კიდევ გამეორდა, აქციებს უკვე რეგიონებში გავმართავთ“,** — თქვა ზემოხსენებული ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნათია არჩვაძემ.

**„უფრო ხშირად შერეული ოჯახების ბავშვთა უფლებები ირღვევა. ანუ, მამა — ოსი, დედა — ქართველი, ან — პირიქით. ყველა ბავშვს აქვს გადაადგილების და გართობის უფლება, ამიტომ მივმართავთ ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტებს ვ. სანაკოევსა და ე. კოკოითს, რომ არ გამოიყენონ ბავშვები პოლიტიკური მიზნებისათვის და გამართონ ერთობლივი აქციები, რაც ხელს შეუწყობს ერთა შორის დიალოგის განვითარებას“,** — განაცხადა ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მეგი ბიბილურმა.



აქციაზე თბილისის მე-4 საჯარო სკოლის ბავშვებიც მივიდნენ, რომელთაც პლაკატები ეჭირათ ხელში წარწერებით: **„პოლიტიკა ბავშვების გარეშე!“ — „შეწყდეს ბავშვების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება!“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა!“ „ნუ წაავართმევთ ბედნიერ ღიმილს ბავშვებს!“**

წესითა და რიგით, აქციაზე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც უნდა მისულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ალბათ ბავშვთა უფლებების დაცვაზე მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდათ მოსაგვარებელი.

**„შემუშავდა სპეციალური მიმართვა. ეს ყველა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციას გაეგზავნება, რათა ყოველთვის დროული რეაგირება მოახდინონ ასეთი უმსგავსობაზე!“** — ითქვა აქციაზე.

**სოფიო გოგლიძე**

№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

**„რჩება შთაბეჭდილება“, რომ ვიღაცა შეგნებულად ბლოკავს ამ ყველაფერს, ან ხელისუფლებას რაღაც საქმეები აქვს ბოლომდე მისაყვანი, ანუ ჩამოსართმევი აქვს მავანთათვის ქონება და ყველაფერი უნდა გაგრძელდეს ისევე, როგორც იყო ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში“**



◎ კანონმდებლები

# უკანონო ქონების კეთილსინდისიერი მყიდველი არ დაისჯება

## როდის და როგორი იქნება კანონი საკუთრების შესახებ?

*საკუთრების უფლების შესახებ კანონში მთავრობას ბოლო შესწორებები შეაქვს. უახლოეს დღეებში ამ მნიშვნელოვან კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს. ცნობილია რამდენიმე მთავარი პუნქტი: ამნისტირება 15 წლის განმავლობაში მომხდარი პრივატიზაციის ყველა საქმეს შეეხება. ბინების, სახელმწიფო საკუთრების და ნივთების მეპატრონეებს, თუნდაც უკანონოდ ფლობდნენ მათ, ახალი კანონი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, მაგრამ ეს მხოლოდ მეწარმეებს ეხებათ. ამნისტია ჩინოვნიკებზე არ გავრცელდება. კანონი ყველაზე მკაცრი იმ ყოფილი და ახლანდელი თანამდებობის პირების მიმართ იქნება, რომლებმაც ქონება ხელში თავის სტატუსის გამოისობით ჩაიგდეს. ამნისტია არც იმ ჩინოვნიკეებზე გავრცელდება, ვინც უკანონო ქონების დასაკუთრებაში მესაკუთრისგან ქრთამი აიღო. თავის დროზე უკანონოდ შეძენილი ქონება, თუ იგი ამჟამად კეთილსინდისიერი მყიდველის ხელშია, მისივე დარჩება.*

საკუთრების შესახებ კანონპროექტის პარლამენტში შემოტანას ინტერფრაქციული ჯგუფი სამი თვეა ელოდება. ამ დღეებში მისი განხილვა დაიწყება. მანამდე კი უმრავლესობამ პარლამენტის თავმჯდომარესთან შიდა კონსულტაციებზე, რასაც გენერალური პროკურორის მოადგილე ნიკა გვარამია და სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძეც ესწრებოდნენ, ყველა დეტალი კიდევ ერთხელ შეაჯერა. ოპოზიციას ეეჭვება, რატომ დასჭირდა ამ კანონის შემუშავებას სამი თვე, როცა მასზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო. **„დაახლოებით სამი თვეა, რაც ინტერფრაქციული ჯგუფი მუშაობს და დაახლოებით, ამდენივე ხანია, რაც კანონპროექტს ველოდებით. ის, რომ ეს დოკუმენტი მხოლოდ ახლა შემოიტანეს, ალძრავს ეჭვს, რომ შესაძლოა, ისეთი არ იყოს, როგორსაც საზოგადოებრიობა ელოდება“,** – მიაჩნია მრეწველების ერთ-ერთ ლიდერს გია ცაგარეიშვილს.

კონსერვატორების განმარტებით, შენიშვნები კანონის ყოვლისმომცველობას გულისხმობს: ის არ უნდა იძლეოდეს მესაკუთრეებზე ამა თუ იმ ფორმით ზეწოლის საშუალებას.

მემარჯვენეებს კანონპროექტის პირველი ვარიანტის მიმართ ძალზე ბევრი შენიშვნა ჰქონდათ. **„იმის გამო, რომ ის შავი ვარიანტი იყო, დაკონკრეტებას აღარ გამოვეკიდეთ. უმრავლესობამ შიდა კონსულტაციების გამართვა ითხოვა. ასეთი კონსულტაციები მათ ამ დღეებში გამართეს კიდეც. სავარაუდოდ, ორ-სამ დღეში წარმოადგენენ ჩამოყალიბებულ ვარიანტს ინტერფრაქციულ ჯგუფში“,** – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

შეგახსენებთ, რომ მემარჯვენეები კატეგორიულად მოითხოვდნენ, ალმასრულებელმა ხელისუფლებამ მესაკუთრის უფლების შესახებ კანონპროექტი პარლამენტში დროზე შემოიტანოსო. დავით გამყრელიძემ ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, „რჩება შთაბეჭდილება“, რომ ვიღაცა შეგნებულად ბლოკავს ამ ყველაფერს, ან ხელისუფლებას რაღაც საქმეები აქვს ბოლომდე მისაყვანი, ანუ ჩამოსართმევი აქვს მავანთათვის ქონება და ყველაფერი უნდა გაგრძელდეს ისევე, როგორც იყო ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში“. ნინო ბურჯანაძემ მაშინ მიუგო, რომ პროცესი ძნელად მიდის, მაგრამ საკითხის ხელოვნურად გაწელვის არანაირი საფუძველი არ არისო. **„ხელისუფლების ამოცანაა მივიღოთ ისეთი კანონი, რაც მართლაც ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებს ამ თემაზე მსჯელობის შესაძლებლობასაც კი“,** – დასძინა მან.

**მზია გელენავა**



◎ შეხვედრა

# „საქართველოს ცის ქვეშ ვედერი ოსი ხალხის შვილი“

## ქართველები და ოსები: გუშინ, დღეს, ხვალ

**იმ ცნობილი მოვლენების შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში რომ დატრიალდა, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა სწავლის პროცესი. უმაღლესი სასწავლებელი დროებით გორში განთავსდა და დღემდე იქ განაგრძობს ოსი და ქართველი ახალგაზრდების მაღალი ჰუმანური პრინციპებით სწავლებისა და აღზრდის საქმეს.**




გუშინ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამორჩეული დღე იყო. აქ გამართულ სამეცნიერო და ლიტერატურულ-მხატვრულ ღონისძიებას თემაზე: „ქართველი და ოსი ხალხები: გუშინ, დღეს, ხვალ“, დაესწრო ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ალტერნატიული პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი.

გაიმართა ხანგრძლივი საუბარი ქართველი და ოსი ხალხების წარსულზე, მათს ერთიან ისტორიაზე, 90-იან წლებში ცხინვალში ექსტრემიზმის ტალღის აგორებაზე და იმ ტრაგედიაზე, თავს რომ დაატყდა მათ. ახლა ორივე ხალხი ჭრილობებს იშუშებს და რომ არა გარეშე ძალებისგან შეგულიანებული ცხინვალელი სეპარატისტები, ჭრილობები მოშუშებული და კონფლიქტიც მოგვარებული იქნებოდა.

**– ამიტომაც,** – თქვა სანაკოევმა, – **დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი ხალხების ნებას, კვლავაც იცხოვრონ და იშრომონ საქართველოს ერთიან სახელმწიფოში, როგორც რევაზ ასაევი ამბობდა: „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი ოსი ხალხის შვილი“.**

მან უნივერსიტეტის სტუდენტებს უამბო, თუ რა მასშტაბური მშენებლობები მიმდინარეობს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, ცხინვალის რეგიონში.

სტუდენტების მიერ წარმოდგენილმა ლიტერატურულმა მონტაჟმა არავინ დატოვა აუღელვებელი და გულგრილი. მღეროდნენ, კითხულობდნენ ორი ხალხის ძმობის სადიდებელ ლექსებს. შემდეგ დიდ ეკრანზე ახალგაზრდების სახეები გამოჩნდა და დარბაზი სევდიანმა განწყობამ მოიცვა. ლამაზი, ახოვანი ოსი და ქართველი ჭაბუკები შემოგვცქეროდნენ ეკრანიდან, მათი სიცოცხლე ასე ულმობლად რომ შეიწირა უაზრო ომმა. მალხაზ დათაშვილი და გრიგოლ სანაკოევი, მერაბ ბორცვაძე და ოლეგ ოსტაევი, გია ხუბაევი და მურად ჯიოევი, უშანგი ცოტნიაშვილი და ინალ თასოევი, ბიძინა და ზურაბ ხაბარელები და ოლეგ და მურატ ჯიოევები და მრავალი, მრავალი სხვა...

**– ერთმანეთს შევეხიდებით და შევეკვრებით, რომ ასეთ რამ მომავალში აღარ განმეორდეს!** – გამოაცხადეს ოსმა და ქართველმა ახალგაზრდებმა, – **რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!**

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა პროფესორმა ზაზა ცოტნიაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმარს უნივერსიტეტში მოსვლისთვის, გადასცა მას ცხინვალელ მეცნიერთა მიერ გამოცემული წიგნები, რომლებშიც განხილულია ქართველი და ოსი ხალხების ერთობლივი ისტორიის საკვანძო საკითხები.

დიმიტრი სანაკოევმა წიგნები მადლობით მიიღო და აღუთქვა უნივერსიტეტელებს, რომ ალტერნატიული ხელისუფლება ყველაფერს ილონებს, რათა მათ გაუადვილოს სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის პირობები. ამასთან, პასუხი გასცა დამსწრეთა შეკითხვებს. „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის შეკითხვას: **„როგორ ფიქრობთ, უნივერსიტეტის დღევანდელი პირველკურსელი თავის დროზე დიპლომს ცხინვალში მიიღებს?“** მან გადაწყვეტილად უპასუხა: **„დიახ, ცხინვალში მიიღებს!“**

**გურამ ვაშაკიძე**

◎ ინფორმაცია

## აქცია ვაკის პოლიციასთან

**ვაკის პოლიციის განყოფილების წინ „არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის“ ხელმძღვანელებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს.**

**როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლეილა გაფრინდაშვილმა განაცხადა, მას სამი დღეა, ვაკის რაიონის პოლიციიდან ურეკავენ და ვაკის პარკში მდებარე ოფისის დაცლას სთხოვენ.**

**როგორც ლეილა გაფრინდაშვილი აცხადებს, ოფისი, რომელშიც „არასამთავრობოთა კოალიციაა“ განთავსებული, კერძო პირზეა გაფორმებული, თუმცა ვაკის რაიონის პოლიცია და მერია მათ ფართის დატოვებას სთხოვს.**

**„არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი დავით ლილუაშვილი მიიჩნევს, რომ მათ წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა დაიწყო, რადგან ყველა საპროტესტო აქციაზე ორგანიზაცია მწვავე პოზიციას აფიქსირებს.**

**აქციაზე იმყოფებოდა პარლამენტარი კახა კუკავა. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ იმ გუშინდელ ოფისში დაფუძნდა, რომელსაც დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებს ედავებიან.**

**კუკავას განცხადებით, ხელისუფლებამ იმ ხალხის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, ვისაც მათი ხელისუფლებაში მოყვანაში დიდი როლი მიუძღვის.**

## იყიდიან სომხები ჩვენს ღვინოს?

**საქართველოს სომხეთში ღვინის ექსპორტის მოცულობის გაზრდა სურს. ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა ჟურნალისტებს ერევანში განუცხადა.**

**მან აღნიშნა, რომ ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობა სომხეთში პროცენტულად დაბალია, მაგრამ არსებობს მისი გაზრდის პოტენციალი.**

**– რუსული ემბარგოს შემდეგ, საქართველომ გაზარდა ექსპორტის მოცულობა სხვა ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, – განაცხადა ბეგიაშვილმა.**



**პარლამენტის აგრარული კომიტეტის წევრის მურმან ქურიძის განცხადებით, რომელიც ასევე იმყოფება ერევანში, ქართული მხარე აპირებს, სომხეთში მშრალი ღვინოების ექსპორტი გაზარდოს, რადგან ამ პროდუქციაზე მოთხოვნა არსებობს.**

**ამასთან, ქურიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ბაზარზე სომხური კონიაკი ფართოდ არის წარმოდგენილი.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

● „ვარდებით“, დემოკრატიულობისა და სამართლიანობის უცილობელი დაცვის დაპირებებით მოსული ხელისუფლების დღევანდელი თავნებობა ნებისმიერ ეჭვს საზოგადოების თვალში სინამდვილის ელფერს აძლევს



◎ განუკითხაობა გრიგოლეთში

# ძმაო, დითა ხარ ძლიერი!

*დღეს საზოგადოება, ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები აშკარად ამჩნევენ, თუ როგორ ხდება იმ დაპირებების ყოველ ნაბიჯზე იგნორირება, რასაც „ვარდებით“ მოსული ხელისუფლება არჩევნებამდე აძლევდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, სრულიად საქართველოს. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა ხელისუფლება წარმატებით ჩაენაცვლა წინამდებარეს როგორც ქონებრივ, ასევე სხვა პარამეტრებში. ყბადაღებული სამართლიანობა და კანონის წინაშე თანასწორობა მორიგი სატყუარა აღმოჩნდა.*

## ◎ ბენდუქიძეს და მიწას ჩუქნის
## ◎ მართლა ვანო მერაბიშვილმა შეიხვილითა ნუგზარ შევარდნაძისთვის ჩამორთმეული ნაკვეთი?

### მოსვლამდე

**პრეზიდენტად არჩევამდე მიხეილ სააკაშვილი გურიას სტუმრობდა. გრიგოლეთში ჩასულს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კორუმპირებულობითა და უყურადღებობით აღშფოთებულმა მოსახლეობამ „ნაციონალების“ ლიდერს დახმარება სთხოვა.**

ადგილობრივები უკმაყოფილონი იყვნენ გრიგოლეთის საზღვაო ზოლის მიზერულ ფასად გაყიდვით, რის შედეგადაც პლაჟებს თავი რომ დავანებოთ, მათ ზღვაზე გასვლის საშუალებაც კი წაერთვათ, მიწის ყოველი გოჯი გაყიდული იყო . მიწის მფლობელები კი უმეტეს შემთხვევაში თბილისელი და ადგილობრივი მაღალჩინოსნები იყვნენ.

პრეზიდენტობის კანდი-



დატს მოსახლეობამ ისიც აუხსნა, რომ გრიგოლეთის უნიკალური ტყის მასივს განადგურება ემუქრება. საჭიროა პლაჟის უნიკალური ქვიშის, რომელიც მაგნეტიტს შეიცავს, ქვეყნის და არა გამდიდრებული ჩინოვნიკების სასარგებლოდ გამოყენებაო. სააკაშვილმა და მისმა თანმხლებებმა ადგილობრივებს დახმარება აღუთქვეს, არჩევნებში მათი მხარდაჭერის გარანტი მიიღეს და წავიდნენ.

### მოსვლის შემდეგ

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გრიგოლეთში ხმა დაირხა, რომ სააკაშვილი დანაპირებსასრულებდა და ზღვის ზოლის უკანონო გასხვისების შესასწავლად რაიონში გენპროკურორი ოქრუაშვილი ჩამოდიოდა. იმასაც ამბობდნენ, ხელისუფლება ამ საკითხს, სტრატეგიულ და უსაფრთხოების მნიშვნელობასაც ანიჭებსო.**

პროკურორი არ ჩასულა. მის ნაცვლად ჩავიდა შსს-ს სპეციალური განყოფილების ინსპექტორ-რევიზორი, ვინმე ზურაბ გეგიაშვილი, მან რაიონში ერთი თვე დაჰყო. შეისწავლა და შეაგროვა მასალები. მისი წასვლის შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, გარდა ერთისა — ექს-პრეზიდენტის ძმისწულს ნუგზარ შევარდნაძეს ჩამოართვეს (ოფიციალურად, სახელმწიფოს გადასცა) 5,03 ჰა მიწის ფართობი. ამის შემდეგ მდგომარეობა გაიყინა.

**ალექსანდრე კალანდაძე (ლანჩხუთის მკვიდრი):** „მოსახლეობას იმედები გაუცრუვდა. თუ შევარდნაძის დროს გრიგოლეთის ზღვის ზოლს 300-მდე მეიჯარე ფლობდა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მათმა რიცხვმა 321 შეადგინა — ძირითადად თბილისელები, ყოფილი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებმაც, კაცმა არ იცის, რა მანქანებით შესძლეს ქონების შენარჩუნება და ყოფილი ხელისუფლების ქონებას დაპატრონებული ახალი ხელისუფლების ელიტარული წარმომადგენლები. ერთადერთი, რაც გრიგოლეთელებისა და ქვეყნისათვის დადებითი მოხდა, ის იყო, რომ 2004 წლის 13 აპრილს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება შავი ზღვისპირა ზოლში მიწათსარგებლობის სამშენებლო საქმიანობის მოწესრიგების ხელშეწყობის ორგანიზების შესახებ. ამ დადგენილებით „შავი ზღვისპირეთის 300-მეტრიან ზოლში 2004 წლის 1 ოქტომბრამდე შეწყდეს მიწის ნაკვეთების გასხვისება და ნებისმიერი სახის მშენებლობის ნებართვის გაცემა“. მაგრამ ძლიერთა ამა ქვეყნისათვის მათ მიერვე გამოცემული დოკუმენტი ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა“.

### კანონის წინაშე თანასწორობა ბლეფია

**მთავრობის აკრძალვითი დადგენილების გამოცემამდე გრიგოლეთში საკმაოდ დიდი მიწის ნაკვეთის — 5 ჰა შეძენა მოახერხა მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის დამ ნინო ბენდუქიძემ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გასხვისებაზე მკაცრი აკრძალვა, სწორედ ამ პერიოდში დამ ძმას მიწა ოფიციალურად აჩუქა, რაც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურში. ძმა ბენდუქიძემ, მისი მონაწილეობით მთავრობის მიერ მიღებული აკრძალვითი დადგენილების ხელმეორედ იგნორირებით, წამოიწყო ფეშენებელური ვილის მშენებლობა.**

რაც შეეხება ნუგზარ შევარდნაძისათვის ჩამორთმეულ 5, 03 ჰა მიწის ნაკვეთს, როდესაც საქმე მკვდარი წერტილიდან აღარ იძვროდა, გურულებს ზღვასთან უსასყიდლოდ მისასვლელ ნათელ წერტილად ექს-პრეზიდენტის ძმისწულის ყოფილი ნაკვეთიღა დარჩათ. მაგრამ მალე გაირკვა, რომ გამგეობა ამ მიწის გასხვისებას აპირებდა (აკრძალვითი დადგენილების ვადა გასული იყო). მოსახლეობამ ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა, მიწა ადგილობრივებისათვის გადაეცა იჯარით სარგებლობაში. გამგეობამ მათ უარით უპასუხა, რითაც ერთხელ კიდევ დაარღვია კანონი, რადგანაც გასხვისების, იჯარით გადაცემის შემთხვევაში უპირატესობა ეკუთვნით ადგილობრივ მცხოვრებლებს, დაწესებულების თანამშრომლებს და ა.შ.

გამგეობამ 5,03 ჰა,-დან 2,9 გაასხვისა. როგორც იმჟამინდელმა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ჯუმბერ ბლაგიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ნაკვეთის პრივატიზება უკანონოდ მოახდინა სუფსის საკრებულომ, რომელშიც შედიოდა 5 წევრი: თავმჯდომარე — ზვიად ლომაძე, მდივანი — ზაურ შარიქაძე, წევრები — დოდო ესართია, კახა მელუა და მანანა დოლიძე. ამ ხუთეულიდან მელუა და ესართია საერთოდ არ დადიოდნენ საკრებულოში და სესიებსაც არ ესწრებოდნენ. ამ განცხადებიდან გამოდის, რომ 3 კაცმა მოიწვია სესია და გადაწყვიტა 2,9 ჰა მიწის ბედი. ამგვარ პასუხისმგებლობას საკრებულოს სამეული რომ თვითნებურად ვერ იკისრებდა, ცხადია. ჩანს, რომ ისინი ვიღაცის მითითებების, ნება-სურვილის ამსრულებლები იყვნენ.

**ალექსანდრე კალანდაძე:** „ოფიციალურად ნუგზარ შევარდნაძისათვის ჩამორთმეული ნაკვეთიდან 2,9 ჰა-ს მფლობელი ვინმე ჯიღლაძეა. მაგრამ იგი „თავის“ მიწაზე არავის უნახავს. ჯიღლაძე „პადსტავნოი“ პიროვნებაა. გრიგოლეთში ამბობენ, ნაკვეთი ვანო მერაბიშვილისააო. თუმცა ეს მხოლოდ ჭორების დონეზეა“.

**შესაძლოა ეს მართლაც მოარული ხმები იყოს, მაგრამ „ვარდებით“, დემოკრატიულობისა და სამართლიანობის უცილობელი დაცვის დაპირებებით მოსული ხელისუფლების დღევანდელი თავნებობა ნებისმიერ ეჭვს საზოგადოების თვალში სინამდვილის ელფერს აძლევს.**

**ზაზა ბილიხოძე**

◎ ინფორმაცია

## ბუში საქართველოს ემადლიერება

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, ერაყში 2 ათასი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის გადაწყვეტილების გამო, საქართველოს მადლობა გადაუხადა.**

**„რია-ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ ბუშმა აშშ-ს საჰაერო-საზღვაო ძალების ბაზაზე (ფლორიდის შტატი) გამოსვლისას განაცხადა.**

**ბუშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს 30-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს ერაყის ოპერაციაში.**

**„ნატოს წევრ 17 ქვეყანას შეაქვს საკუთარი წვლილი ერაყის კამპანიაში“, — აღნიშნა მან.**

**როგორც ცნობილია, ჯორჯ ბუშმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რომელიც 2008 წლის აპრილამდე ერაყიდან ამერიკული ჯარების გაყვანას ითვალისწინებდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ტელეექო

# მარტივი არითმეტიკის მოხმობით

**ამჯერად ტელეეკრანიდან „პრეზენტირებულმა“ ორმა ახალმა ამბავმა ამაბუზღუნა: ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებით, მომავალი პირველი იანვრიდან ხელშეკრულებიან სამხედროებს (რუსები რომ „контрактники“-ს უწოდებენძ 500-დან 600 ლარამდე გაეზრდებათ ხელფასები (ანუ 100 ლარითძ და მოსწავლეთა ოლიმპიადების ფონდი 4-ჯერ, 250 ათასიდან მილიონ ლარამდე (ანუ 750 ათასი ლარითძ გაიზრდება.**

თითქოსდა სასიამოვნო ამბებია, მაგრამ ნეტავ კი ასე იოლად იყოს საქმე... ძალოვანებს პირველნი პირნი ყველგან და ყველა დროში „ეხახუნებიან“: მადლიერნი რომ ჰყავდეთ და „რამე რომ არ იყოს“, პირველ რიგში იმათი იმედი ჰქონდეთ, მაგრამ „რასაა“, რომ არ ფიქრობ კაცი; ჩემი ფიქრი კი ამჟამად აი, რა არის: როცა ერთთათვის ხელფასების ან ფონდების მომატება ცხადდება, ეს მოხუშტურებით, იმპულსურად, საპიაროდ კი არ უნდა კეთდებოდეს, არამედ, ჩემი მოკლე ჭკუით, საერთო მდგომარეობის, სოციალური ფონის, ეკონომიკურ-ფინანსური ანალიზის გათვალისწინებით. აბა



ერთხელ მაინც თუ თქმულა — ჩვენ მოვეთათბირეთ ეკონომისტებს, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებს, ავწონ-დავწონეთ შესაძლებლობები და გადავწყვიტეთ, რომ არის ამის საშუალებაო...

შე კაი დედმამიშვილო და გამორჩეული ბებიის შვილიშვილო, ქვეყანაში რომ ასიათასობით კაცი თვეში ასლარიან ხელფასზე ოცნებობს (მეც მათ რიცხვში ვარძ და ამ დროს მეკონტრაქტეებს ას ლარს 500-ზე უმატებ, ეს სადაური წესია — აქაური? ნიჭიერი ბავშვების წახალისებას რა სჯობს, მაგრამ იმ 750 ათასიდან რომ 75 ათას დევნილს, გინდა პენსიონერს, ათ-ათი ლარი მოუმატო, ეს უფრო მადლი არ არის? პენსიის ორ-ორი ლარით გაზრდას რომ იკვეხნიდა ხელისუფლება, ხუთი ლარი ორზე მეტია და ამ ხუთი ლარით უკვე 150 ათასი კაცისათვის შეიძლებოდა საცოდავი თვიური შემოსავლის აწევა. ამას მე უნდა გეუბნებოდეთ, საზოგადოების რიგითი წევრი? რა, ფონდში რომ მილიონი ლარი არ იყოს და ძველებურად 250 ათასი დარჩეს (750 ათასი, ვიმეორებ, უფრო სასიკეთო საქმეს მოხმარდესძ, ნიჭიერი ყმაწვილები თავს ველარ გამოიჩენენ? ეს არის რეფორმატორობა და ამას მე უნდა წამოგძახოდეთ, ერთი საწყალი ბერიკაცი?..

**ეჰ, მართლაც რომ, რაღაც კი არა, ბევრი რამ ვერ არის რიგზე „დანიის სამეფოში“...**

**თამაზ ეზანოიძე**

# მორალი

**ჩვენთან, საქართველოში, ადამიანებმა 2-3 წელიწადში მილიონები იშოვეს, თანაც თანამდებობის პირებმა, ანუ ქვეყნის, მისი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვის შედეგად და ხახვივით შერჩათ. შერჩათ კი არა, აქეთ მორალს გვიკითხავენ!**



**განსჯა**

# სამართლიანობის გრძნობა ადამიანებში, მაიმუნებსა და...

**2003 წლის შემოდგომაზე ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, და უფრო მეტიც, მთელი ამერიკა მოიცვა არნახულმა სკანდალმა. რიჩარდ გრასომ, რომელიც იმჟამად ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, წლიური ხელფასის სახით მიიღო 139,5 მილიონი დოლარი. ეს თანხა დაგროვდა საპენსიო, ასევე რეგულარული და სპეციალური პრემიების სახით. მაგალითად, იმის გამო, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ შეძლო ბირჟის შეუფერხებელი მუშაობის აწყობა, მას პრემიის სახით გამოუწერეს 5 მილიონი დოლარი და სხვა დანარიცხები ხელფასზე.**

ასეთმა დიდმა თანხამ ისე აღაშფოთა ამერიკის სამოქალაქო საზოგადოება, რომ გრასო იძულებული შეიქმნა, თადარიგში წასულიყო და უკან დაებრუნებინა თითქმის მთელი მიღებული თანხა. იგი გახდა ამერიკის ისტორიაში ალბათ უმსხვილესი დაწესებულების პირველი ხელმძღვანელი, რომელიც გაათავისუფლეს იმიტომ, რომ... ძალიან ბევრი გამოიმუშავა. იგი არც არაკომპეტენტური პიროვნება გახლდათ თავის საქმიანობაში და, მით უმეტეს, არც კორუმპირებული. ჩინებულად ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ საზოგადოების აღშფოთება იმდენად ძლიერი იყო, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის დირექტორთა საბჭო, ანუ ის ადამიანები, რომლებმაც მას ასეთი მაღალი ხელფასი გადაურიცხეს, იძულებული გახდნენ მისთვის სამსახურის დატოვება ეთხოვათ. აშშ საზოგადოებრივმა აზრმა გრასოს არ მისცა იმის საშუალება, რომ თავის თანამდებობაზე დარჩენილიყო.

საინტერესოა ასე რამ აღაშფოთა ამერიკის მოქალაქენი? ბოლოს და ბოლოს გრასოს მილიონებს ამერიკელი მოქალაქეების ჯიბისთვის არც ერთი ცენტი არ დაუკლია, ბირჟამ დახარჯა თავისი საკუთარი ფული, რომელიც ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით გამოიმუშავა. ამ ფულის დაბრუნებით არც ერთი ამერიკელი არ გამდიდრებულა (ისევე როგორც გაცემით არ გაღარიბებულა), არც ქვეყნის ბიუჯეტს დაჰკლებია რამე და არც რიგით ამერიკელს. დაბრუნებული თანხა ბირჟას არც ამერიკელი მოქალაქეებისთვის დაურიგებია და არც ქველმოქმედების ფონდისთვის გადაუცია. ის დარჩა ბირჟის განკარგულებაში. ეკონომიური თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, საზოგადოების რეაქცია არაგონივრულია. აბა, მაშ შური? აქ წამოჭრილ კითხვებზე პასუხი გასცა ერთმა მარტივმა ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა, რომელიც ერთდროულად სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა.

ქუჩაში ორ სრულიად შემთხვევით შერჩეულ ადამიანს, რომლებიც არ იცნობდნენ ერთმანეთს, სთავაზობდნენ წინადადებას, ერთმანეთში გაეყოთ 10 დოლარი (ან შესაბამისი ქვეყნის ვალუტა) ისე, რომ ერთ-ერთი სთავაზობს გაყოფის თავის ვარიანტს, ხოლო მეორემ უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა შეთავაზებული პროპორცია. თუ პარტნიორი მიიღებს პირველისგან შეთავაზებულ პროპორციას, თითოეული იღებს შესაბამის თანხას, თუ მეორე არ მიიღებს გარიგებას, ორივენი კარგავენ, ანუ არც ერთი არაფერს არ იღებს. ერთი შეხედვით გონივრულია, რომ, მაგალითად, პირველმა შესთავაზოს ასეთი გარიგება: 9 (ან 8) დოლარი მე, შენ — 1 (2) დოლარი. წესით, მეორე უნდა დათანხმდეს ასეთ გარიგებაზე, რადგან არაფერში იღებს 1 (2) დოლარს. მაგრამ რეალურად ასეთი შემთხვევა იშვიათად დაფიქსირდა თვით ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც 1 დოლარს ადამიანი 2-3 დღეში გამოიმუშავებს. ანუ, ადამიანები თანახმანი არიან, თვითონ არაფერი მიიღონ, ვიდრე პარტნიორს მასზე ბევრი დარჩეს, ანუ ურჩევნია, უცნობი დასაჯოს. აქ საინტერესო ის არის, რომ პირველი პარტნიორიც ითვალისწინებს ამას, ანუ გრძნობს, რომ მეორის ადგილას თვითონაც ასევე მოიქცეოდა.

ასე რომ, ყველაზე ხშირად დაფიქსირდა თანხის შუაზე, ანუ თანაბრად გაყოფის ვარიანტი (5-5 დოლარი). ამ ექსპერიმენტმა დააფიქსირა, რომ თითოეული ადამიანი ირჩევს არა იმას, რომელიც მისთვის მომგებიანია (მაგ. 9 დოლარი), არამედ არამატერიალურს — სამართლიანობის გრძნობის დაკმაყოფილებას (მაგრამ, ვთქვათ, 10 დოლარის მაგივრად მილიონი რომ მისცე, მაშინაც ასე იქნება?).

ამავდროულად გამოქვეყნდა საინტერესო გამოკვლევები მაიმუნთა სოციალური ქცევის შესახებ. რამდენიმე ექსპერიმენტატორმა მაიმუნთა შემთხვევით ამორჩეულ წყვილებს ასეთი გარიგება შესთავაზა: თუ მაიმუნი პატარა ქვას მოუტანდა, საჩუქრად კიტრის ნაჭერს მიიღებდა. როგორც პირველი, ასევე მეორე მაიმუნი თითო ქვის მიტანაზე თითოეული კიტრის ნაჭერს იღებდა. ერთი ქვა — კიტრის ერთი ნაჭერი. ყველაფერი ექსპერიმენტში საკმაოდ კარგად აეწყო. რამდენიმე მომვლელს წყვილ-წყვილი მაიმუნი მიუჩინეს და ისინიც ხალისით ასრულებდნენ გარიგებას. მაგრამ როცა თამაშის წესი შეცვალეს, და, მაგალითად, ერთს მოტანილი ქვისთვის მისცეს ტკბილი ყურძენი, ხოლო მეორეს ისევ მხოლოდ კიტრის ნაჭერი, ამან მაიმუნებში უკმაყოფილება გამოიწვია, ხოლო როცა ზოგიერთებს საერთოდ ყოველგვარი ქვის მოტანის გარეშე დაუწყეს ყურძნის მიცემა, მაიმუნებმა ერთი ამბავი ატეხეს და ვისაც მოტანილი ქვისათვის კიტრის ნაჭრებს აძლევდნენ, მათ დაიწყეს ამ კიტრის ნაჭრების აქეთ-იქით გადაყრა და საბოლოო ქვების მოტანაზეც უარი განაცხადეს. ანუ ისინი, ისევე როგორც ადამიანები, თანახმა იყვნენ, თვითონ არ მიეღოთ კიტრის ნაჭერი, ოღონდ მათი პარტნიორებისათვის იგივე სამუშაოში ტკბილი ყურძენი არ მიეცათ. ანუ, მაიმუნები და ადამიანები მიილტვიან იქითკენ, რომ ხელფასი, ანაზღაურება იყოს სამართლიანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ეხება ჩემს გვერდზე მყოფს და არა მე. ანუ, მაიმუნებმა სამართლიანად ჩათვალეს პატარა ქვის მიტანაზე კიტრის ნაჭრის მიღება, მაგრამ უარი თქვეს ისეთ გარიგებაზე, როცა პარტნიორი კიტრის ნაჭერს კი არ იღებდა როგორც თვითონ, არამედ ტკბილ ყურძენს. ასე რომ, სამართლიანობის გრძნობა ჩვენს არსებაში ღრმად არის ჩადებული, ბიოლოგიურ დონეზე, ისევე როგორც მაღალგანვითარებულ ორგანიზმებში, მაგალითად, მაიმუნებში.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ იდეალურ სამყაროში ყველას თანაბარი რაოდენობის ფულადი თანხა და ქონება უნდა ჰქონდეს? არა, სრულიადაც არა. უბრალოდ ადამიანებს უნდათ, რომ სხვა ადამიანმა მიიღოს თანხის ის რაოდენობა, რომელიც მან პატიოსნად გამოიმუშავა. მეცნიერებმა ამ მიზნისათვის შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარეს, ანუ პირველი ექსპერიმენტი გაართულეს. ასევე ქუჩაში სრულიად შემთხვევით შემხვედრ ორ ადამიანს ცდა ჩაუტარეს მხედველობით მეხსიერებაზე ან რეაქციის სისწრაფეზე. ამის შემდეგ ექსპერიმენტატორი ამტკიცებს, რომ ამ ტესტის შესრულებისას გაიმარჯვა A მოთამაშემ და ამიტომ გამარჯვებულს ეძლევა უფლება, მაგალითად, იგივე 10 დოლარი თავისი სურვილის მიხედვით გაყოს. ამ შემთხვევაში უკვე მეორე პარტნიორი უფრო დამთმობი ხდება და ყაბულსაა თვით უმცირეს თანხაზეც, რადგან თვლის, რომ A მოთამაშემ დაიმსახურა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა და მის პირობებს ფულის განაწილებაზე ეთანხმება.

ანუ, ადამიანებს (ისევე, როგორც მაიმუნებს) უნდათ, რომ ანაზღაურება შეესაბამებოდეს სუბიექტის მიერ გაწეულ შრომას და მის მიღწევებს, არსებობდეს გონივრული თანაფარდობა. საერთოდ, დასავლეთში მიღებულია, რომ მაქსიმალური ანაზღაურების მინიმალურთან შეფარდება არ შეიძლება იყოს 5:1-ზე მეტი, ანუ თუ თქვენ ხართ უდიდესი წარმოების ხელმძღვანელი ან მინისტრი და გაქვთ ხელფასი 20 000 დოლარი, მაშინ დამლაგებელს ამ წარმოებაში უნდა ჰქონდეს 4000 დოლარი (ჩვენთან, საქართველოში, ადამიანებმა 2-3 წელიწადში მილიონები იშოვეს, თანაც თანამდებობის პირებმა, ანუ ქვეყნის, მისი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვის შედეგად და ხახვივით შერჩათ. შერჩათ კი არა, აქეთ მორალს გვიკითხავენ!).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ექსპერიმენტში თითქმის ერთნაირი შედეგი მიიღეს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ, ამასთან, ერთხმად აღინიშნა, რომ საზოგადოების, ქვეყნის ტრადიციები, კულტურა დიდად მოქმედებს იმაზე, თუ რას თვლიან პატიოსნებად და სამართლიანად, თუ რას აფასებენ ყველაზე მეტად ადამიანში. რაც უფრო მაღალი კულტურისაა საზოგადოება, მით მეტად სცემს პატივს ის ადამიანის პირად ღირსებებს და ნაკლებად მის ქონებრივ თუ თანამდებობრივ ცენზს. ასე იყო ყოველთვის. ანტიკურ ხანაში ბერძნები ბარბაროსებს ეძახდნენ იმ ხალხებს, რომლებიც ქედს იხრიდნენ ოქროსა და იარაღის წინაშე. ასე იყო რომშიც. ისინი იცავდნენ კანონს ფუფუნების წინააღმდეგ. მდიდრულად ჩაცმა, ტახტრევანით და მხლებლებით სიარული აკრძალული ჰქონდათ სენატორებსა და კონსულებს და ყოველგვარ ასეთ გამოვლინებას ზიზღით უყურებდნენ სისადავის მოყვარული ჭეშმარიტი რომაელები. ასეა დღესაც ცივილურ ქვეყნებში. ფინეთი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მხრივ ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში, ხოლო მისი მოსახლეობის ჩაცმულობა საკმაოდ უბრალო და სადაა. მეორე მსოფლიო ომის დროს სსრკ-ში ჩამოსულ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრებს საკვებად თან ჰქონდათ ჩამოტანილი... უბრალო ბუტერბროდები.

რაღა შორს წავიდეთ, ასე იყო ძველად საქართველოშიც. თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო, ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. ანუ, უპირველეს ყოვლისა, პატივს სცემდნენ ადამიანის პირად ღირსებებს და შემდეგ თვით მის წარმომავლობას.

ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, არ შეიძლება მატერიალური სიმდიდრის დაგროვება პიროვნების, საზოგადოების თუ ქვეყნის თვითმიზნად იქცეს (თვით პატიოსნური შრომით დაგროვილიც კიო) მაშ რაღა ვთქვათ ასიათასობით საკუთარი მოქალაქის გაუბედურების ხარჯზე, მათ ძვლებზე აგებულ სასახლეებზე.

რომაელები ამაყად ამბობდნენ, ჩვენ ძლიერი სახელმწიფო შევქმენით ჩვენი ხასიათის თვისებებიდან გამომდინარეო. დიახ, ერის, ხალხის ხასიათი განსაზღვრავს ქვეყნის მდგომარეობას, ამჟამადაც ასეა. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, აშშ-ს იაპონიის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიმდიდრის 75 პროცენტს სწორედ ადამიანური კაპიტალი შეადგენს და არა ფინანსები, რადგან აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ყველაზე დიდი დანაკარგები უმეცრებას მოსდევს. გონიერება კი ნიშნავს — სიტუაციისა და მდგომარეობის შესაბამის ადეკვატურ ქმედებას. ანუ, ამერიკელები აღაშფოთა აზრმა: ისეთი რა ურთულესი მუშაობა ჩაატარა რ.გრასომ, რომ ის 140 მილიონად შეფასდა, რა, მისი წასვლის შემდეგ ბირჟა განადგურდა? საერთოდ ამ ქვეყანაზე არსებობს უფრო რთული და მძიმე საქმეები, ვიდრე ბირჟის ხელმძღვანელობა და ეს საქმეები ასე ძვირად არ ფასდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი დიდი ანაზღაურება, როგორიც აქვთ აშშ-ში მსხვილი ფირმების ხელმძღვანელებს, არსად სხვაგან არ არსებობს. მაგრამ ეს თანხა თვით ამერიკელებისთვისაც კი ნამეტანი აღმოჩნდა. ერთი ამერიკელი ეკონომისტის თქმისა არ იყოს, აშშ-ს ფირმის ხელმძღვანელების ასეთი მაღალი ხელფასების გამო გერმანიაში გერმანელები ბარიკადებს აღმართავდნენ. ამერიკელებს ეს შედარებით ნაკლებად აღელვებთ. მათ სჯერათ, რომ აშშ-ში შეიძლება ფეხსაცმლის მწმენდავი ღარიბი ბიჭი თავისი ნიჭიერებითა და ალღოს წყალობით მილიონერი გახდეს. სხვათა შორის, რიჩარდ გრასოც უბრალო იტალიელი ემიგრანტის ოჯახიდანაა წარმოშობით და დამოუკიდებლად, ყოველგვარი შავბნელი მაქინაციების გარეშე მიაღწია წარმატებას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამერიკულ ოცნებასაც აქვს თავისი ზღვარი. საწყალი ამერიკელები!!! აი დღეს, ჩვენთან... თაობების მიერ დანთხეული სისხლი და ჩაყრილი ძვლები ჯერ ფულად აქციეს, მერე ეს ფული „გააიმასქნეს“! მერე რა!!!

**მედეა თავდიშვილი**

***P. S. „კვაჭი კვაჭანტირაძის“ 1925 წლის გამოცემის თავფურცელს ამშვენებს ავტორის შემდეგ სიტყვები: „ვბედავ და ამ წიგნს წრფელი გულით ვუძღვნი ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაჭისა და კვაჭიკოებს, რომელნიც ჩვენ კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ“ (და მოიპოვებიან).***

# გეოპოლიტიკა

**თბილისიც და მოსკოვიც ერთმანეთის კეთილდღეობით საკმაოდ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, მაშასადამე, ასკვნიან ექსპერტები, მოსკოვი უნდა ეცადოს და საქართველოსთან საკუთარი თავისთვის ხელსაყრელი ურთიერთობები დაამყაროს და საამისოდ სათანადო ნაბიჯების გადადგმისა არ უნდა ეშინოდეს**



◎ ინფორმაცია

## გალში კვლავ დააკავეს ქართველები

გალის ე.წ მილიციამ გალის რაიონში ხუთი ქართველი დააკავა და მათი სახლები დაარბია.

სოფელ გაგიდაში დააკავეს ლივტერ კვარაცხელია, ჯუმბერ ხასაია და ავთანდილ გერგედავა, სოფელ ოტობაიაში კი – კინტუშა ბახტაძე და გოჩა გაბისონია.

ამის შესახებ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორმა თორნიკე კილანავამ განაცხადა.

მისივე თქმით, აფხაზმა მილიციელებმა სოფელ გაგიდასა და ოტობაიაში რეიდი ჩაატარეს, რის მიზეზადაც ქართველებისგან იარაღის ამოღება დასახელდა.

კილანავას ინფორმაციით, არც ერთ დაკავებულს იარაღი არ ჰქონდა, თუმცა ისინი სცემეს და მათი საცხოვრებელი სახლები დაარბიეს.

ამჟამად დაკავებულები გალის მილიციაში იმყოფებიან.

## ბულისკირიების ოჯახს თავს დაესხნენ

გალის რაიონის სოფელ ოქუმში, ბულისკირიების ოჯახზე თავდასხმა მოხდა. ხუთივე თავდამსხმელი ავტომატებით იყო შეიარაღებული.

მათ აწამეს ოჯახის წევრები, შემდეგ კი თემურ ბულისკირია გალის მიმართულებით წაიყვანეს.

როგორც ბულისკირიას მეზობლები აცხადებენ, გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა, თუმცა თავდამსხმელები ოჯახს ჯერ არ დაკავშირებიან.

ბულისკირიას ოჯახის წევრები ამ დროისთვის საკუთარ სახლში იმყოფებიან, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ინტერპრესნიუსი

◎ კავკასია

# საძიებელია შეხების წერტილები და არა დაპირისპირების მიზეზები

***თუკი რუსეთის საზღვრები ემთხვევა რუსეთის ფედერაციის საზღვრებს, მაშინ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზება, ობიექტურ მიზეზთა გამო, საკმაოდ პრობლემატურია, – აცხადებენ წამყვანი რუსი პოლიტოლოგები და ექსპერტები. მათი აზრით, საქართველო ვერ შეძლებს ამჟამად მისი იურისდიქციის ფარგლებს მიღმა დარჩენილ (ცხადია, იგულისხმება აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე, ანუ, როგორც ზოგიერთი მათგანი მეტად ცინიკურად ბრძანებს „წარმოსახვით გეოგრაფიაზე“ უარის თქმას, ხოლო რუსეთი კი, თავის მხრივ, იგნორირებას ვერ გაუწევს ჩრდილოეთ კავკასიის შიდა უსაფრთხოების ინტერესებს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ინტერესთა ამ კონფლიქტის გამო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით კომპრომისის მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუმცა ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ არც კავკასიაში რუსეთის იმპერიული პროექტების განცხორციელებაა შესაძლებელი.***

რუსეთელი პოლიტოლოგების აზრით, ამ ზრახვების განსახორციელებლად არც ხალხია საკმარისი, არც სათანადო იდეები, ვინაიდან ენერგეტიკასა და ნავთობზე ფასების ხელსაყრელ კონიუნქტურაზე დაყრდნობით იმპერიის აშენება შეუძლებელია – საამისოდ სხვა, უფრო „ფასეული“ ფასეულობებია საჭირო.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ის გახლავთ, რომ იმპერიებისა (ანუ იმ სახელმწიფოების, რომელთა ზეამოცანა არა ინტეგრირება, არამედ სხვა სახელმწიფოებზე სამხედრო და პოლიტიკური კონტროლის დამყარებაა) და იმპერიული „ტექნოლოგიების“ დრო წასულია. მთლიანად სამხრეთ კავკასიის ინტეგრირება კი ძალიან ძნელი, უფრო სწორად კი, ფაქტობრივად, შეუსრულებელი ამოცანაა.

არსებული რეალიებიდან გამომდინარე, რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, უწინარესად, რუსეთის განსასაზღვრია ის კონკრეტული ვარიანტები, რომელთა განხორციელება მეტ-ნაკლებად რეალურია და არც საქართველოს, არც რუსეთის ეროვნულ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.

ორას წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველო, რეალურად, რუსეთის იმპერიის (მერე, ცხადია, სსრ კავშირის) შემადგენლობაში შედიოდა, მისი პოლიტიკური ელიტა რუსეთში იყო ინტეგრირებული, ხოლო ქართული კულტურა რუსეთის მოსახლეობამ შეიყვარა და სათანადო ადგილიც მიუჩინა თავის სულიერ საგანძურში. თუმცა ექსპერტებს არც ის ავიწყდებათ, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს სასწორის მეორე პინზე „დაიდო“ ერთმანეთის მიმართ პერესტროიკისა და პოსტსაბჭოური დროინდელი პრეტენზიები და, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, დღემდე გადაუჭრელი კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამასთან, ბევრი დაკვირვებული და კეთილმოსურნე პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთს ერთმანეთის მიმართ, ფაქტობრივად, ყველა პრეტენზია უკვე გამოთქმული აქვს (სხვა საქმეა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ჯერაც, რომ იტყვიან, „ჰაერშია გამოკიდებული“ქ. კეთილმეზობლურ ურთიერთობებს კი ალტერნატივა არ აქვს, რაც აბსტრაქტული მოწოდება კი არა, ელემენტარულად გეოპოლიტიკური პრაგმატიკაა.

რუსეთელი ექსპერტები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ სწორედ საქართველოზე გადის კავკასიაში რუსეთის სტრატეგიული მოკავშირის – სომხეთის გზაც, სადაც სამხრეთ კავკასიაში მისი ყველაზე მსხვილი სამხედრო ბაზაა განთავსებული. საქართველოსთან ცუდი ურთიერთობა ერთობ აძნელებს მასთან მიმოსვლას.

გარდა ამისა, აღნიშნავენ იმასაც, რომ საქართველო – ესაა აზერბაიჯანის გზაც, რომელიც, ზბიგნევ ბჟეზინსკის ხატოვანი გამოთქმით, შუა აზიური „ყელის“ ერთგვარი „საცობია“, ანუ საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ასევე ცენტრალურაზიური განზომილებაც გააჩნია. საქართველო ასევე ასრულებს სტრატეგიულ პარტნიორის როლს შავი და კასპიის ზღვების რეგიონებს შორის.

თავის მხრივ, საქართველოსაც სჭირდება რუსეთი, თანაც როგორც მძლავრი (არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც) სახელმწიფო, რომელსაც სამხრეთი საზღვრების კონტროლის უნარი შესწევს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში მასშტაბური კრიზისის პირობებში, საქართველო, შესაძლოა, კონფესიათაშორისი კონფლიქტების არენად იქცეს, და ეს მოხდეს მაშინ, როცა ეთნიკური კონფლიქტები არც დღეს გვაკლია.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თბილისიც და მოსკოვიც ერთმანეთის კეთილდღეობით საკმაოდ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, მაშასადამე, ასკვნიან ექსპერტები, მოსკოვი უნდა ეცადოს და საქართველოსთან საკუთარი თავისთვის ხელსაყრელი ურთიერთობები დაამყაროს და საამისოდ სათანადო ნაბიჯების გადადგმისა არ უნდა ეშინოდეს. ამის მაგალითს ამერიკის შეერთებული შტატები იძლევა – იგი სტრატეგიულად თანამშრომლობს აზერბაიჯანთან, რომელიც თურქეთის შემდეგ თავის მეორე „ისლამურ მოკავშირედ“ დაასახელა, თან დახმარების ხელს უწვდის სომხეთსაც, რომელსაც – ისრაელის შემდეგ – მატერიალურად ყველაზე მეტად ეხმარება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ გლობუსი

# ორი ქვეყნის საპრეზიდენტო

**საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური, მწვავე მოვლენების სწრაფი ცვალებადობა თავისთავად მეტყველებს არსებულ არასახარბიელო ვითარებაზე. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მომავალი წელი, წელი საპრეზიდენტო არჩევნებისა რუსეთსა და ამერიკაში, გაცილებით მშფოთვარე იქნება. არჩევნების თითქმის ერთწლიანი მარათონი სწრაფად იკრებს სიჩქარეს.** აშშ-ი უკვე ჩატარდა დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატების სატელევიზიო დებატები. გამოკითხვის მიხედვით წარმატებას მიაღწია ფერადკანიანმა სენატორმა ბარაკ აბამამ. მეორე ჰილარი კლინტონი იყო. საერთო რეიტინგის, ისევე, როგორც საარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის შეგროვებული თანხების მიხედვით ჯერჯერობით პირველი ჰილარი კლინტონია. მას ოდნავ ჩამორჩება ბარაკ აბამა.

59 წლის ჰილარი როდჰემ კლინტონს კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. კლინტონების ოჯახის ირგვლივ ჩვენში განსაკუთრებული აჟიოტაჟი იყო ატეხილი 1999 წლის აგვისტოში, საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინ, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტის მეუღლის ძმები სტუმრობდნენ საქართველოს, კერძოდ აჭარას. ავტონომიის მაშინდელი ლიდერის პოლიტიკური გამოწვევა – ამერიკის პირველი ოჯახის წევრების მოწვევა აჭარაში, ერთობ მტკივნეულად და საეჭვოდ აღიქვა ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა და რომ არა მისი დაბეჯითებული მოთხოვნა – ძმებ როდჰემებს მასთან შეხვედრით დაეწყოთ საქართველოში ვიზიტი, სტუმრები არც ეწვეოდნენ თბილისს. წინასწარ შეთანხმებული პროგრამით, როდჰემებს მხოლოდ აჭარაში ჰქონდათ გათვალისწინებული სტუმრობა. საქვეყნოდ ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, ქვეყნის პრეზიდენტი, შეურაცხყოფად თვლიდა მისი გვერდის ავლით სტუმრების ბათუმში ჩასვლას.

1999 წლის შემდეგ არცთუ დიდი დროა გასული, მაგრამ მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ დღეს ნაკლებად თუ ვინმეს ახსოვს მაშინდელი ვიზიტი, მისი მიზნები, როდჰემებთან ერთად საქართველოში თხილის ბიზნესის განვითარება და სხვა.

საარჩევნო კამპანიაში ჰილარი



როდჰემ კლინტონის წარმატებული სტარტი აშშ-ს მოსახლეობის მენტალიტეტის კარდინალურ ტრანსფორმაციაზე მეტყველებს. დღეს უკვე ნაკლებ გაოცებას იწვევს ქალის როლი დიდ პოლიტიკაში. იშვიათობას აღარ წარმოადგენს ქალი პრეზიდენტიც. სრული მოსალოდნელია, რომ წარმატებულ ქალ პრეზიდენტთა კლუბს საფრანგეთიც შეუერთდეს. ევროპის, აზიის, სამხრეთ ამერიკის და, თქვენ წარმოიდგინეთ, აფრიკის სახელმწიფოების ქალ-პრეზიდენტთა რაოდენობა იმდენად თვალშისაცემია, რომ აშკარად ფაქტია საერთაშორისო ფემინიზაციის გიგანტური პროგრესი.

დემოკრატიული ამერიკა შორს იყო სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებიდან. თუნდაც 10 წლის წინათ ამერიკელებისათვის პრეზიდენტობის კანდიდატი ქალი წარმოუდგენელი იყო, ისევე, როგორც ფერადკანიანი კანდიდატი. დღეს სხვა სურათია. აშშ-ს პრეზიდენტობისათვის ქალიც იბრძვის, ჰილარი კლინტონის სახით და ფერადკანიანი კაციც – სენატორი ბარაკ აბამა. ბარაკ აბამას შესახებ მშობლიურ ამერიკაშიც ცოტა რამ თუ იცოდნენ. მას დღეს ეცნობა ამერიკა, და უნდა ითქვას, რომ გაცნობის პროცესი აბამასათვის უაღრესად წარმატებით მიმდინარეობს. სენატორი სწრაფად აგროვებს ქულებს და, როგორც ჩანს, ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ჰილარი კლინტონს. დემოკრატი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პარტიისათვის უმჯობესი იქნებოდა მეტოქეობა პარტნიორობით შეცვლილიყო. მათი აზრით კლინტონ-აბამას ტანდემს წინ ვერავითარი რესპუბლიკური ძალა ვერ დაუდგებოდა. ამ მოსაზრების წინააღმდეგ არც აბამას გამოუთქვამს ნეგატიური დამოკიდებულება, თუ გვარების თანამიმდევრობა გადაადგილდებოდა.

ბარაკ აბამა 2004 წელს გახდა სენატორი. ოთხი თვის შემდეგ ამერიკული ჟურნალი „ტაიმი“ აბამას აღიარებდა „ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად მსოფლიოში“. 2005 წელს ინგლისელმა „ნიუსტეიტსმენმა“ აბამა შეიყვანა იმ 10 ადამიანს შორის, ვისაც შეუძლია შეცვალოს მსოფლიო. თავის გამოსვლებში აბამა მოუწოდებს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირებისაკენ, თითოეული ამერიკელისათვის სამედიცინო დახმარების გაწევისაკენ, ეკოლოგიისათვის მეტი ყურადღების დათმობისაკენ. აბამა კატეგორიული წინააღმდეგია ერაყის ომის და დაბეჯითებით მოითხოვს ჯარების გამოყვანას.

სხვაგვარი, აშშ-გან ერთობ განსხვავებული წინასაარჩევნო ციებცხელებაა რუსეთშიც. ექსპერტთა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დღევანდელ პრეზიდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა კიდევ ერთი საპრეზიდენტო ვადით უხელმძღვანელოს ქვეყანას, რასაც კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. პუტინის პრეზიდენტად დარჩენის მომხრეთა არგუმენტაცია მტკიცე და ბევრისათვის მისაღებია. მათი აზრით, დაწყებული საქმის შუა გზაში მიტოვება ქაოსის მომასწავებელი იქნება. რუსეთი აშშ-ი არ არის. ამ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი სისტემა ჯერაც თოთოა. მას სამართლებრივ-საზოგადოებრივი გამაგრება ესაჭიროება. სწორედ ამისათვის მიიჩნევენ პუტინელები მისთვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელების აუცილებლობას. თვით პუტინი აცხადებს, რომ არ აპირებს კონსტიტუციის დარღვევას. იგივე მოსაზრება გამოთქვა მან რუსეთის მოქალაქეებისადმი საბოლოო მიმართვაში – მომავალ წელს მიმართვას სხვა პრეზიდენტი გააკეთებსო.

პუტინის მოხსენების ძირითადი ნაწილი ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების გეგმებს ეხებოდა. ცოტა იყო საუბარი საგარეო პოლიტიკაზე, მაგრამ რაც ითქვა, დასავლეთისათვის ერთობ შემაშფოთებელი აღმოჩნდა. პუტინმა კიდევ ერთხელ დაადანაშაულა აშშ ევროპაში არსებული ძალთა ბალანსის დარღვევის მცდელობაში და აღნიშნა, რომ პოლონეთ-ჩეხეთში განთავსებული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ხელს შეუშლის თანაფარდობის პრინციპებს. ითქვა იმის შესახებაც, რომ რუსეთი არ აპირებს ისტერიკის მოწყობას, მაგრამ გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს საკუთარი სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის. დასავლეთისათვის სწორედ ამის მოსმენა არცთუ სასიამოვნო იყო.

უშედეგოდ ჩაიარა აშშ-ს თავდაცვის მინისტრის გეიტსის ვიზიტმა მოსკოვში. მან ვერ შეძლო რუსეთის პოლიტიკოსების დარწმუნება ამერიკელთა „კეთილშობილურ“ გეგმებში. ადრე გაკეთებული განცხადება, რომ „კომპრომისის მიღწევის შესაძლებლობა არის“, სწორი არ გამოდგა. ამერიკელთა მიხედვით „პრობლემური“ სახელმწიფოები, პირველ რიგში ირანი, 2015 წლისათვის უკვე იქონიებს საშუალო და შორი რადიუსით მფრინავ რაკეტებს. ამის წინააღმდეგ აპირებს აშშ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განთავსებას.

დასაწყისში, აშშ-ს მხოლოდ პოლონეთ-ჩეხეთთან მიღწეულმა გარიგებამ, ნატოს დანარჩენი ქვეყნების გულისწყრომა გამოიწვია. ამერიკელ ემისრებს სერიოზული განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოუწიათ ნატოს დანარჩენი წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში. ევროპამ მიიღო ვაშინგტონის წინადადება და უკმაყოფილებასაც აღარ გამოხატავს, თუმცა გერმანიის კანცლერის მერკელის ბოლო ვიზიტის დროს აშშ-ში მისი მხრიდან ითქვა, რომ სისტემის განთავსების პერიპეტიები აუცილებლად უნდა შეთანხმდეს რუსეთთან. ვაშინგტონის აზრით მოსკოვი ჯეროვნად ვერ აფასებს ირანის რაკეტების საფრთხეს. მოსკოვს მიაჩნია, რომ ირანული საფრთხე უახლოეს მომავალში დაუჯერებელია.

№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

● რა დავაშავეთ ისეთი, რომ მშობლების ბინაში მთავრობას ფული უნდა გადავუხადოთ, რატომ გვექცევა ხელისუფლება ასე სასტიკად? ყოველთვის უცხოეთის მაგალითი რომ მოჰყავთ, რატომ იმას არ ითვალისწინებენ, იქ რა შემოსავალი აქვს უბრალო ხალხს?



◎ რას ფიქრობს ხალხი?

# ვითომ ჯერ არც ისეა საქმე, როგორც მაშინ, წვიმიანი ნოემბრის დღეებში?!

## გვესაუბრებიან გაქვირებული ცხოვრების შემყურენი...

*ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენი საზოგადოების ცხოვრება ისე წარიმართა, რომ უმიტინგოდ აღარ შეგვიძლია. ამ საკითხში ხელისუფლება ნამდვილად ხელს გვიწყობს. ხან რას მოიგონებს, ხან რას, ხალხის გაღიზიანება და მღელვარება რომ გამოიწვიოს. მაგალითად, დაბალი ხელფასი და უმუშევრობა, კომუნალური წყლის მრიცხველები, ისტორიულ უბნებში მცხოვრებთათვის მოსაკრებლის დაწესება და სხვა მრავალი, რაც ხალხის უზომო აღშფოთების საბაბი ხდება. ამიტომ იმართება ერთი მეორეს მიყოლებით მიტინგები, საპროტესტო აქციები, მსვლელობები. მოკლედ, პოლიტიკური ცხოვრება ერთფეროვანიაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით, დაძაბულობა კი არის ყველგან, ავტობუსი იქნება ეს, ქუჩა, სკოლა თუ სხვა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ჯერ არც ისეა საქმე, როგორც მაშინ... წვიმიანი ნოემბრის დღეებში.*

მაშინ ერთადერთმა სურვილმა გააერთიანა საზოგადოებაც და ხელისუფლებაც — ოღონდ ძველი მთავრობა და პრეზიდენტი წასულიყო არენიდან, ეგონათ, რომ ყველაფერი მოწესრიგდებოდა, თავის კალაპოტში ჩადგებოდა. გადადგა პრეზიდენტი, სისხლი არ დაიღვარა, უმტკივნეულოდ შეიცვალა მთავრობის შემადგენლობა, მაგრამ... ისევ მაგრამ...

გავიდა სულ რაღაც სამ წელზე ოდნავ მეტი დრო და — ისევ მიტინგები, ისევ ხალხის უკმაყოფილება... დღე ერთია და შეიძლება ორი აქციაც კი გაიმართოს, ოპოზიციას თითქოს მიმართულებები და თემებიც განაწილებული აქვს, მაგრამ როგორი დიდი სურვილიც არ უნდა გქონდეს, ორ ადგილას ერთდროულად ხომ ვერ იდგები. ამიტომ საზოგადოების მოთხოვნა, ანუ ამომრჩევლის დაკვეთა — ოპოზიციის გაერთიანების შესახებ, ისევ ძალაში რჩება. მაგრამ ოპოზიციამ, ძალისხმევის მიუხედავად, ეს ვერ შეძლო, ამიტომ ძლიერ გუნდად ისევ ხელისუფლება რჩება და, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მან ბევრი რამეც გააკეთა.

ჩამოვთვალოთ? მუდმივი ელექტრო განათება, ქუჩების, გზების, სკვერების კეთილმოწყობა, საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება, ნატოსთან დაახლოება, სამაჩაბლოსა და ზემო აფხაზეთში მართვადი პროცესები და კიდევ ბევრი რამ, რაც ნამდვილად ხდება და მომავალშიც მოხდება, მაგრამ თავად მოსახლეობის უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რომ სასურველი არ არის, ამას ხომ ყველა ხედავს? არის სადმე ისეთი ქვეყანა სადაც ხშირად გადასახადების თანხა აჭარბებდეს ოჯახის შემოსავალს? ანდა უმუშევრობა ისეთ დონეზე იყოს, როგორც ჩვენთან, საქართველოში? უცხოეთს რომ ვედრებით, ხომ ვიცით, იქ უსახლკაროებს, თავშესაფარი რომ არსად აქვთ და ქუჩაში ცხოვრობენ, სახელმწიფო უფასოდ აჭმევს, სხვა ყველა დასაქმებულია, და თუ მუშაობს, იმდენს იღებს, რომ ნორმალურად იცხოვროს?

ამ მხრივ ჩვენთან ნამდვილად გაუსაძლისი მდგომარეობაა. არის დაპირება, საქართველო, უკვე მომავალი წლიდან განვითარებად სტატუსიანი ქვეყნიდან განვითარებულ ქვეყანათა რიგში ჩადგებაო. ეს როგორ, ბატონებო, როგორ შეიძლება ქვეყანა განვითარებული იყოს, როცა სამომხმარებლო ბაზრის 80-90 პროცენტი უცხოურ პროდუქციას აქვს დაკავებული, ხალხი კი, ძირითადად, ვაჭრობით ირჩენდეს თავს? რა თქმა უნდა, შემოსავლებიც აქვს ბევრს, მაგრამ მხოლოდ რჩეულებს — პარლამენტის, მთავრობის წევრებს, რევოლუციაში დამსახურებულ პირებს, ჩინოვნიკებს ხელფასების დანამატებიც ემატებათ, მათი ხელფასები ხშირად ხუთნიშნა ციფრითაც კი აღინიშნება, მაგრამ ბევრს, ძალიან ბევრს 100 ლარიც არა აქვს.

**გულიკო ბანძელაძე, პენსიონერი, პედაგოგი** — ახალგაზრდა აღარ ვარ, მაგრამ აქციებში ვმონაწილეობ, სხვა გზა ამ ხელისუფლებამ აღარ დაგვიტოვა. დარწმუნებული ვარ, თუ მოსაკრებელი დაგვიწესეს, თუნდაც 50 თეთრი, ვერ გადავიხდით. მეუღლეც ავადმყოფია, სად უნდა წავიდეთ, სად უნდა გადავიდეთ, ჩვენი წინაპრები აქ ცხოვრობდნენ, ახლა ხომ არ შემოვსულვარ აქ? ვის მოუვიდა ასეთი კანონის მიღება აზრად, გამოვიდეს ხალხში და დაგველაპარაკოს. ადგნენ და თვითონ გადაიხადონ, მაგათ ფულის მეტი რა აქვთ.

**თამილა გაბისონია** — ისტორიულ უბნებში ძირძველი თბილისელები ცხოვრობენ, და არა „მიკირტუმები“, როგორც პარლამენტარმა ჯუღელმა დაცინვით გვაკადრა, მათგან ძალიან ცოტაა, ვისაც ეკონომიურად არ უჭირს. ჩვენ რა ვქნათ? უბრალო, გაჭირვებულ ხალხს თავი დაგვანებონ, ისედაც ბევრი დარდი გვაწუხებს.

**გიორგი ძნელაძე, უმუშევარი** — რა დავაშავეთ ისეთი, რომ მშობლების ბინაში მთავრობას ფული უნდა გადავუხადოთ, რატომ გვექცევა ხელისუფლება ასე სასტიკად? ყოველთვის უცხოეთის მაგალითი რომ მოჰყავთ, რატომ იმას არ ითვალისწინებენ, იქ რა შემოსავალი აქვს უბრალო ხალხს? უმაღლესდამთავრებული, 46 წლის კაცი უმუშევარი ვარ სამსახურის ლიკვიდაციის გამო, და მოსაკრებელის მთხოვენ? ვერ გადავიხდი. სულ იმას ვფიქრობ, სამი შვილი როგორ გამოვკვებო!

**ლეილა გაბისონია, მარტოხელა დედა.** არავითარი შემოსავალი არ მაქვს. ვეძებ სამუშაოს, მაგრამ ვერაფერი ვნახე. ყველგან თავისიანს იღებენ. მეზობლებისა და ნათესავების შემწეობით ვცხოვრობ. დედა ვარ, მინდა სამსახური. მთავრობა ვალდებულია, დამეხმაროს.

**დავით შალიკაშვილი**: პენსიონერი ვარ, ადრე შეღავათები მქონდა გაზზე, დენზე, და საერთოდ, ტრანსპორზეც. ახლა ყველაფერი მომიხსნეს. რა ვქნა, არ ვიცი. ეს მთავრობა ძალით გვაყენებს ასეთ მდგომარეობაში. რა მინდა მე აქციაზე, 65 წლის კაცს? ამდენი დღეა, თითქმის ყველანი ვიკრიბებით პარლამენტის წინ, ვისაც რა გვაწუხებს, მაგრამ უშედეგოდ. ხელისუფლებას ხალხი სულ არ ანაღვლებს, არც მისი აზრი აინტერესებს.

**ნანა სიხარულიძე, პედაგოგი, 3 შვილის დედა:** არც პოზიციამ გაგვიმართლა და არც ოპოზიციამ. ხომ ყველა იმას ამბობს, ოპოზიციის გაერთიანებაა საჭიროო, მაგრამ ხომ ხედავთ, რა ხდება. ყველა ცალ-ცალკე აწყობს აქციებს. იყოს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ოპოზიციის გაერთიანება ხალხის ძირითადი მოთხოვნაა და ოპოზიციამ ეს უნდა გაითვალისწინოს, ცალ-ცალკე არავის არაფერი გამოუვა. როგორც ჩანს, ხელისუფლებაც ხელს უწყობს ოპოზიციას ხალხის დაქსაქსვაში, ნუთუ ამას ვერ ხვდებიან? მოგვაქციონ ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი იმდენად არის გაბოროტებული, შეიძლება უმართავი პროცესებიც კი განვითარდეს.

**ოპოზიციის ლიდერები ხალხს ისევ და ისევ ხალხმრავალი საპროტესტო გამოსვლებისაკენ მოუწოდებენ. ხალხს კი მიაჩნია, რომ სოციალური გადასახადების განუწყვეტელი ზრდა, რასაც ახლა მოსაკრებელიც ემატება, მათ ცხოვრებას საგრძნობლად აქვირებს.**

**ნაზი იმნაიშვილი**

◎ გლობუსი

# არჩევნების პერიპეტიები

ირანი, ამ შემთხვევაში გადატანით მნიშვნელობას ასრულებს. სინამდვილეში აშშ-ს და ნატოს საფრთხედ რუსეთი მიაჩნიათ.

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების რუსეთის ირგვლივ განლაგება ერთ-ერთი საკვანძო საკითხთაგანია მოსკოვ-ვაშინგტონს შორის არსებულ საკამათო ნუსხაში. არანაკლები სიმწვავე იგრძნობა ენერგეტიკულ და კოსოვოს საკითხებთან დაკავშირებითაც.

კრიტიკის ტალღა მიმართულია, როგორც აშშ-ს, ისე რუსეთის მიმართ. დასავლური პოლიტიკოსები და მასმედია სისტემატურად კიცხავს რუსეთსა და მის პრეზიდენტს. ევროპა-ამერიკის შეტევის გამო რუსეთი სერიოზულ დისკომფორტს განიცდის და ასეთ დროს თუ რას მოიმოქმედებს ის, ძნელი გამოსაცნობი არ არის. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, ვიცე-პრემიერ სერგეი ივანოვის სისტემატური ვიზიტები სამხედრო-სამრეწველო დანიშნულების ობიექტებზე იმის მიმანიშნებელია, რომ რუსეთის სამხედრო, ძალისმიერი გზით შეეცდება ვითარების მის სასარგებლოდ გადაწონვას. რუსეთი მზად არის, მოდერნიზაცია ჩაუტაროს ძველ შეიარაღებას და შექმნას ახალი.

რუსეთის მიმართ კრიტიკის ისრები თუ დასავლეთიდან მოდის, აშშ-ს პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის კრიტიკა ორმხრივია — შიდა და გარე. კრიტიკის თემა ისევ და ისევ ერაყია. გასულ კვირას აშშ-ს კონგრესმა და სენატმა მიიღეს ერაყში ამერიკელ სამხედროთა დაფინანსებისა და 2009 წლის აპრილისათვის ერაყიდან ჯარების გამოყვანის კანონპროექტი. პრეზიდენტმა ბუშმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიყენა ვეტოს უფლება. ერაყში დღეს 14.000 ამერიკელი სამხედროა. გარდა ამისა, იქ არის მოკავშირეთა 16.5 ათასი ჯარისკაცი. ამერიკელთა დახმარებით წვრთნა ჩაუტარდა ერაყის უსაფრთხოების 326.000 სამხედრო მოსამსახურეს. აქედან 138.000 — ჯარისკაცია, ხოლო 188.000 პოლიციელი. ყოველთვიურად ომს 100 ამერიკელი ეწირება, ყოველკვირეულად კი — 2 მილიარდი აშშ დოლარი. ფინანსისტების აზრით, ხანგრძლივი პერიოდით ესოდენ მსხვილი ხარჯის გაწევა ნებისმიერი, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნისათვისაც კი შეუძლებელია. მით უმეტეს, როდესაც არ არსებობს სტიმული, ან თუნდაც მცირედი პროგრესი.

ნათელია აშშ-ს ადმინისტრაციისა და პირადად პრეზიდენტ ბუშის უხეში შეცდომა — ომი ერაყში. ამერიკელი პოლიტიკოსები და ექსპერტები სულ უფრო ხშირად იხსენებენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შეთხზულ მითს სადამ ჰუსეინის ბირთვული იარაღის შესახებ. სწორედ ამ საბაბით შევარდა ამერიკა ერაყში. ბუშისა და მისი ადმინისტრაციის მკაცრი კრიტიკაა ასახული დაზვერვის ყოფილი შეფის ტენეტის წიგნშიც.

აშშ-მ ისე ღრმად შეტოპა ერაყში, რომ გამოსვლა უჭირს. სპეციალისტების აზრით, ამერიკელთა უეცარი გამოსვლა გამოიწვევს ქაოსს, რაც საბოლოოდ დამთავრდება ამერიკელთა უკან დაბრუნებით.

არც დამატებითი სამხედრო ნაწილების გაგზავნა იქნება შვება. მას შესაძლოა, მოჰყვეს ლოკალური წარმატება, რომელიც ისევ სისხლისღვრით შეიცვლება, როდესაც ჯარის ნაწილები სხვა მიმართულებით გადაადგილდება.

დასავლეთში ხშირად გაისმის მოწოდება, რომ ერაყის ხელისუფლებამ თავად მიხედოს საქმეს. კორუმპირებული და ეროვნული შერიგების პროცესიდან შორს მდგომი ერაყის „დემოკრატიული“ ხელისუფლება ვერ გაართმევს თავს ამ საქმეს. არც ერაყის შეიარღებული ძალებია მოწოდების სიმაღლეზე.

ერაყის ჩიხურმა მდგომარეობამ სულ უფრო მეტი ამერიკელი აამხედრა აშშ-ს პრეზიდენტის წინააღმდეგ. დღეს ხშირად გაისმის პრე-



ზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოწოდება. ერაყმა სერიოზულად დააზარალა არა მარტო პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის, არამედ მთლიანად აშშ-ს ავტორიტეტი. ისტორიას ჩაბარდა ამერიკის „მშვიდობის მტრედის“ იმიჯი.

ერაყის საკითხთან დაკავშირებით რუსეთი გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე აშშ-ი. რუსეთი დასაწყისიდანვე ერაყში შეჭრის წინააღმდეგი იყო. თუ ერაყთან დაკავშირებით რუსეთს გაცილებით მომგებიანი პოზიცია უკავია, ამას ვერ ვიტყვით კოსოვოსთან მიმართებაში. მოსკოვი ფაქტობრივად იზოლაციაშია როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა შორის, ისე საკონტაქტო ჯგუფშიც. უშიშროების საბჭოს 5 წევრიდან მხოლოდ რუსეთი არ უჭერს მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას. ჩინეთი თავს იკავებს. საკონტაქტო ჯგუფიც თითქმის იგივე წევრებით — აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთით არის დაკომპლექტებული. მათ გარდა ჯგუფშია გერმანია და იტალია. რუსეთის პოზიციას მეტნაკლებად მხარს უჭერენ უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრები: კატარი, პერუ, განა, კონგო, იტალია, სლოვაკია, ბელგია, ინდონეზია, პანამა, სამხრეთ აფრიკა, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ისინი ბოლომდე მტკიცედ დადგნენ კოსოვოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. რუსეთს მხოლოდ ერთი არჩევანი რჩება — ვეტოს უფლების გამოყენება. უშიშროების საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა 5 მუდმივი და 4 არამუდმივი წევრის თანხმობა. თუ მოსკოვი თავს შეიკავებს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან, ეს გზას გაუხსნის კოსოვოს დამოუკიდებლობას რუსეთი კი არავითარ გარანტიას არ მიიღებს „კოსოვოს ფორმულის“ სხვა კონფლიქტებში გამოყენებისათვის. აქ იგულისხმება აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი.

თუ მოსკოვი გამოიყენებს ვეტოს უფლებას, მაშინ გაამწვავებს ურთიერთობას სერიოზულ საერთაშორისო პარტნიორებთან და ვერც ბელგრადს დაეხმარება. ერთ-ერთ წინა სტატიაში აღვნიშნე კოსოვოს დამოუკიდებლობის კიდევ ერთი გზის შესახებ — დამოუკიდებლობის გამოცხადება. არც ეს გზაა დავიწყებული, კოსოვოს პარლამენტი გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, რასაც უმალ აღიარებენ დასავლეთის სახელმწიფოები. მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაშიც საკითხი მაინც უშიშროების საბჭოში განიხილება, მაგრამ ახალი რეალიების გათვალისწინებით.

დასავლეთში სულ უფრო ხშირად გაისმის მოსაზრება — რაში სჭირდება სერბეთს კოსოვო. წლების განმავლობაში ბელგრადმა ვერა და ვერ მოახერხა კოსოვოში ეკონომიკის გაჯანსაღება. კოსოვო მძიმე ტვირთია არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც, ვინაიდან საჭიროებს ძალიან დიდ ფინანსურ დახმარებას და ამასთანავე, მოსარჯულებელ რეპრესიებს. კოსოვოს მიმართ არსებულ დასავლურ მოსაზრებას იზიარებს ბელგრადის ხელისუფლებაც, მაგრამ მოსახლეობის შეგნებაში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული მიდგომის წინააღმდეგ წასვლა უჭირს.

დასავლეთი მიიჩნევს, რომ ბელგრადისათვის უკეთესი იქნება კოსოვოს დამოუკიდებლობა, რაც მას (ბელგრადსძ გაანთავისუფლებდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და ეკონომიკური პრობლემებისაგან.

არც მოსკოვისთვის არის გადამწყვეტი კოსოვოს ბედი. მას უფრო სხვა რამ აინტერესებს — კოსოვოს ფორმულის მისადაგება დსთ-ს სივრცეში არსებული პრობლემებისადმი. გარდა ამისა, მოსკოვს დამატებითი ბერკეტები უჩნდება დასავლეთთან სხვა უფრო მნიშვნელოვან საკითხებში ვაჭრობის დროს.

მწარე რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ გაცილებით სხვაგვარად უნდა იმოქმედოს, ვიდრე მოქმედებს, მაგრამ მოჭარბებულ ახალგაზრდულ ხელისუფლებას ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ყოველგვარი რჩევა მისთვის მიუღებელია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

# აღზრდა

**ბავშვები სწორად რომ აღიზარდონ, იმ კეთილსასურველ (გარდა მატერიალურისა/ სულიერებრივ ატმოსფეროში უნდა ტრიალებდნენ, ისტორიულად რომ შეუქმნია ერსა და იმის სახელმწიფოს, იმის ოჯახებს და უნდა გვახსოვდეს, დიდებისგან განსხვავებით ბავშვები ცხოვრებას აღიქვამენ, როგორც ზღაპარს**

## ◉ ინფორმაცია

### შედეგები შეაჯამეს

ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირმა საქართველოსა და აზერბაიჯანში პარტნიორული პროგრამების შედეგები შეაჯამა.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გუშინ საქართველოსა და აზერბაიჯანის ჯანდაცვის სამინისტროების ხელმძღვანელებმა, აშშ-ის ელჩმა საქართველოში, ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს 70-მდე წარმომადგენელმა საქართველოსა და აზერბაიჯანში 15 წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების შედეგებზე ისაუბრეს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის განცხადებით, ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირის თანადგომით საქართველოში 3000 სამედიცინო მუშაკის გადამზადება მოხდა.

შიდა ქართლსა და გურიაში კი საოჯახო მედიცინის დანერგვა დღესაც წარმატებით მიმდინარეობს, რომელიც 2004 წელს დაიწყო.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელიც ესწრებოდა.

### ბაღაფში სოხუმში დაბრუნდა

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ თავისი „მოვალეობის“ შესრულებას შეუდგა.

იგი ჩარტერული რეისით მოსკოვიდან სოხუმში დაბრუნდა. როგორც სააგენტო „აპსნი ონლაინი“ იუწყება, ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მას შეუძლია, სრული დატვირთვით იმუშაოს.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა მოსკოვის კარდიოლოგიური ცენტრი 19 აპრილს დატოვა, თუმცა მკურნალობის კურსის დასასრულებლად მოსკოვში რჩებოდა.

### ენგურის ხიდს გამალებით ხერგავენ

ენგურის ცენტრალურ ხიდთან მდებარე რუსეთის სამშვიდობო ძალების 301-ე საგუშაგოზე წინალობებისა და სხვა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების განახლების სამუშაოები მიმდინარეობს.

სამშვიდობო ძალების ერთ-ერთმა ოფიცერმა ადგილზე მისულ ქართველ ჟურნალისტებს პოსტის ტერიტორიის დატოვება სთხოვა, თუმცა აღნიშნა, რომ როგორც ქვეითებისთვის, ასევე ნებისმიერი სახის ტრანსპორტისთვის მოძრაობა ენგურის ხიდზე შეზღუდული არ არის.

თავისუფლად გადაადგილდება, ასევე, გაეროს ოფისის მიერ დანიშნული უფასო ავტობუსი, რომელიც ენგურის ხიდის გავლით მოძრაობს.

ინტერპრესნიუსი

## ◉ გზად მომავლისკენ

**ამ წერილის სათაური იანუშ კორჩაკის (1878-1942/, ცნობილი პოლონელი მწერლისა და პედაგოგის წიგნის სათაურია. ამ კაცის ღვაწლი იმდენად დიდია, რომ მისი დაბადებიდან 100 წლის იუბილის აღნიშვნა გადაწყვიტა იუნესკომ – გაეროს ორგანიზაციამ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში.**

არის თხზულებანი, რომლის მნიშვნელობა რაღაც დროით ვერ შემოიფარგლება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მათი თემები სულ მუდამ აქტუალურია და დაუბერებელი, ჯერ ერთი და კიდევ, იმდენად ღრმად და სრულყოფილადაა გადმოცემული ეს თემები, რომ ამ მხრივაც საგულისხმო და დიდად მნიშვნელოვანია მკითხველისთვის, განსაკუთრებით კი ამ თემებიდან უპირველესი, ცხადია, ბავშვის აღზრდა უნდა იყოს, და ამიტომ გაოცებული ვიყავი, როდესაც საქართველოს განათლების სამინისტროში არ დამეხმარნენ ამ წიგნის ქართული თარგმანის გამოცემაში, უფრო სწორად, უარი თქვეს დახმარებოდნენ მშობლებს, სკოლების, ინტერნატების მასწავლებელ-აღმზრდელებს და ა.შ.

იმის მერე 2 თუ 3 წელიწადი გავიდა და დღეს ბავშვის აღზრდის პრობლემები და მათი მოუგვარებლობა უკვე ძალიან მტკივნეულადაა გამომზეურებული ჩვენი საზოგადოებისთვის.

თუნდაც ამ წიგნის თავების სათაურების ნახვითაც ზემოხსენებულ სამინისტროში უნდა მიმხვდარიყვნენ იმის დასტამბვის აუცილებლობას (2005 წლიდან ეს თხზულება იბეჭდება ალმანახ „საუნჯეში“/, მაგრამ აქ არ იყო (!/ სურვილი, გაცნობოდნენ ამ საინტერესო ნაშრომს და არც, როგორც ვთქვით, თუნდაც მისი სათაურები ენახათ. ვინ იცის, ეს სურვილი რომ ყოფილიყო, იქნებ სკოლებში, ვინ იცის-მეთქი, ვიდეო-თვალების დაყენების აუცილებლობა არ დამდგარიყო, რაც მეტად, მეტად ძვირი იქნება და, რაც მთავარია, ბავშვის აღზრდის პრობლემებს ამით ვერ მოევლება.

სრული სახით ეს წიგნი ოთხთავიანია – „ბავშვი ოჯახში“, „ინტერნატი“, „საზაფხულო ბანაკები“, „ობოლთა სახლი“.

პირველი ამათ შორის – „ბავშვი ოჯახში“, როგორც წესი, პოლონეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ცალკე წიგნად გამოდის, რადგანაც, საბედნიეროდ, უმრავლესობა ბავშვებისა ოჯახებში იზრდება, ხოლო შედარებით ნაკლები – ობოლთა სახლებში. ჩვენთან ეს დაწესებულებები სხვა სახელებითაა ცნობილი.

ცხადია, ჩვეულებრივ საგაზეთო წერილში ამ წიგნის შინაარსის, უფრო სწორად, მისი თუნდაც სულ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადმოცემა შეუძლებელია და აქ მოყვანილი მრავალი ჭეშმარიტებიდან მხოლოდ რამდენიმეს უნდა შევეხოთ, ისინი შეიძლება ამ შრომის ლაიტმოტივადაც აღვიქვათ.

იანუშ კორჩაკის მიხედვით, არ შეიძლება ბავშვის იძულების თოკით თრევა, რადგანაც ასე ვაითუ ის აღიზარდოს პიროვნება სუსტი, უილაჯო, ნებისყოფასა და პასუხისმგებლობას მოკლებული, თუმცა ისიც ცხადია, **„მაშინ ყველაფერი დავანებოთ? არაფრის დიდებით“, სევდამორეული მონისგან ჩვენ შევქმნით სევდით გატანჯულ ტირანს, ხოლო რომ ვუკრძალავთ, ასე თუ ისე, ნებისყოფას ვუწრთობთ, თუმცა მხოლოდ თავმოზღუდულობით მოპართულს, გამომგონებლობას ვუწეითა-რებთ, მეთვალყურეობას დასხლტომის ნიჭსაც, ვუღვიძებთ კრიტიკულობას, და ეს რაღაცით ღირსშესანიშნავია, როგორც – მართალია, ცალმხრივი, – მაგრამ მაინც – ცხოვრებისთვის მომზადებაა. ბავშვებს სუყველაფერს რომ ვანებებთ, უნდა გვეშინოდეს, თითქოსდა საჭირვეულოდ რომ ვაგულიანებთ, ძლიერი სურვილები არ დავუხშოთ, მაშინ ჩვენ ნებისყოფას ვუსუსტებდით, ახლა კი ვწამლავთ“.**

გამოსავალი რა არის, რა არის ის ოქროს შუალედი, ბავშვის აღზრდის დროს რომ უნდა მივაკვლიოთ? ამაზე პასუხი შეიძლება მთელ ამ წიგნში ვნახოთ, ოღონდ შემცდარი ვიქნებით, თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს პასუხი მკვეთრადაა ჩამოყალიბებული, რადგანაც **„ვიღაცას რომ მოსთხოვო მზა აზრები, იგივეა, სხვა ქალს დაავალო შენი შვილის შობა. არის აზრები, რომლებიც შენი საკუთარი გვემა-წამებით უნდა იშვნენ და სწორედ ისინი შეიქნებიან ყველაზე უფრო ღირებულნი. სწორედ ამ აზრებისდა კვალად შენ, დედა, მოაწოვებ ძუძუს ან ცურს მიაჩებ, აღზრდი ვითარცა ადამიანს ან ხელმძღვანელობას დაუწყებ ვითარცა ძუ, ან წაიყვან იძულების თოკით..“**

და ეს ასეა, თუ კარგად გვესმის, ყოველი ადამიანი, ბავშვი ერთადერთია და განუმეორებელი, ყოველი ბავშვის სულისკენ (სულიერებისკენ!/ მიმავალი გზაც ერთადერთი და განუმეორებელია, და ჩვენზეა დამოკიდებული, იქით მრუდე გზით გავემართებით თუ მართებულით. ის ოქროს შუალედი ბავშვთან თანამშრომლობაა, როგორც ოჯახში, ისევე მაშინ, როდესაც ბავშვების დიდ ოჯახთან გვაქვს საქმე, სკოლებსა და ინტერნატებში. **„ბავშვები ძალაა, რომელსაც შეიძლება თანამშრომლობისთვის მოვუხმოთ ან უკუვაგდოთ“.**

და მართლაც, ოდითგანვეა ასე, ბავშვების მოხმობა თანამშრომლობისთვის აღსაზრდელებისა და მშობლების, პედაგოგების გამარჯვების საწინდარია, ხოლო უკუგდება – დამარცხებისა, ჩვენს ქვეყანაში მაღალი ზნეობის დასამკვიდრებელი გზა ეკლიანია და ძნელი.

**„სანამ ყოველს არ ექნება პური და ჭერი თავზე, არც უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ვცხოვრობთ ადამიანების საზოგადოებაში“** – იანუშ კორჩაკის ეს სიტყვები გვამცნობს უპირველეს აუცილებლობასა და მოვალეობას იმ ქვეყნისა, სადაც იზრდება ბავშვი. სახელმწიფოს არსებობის (ჩვენ ვამბობთ, სახელმწიფოს, რადგანაც შეუძლებელია – ქართველებმა ეს უკვე კარგად გავიგეთ – ადამიანს ჰქონდეს სამშობლო, რომელიც, ამავე დროს, სახელმწიფო არ არის და ისიც საკითხავია – როგორი სახელმწიფო!/ ცივილიზებული სახე და საღუძვლია, ბავშვები არ უნდა იზრდებოდნენ შიმშილში, ბავსაკლის პირობებში, მხოლოდ ასე შესაძლებელი აღმზრდელობითი კანონების აღსრულება.

ბავშვები სწორად რომ აღიზარდონ, იმ კეთილსასურველ (გარდა მატერიალურისა/ სულიერებრივ ატმოსფეროში უნდა ტრიალებდნენ, ისტორიულად რომ შეუქმნია ერსა და იმის სახელმწიფოს, იმის ოჯახებს და უნდა გვახსოვდეს, დიდებისგან განსხვავებით ბავშვები ცხოვრებას აღიქვამენ, როგორც ზღაპარს. იანუშ კორჩაკის ამ წიგნის ზოგიერთი თავი იწყება ასეთი სიტყვებით: „ცხოვრება ზღაპარია“, „ზღაპარი ხალხების შესახებ“, „ადამიანი ზღაპარია“, „ზღაპარი ავტორიტეტის შესახებ“, „სევდიანი ზღაპარი, იდუმალი სილატაკე“.

და აი საზოგადოება, სახელმწიფო ზოგჯერ უმოწყალოდ მიმლავრდება ხოლმე ამ ზღაპარზე, და განსაკუთრებით ეს მაშინ არის საშიში, როდესაც ხდება ეროვნული ცნობიერების, ენისა და ისტორიის იავარქმნა (ანუ ამათი ჩანაცვლება დღევანდელი მსოფლიოს გაუკუღმართებული დინებებით; უნდა გვყოფნიდეს ჭკუა და ძალა ამ დინებებთან შესაჭიდებლად ჩვენდა და ჩვენი ბავშვების სასიკეთოდ/.

იანუშ კორჩაკი წერდა: **„მშობლიური ენა – ბავშვისთვის შერჩეული საგანგებო წესებისა და მაღალი ზნეობის მომნიჭებელი კი არ არის, არამედ სწორედ ის, რითიც სუნთქავს სული მთელი ერის სულთან ერთად, სიმართლე და ჭოჭმანი, რწმენა და ჩვეულება, სიყვარული და შეძაგება, ცელქობა და თავმოზღუდულობა, მრავალნაირი ღირსება და სიმდაბლე, სიმდიდრე და სილარიბე – ყოველივე ის, რაც შეუქმნია პოეტს შთაგონების წამს და რაც მიუთვისებია ღვინით გამომტყვრალ ავაზაკს, რაც კი შექმნილა საუკუნეობით თავდაუზოგავი შრომითა და მონობის შავბნელ წლებში“.**

სიტყვამ მოიტანა და აქ შეიძლება ჩვენი შესანიშნავი მწერლის ჯემალ ქარჩხაძის სიტყვები გავიხსენოთ: „მიწას თუ „მიწა“ არ უწოდე და სხვა რამ უწოდე, ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი მიწა კი არ იქნება, არამედ სხვა რამე“.

ბავშვის აღმზრდელობითი პროცესი ოჯახსა და სახელმწიფოში (სკოლაში, ინტერნატებსა და სხვაგან.../ დღემუდამ იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ნათელი სინდისით შეგვეძლოს ვთქვათ, ჩვენ ვქმენით, რაც შევგვეძლო, ჯერი ახლა თქვენზეა. მხოლოდ მრავალმხრივი ძალისხმევის შემდეგ, თუ რა ძალისხმევანია ესენი, სრულად შესაძლოა მხოლოდ ამ წიგნის წაკითხვის, კარგად წაკითხვის მერე გამომზეურდეს, და შეიძლება აქ გავიმეოროთ ეს სიტყვები, წარმომჩენი იმ მცნების, რომელიც ბავშვის აღზრდის ძირისძირთან არის დაკავშირებული და სულ მუდამ უსხლტება ჩვენს ცნობიერებას:

**„ჩვენ არ გვინდა თავს მოგახვიოთ ღმერთი, რადგანაც თავად უნდა მიაკვლიოთ მას საკუთარი სულის წიაღში, მარტოობის ჟამს ლტოლვისას. თქვენ ჯერ კიდევ არა გაქვთ სამშობლო, მაგრამ თქვენ უნდა მიაკვლიოთ მას გულისა და ცნობა-გონების გაუსრულებელი რუდუნებით, შეუძლებელია ამ წუთისავე შეგიყვარონ შენ, რადგანაც არ არის სიყვარული ყოვლის მიუტევებლად, ხოლო პატიება – მძიმე ჯვარია, რომელიც თითოეულმა უნდა ზიდოს. ჩვენ მოგეცით ერთადერთი – წყურვილი უკეთესი ცხოვრებისა რაც არ არის და კი უნდა იყოს როდისმე, წყურვილი სიმართლისა და სამართლიანობის. შეიძლება ხსენებულმა წყურვილმა მიგიყვანოთ ღმერთთან, მშობლიურ ქვეყანასთან და სიყვარულთან“.**

იანუშ კორჩაკი წერდა: **„ბავშვებთან ერთად სკოლებიც უნდა იზრდებოდეს, ის ადგილები, სადაც შეიძლება შრომა, საავადმყოფოები, კულტურის კერები, ცხოვრების პირობები...“**

**საქართველოში სკოლები რომ იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება, ეს ამბავი სწორედაც მისასალმებელია, მაგრამ ბევრი რამ იყიდება და ისე, რომ შეიძლება საზიანო იყოს ბავშვებისთვისა და საზოგადოებისთვისაც მთლიანად, და ეს გარემოება ფრიად დამაფიქრებელია ამ მხრივ და კიდევ სხვა მხრივაც, რადგანაც გაყიდვა, ასეა ოდითგანვე, ადვილია, მაგრამ დაბრუნება ძნელი და შეუძლებელი.**

**ჩვენთან ზოგჯერ ამ მხრივ არამცთუ ასგზის ზომავენ, ერთხელაც არა, სამწუხაროდ, ამის დასტურად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.**

**აი რამდენიმე: გამომცემლობა „ნაკადული“ რომ ბავშვებისთვის საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, ეს ცხადია, და ამ გამომცემლობის ფართობს გაყიდვა დამუქრებია, თანაც ისე, რომ იმის გაყიდვას გამომცემლობის ლიკვიდაციაც უნდა მოჰყვეს...**

**იპოდრომთან ვისაც გაუვლია, თუ იქ შეუვლია, კარგად დაინახავდა, ეს ადგილი და სივრცე არა მარტო ქალაქ თბილისის ფილტვებია, ის ადგილიცაა, სადაც ბავშვები დადიან და ვარჯიშობენ...**

**სულ ახლოს, აქვე, თუ არ ვცდებით, „ქარიშხალას“ დარბაზის გაყიდვასაც აპირებენ და ეს ის ადგილია, სადაც ბევრი ბავშვი და მათი სპორტული გუნდები ვარჯიშობენ...**

ზაურ კილაძე



## „როგორ უნდა ბავშვის სიყვარული...“

*მე არ ვიცი, და არც შენმა მასწავლებელმა იცის, არავინმა არ იცის, და მსოფლიოში ვერც ერთი წიგნი ვერ გეტყვის, რა სიზმრებს ხედავდა მოსე და რა ჭეშმარიტებანი შეიცნო, როდესაც ბავშვი იყო...*

*იანუშ კორჩაკი, „მოსე“*

# ჯანმრთელობა

სამწუხაროდ, არტერიული წნევის მომატების მიზეზები დღემდე ამოუცნობია, მაგრამ შესაძლებელი და აუცილებელია მისი გაკონტროლება როგორც არამედიკამენტოზური ხერხებით (წონის დაკლება, მარილის და ალკოჰოლის შემცირება, ფიზიკური აქტივობის გაზრდაძ, აგრეთვე, სწორად შერჩეული მედიკამენტოზური მკურნალობით



## საუკუნის დაავადება

*ათეროსკლეროზი საუკუნის დაავადებაა. მთელი მსოფლიოს წამყვანი მედიკოსები აქტიურად მუშაობენ მის დასამარცხებლად, მაგრამ ვერა და ვერ გამოიძებნა ისეთი საიმედო, ერთადერთი წამალი, რომელიც ამ სენს მოერეოდა. თუმცა, ანკი როგორ გამოიძებნება, როდესაც თითოეულ ათეროსკლეროზის გამომწვევი მიზეზი უამრავია: მაღალი არტერიული წნევა, უმოძრაო ცხოვრების წესი, ფსიქო-ემოციური დაძაბვა, სიგარეტის წევა, ლოთობა... და ეს არ არის მიზეზთა სრული ჩამონათვალი.*

*რაც შეეხება ათეროსკლეროზის შედეგებს, მართლაც, სავალალოა: ინვალიდობიდან თვით უეცარ სიკვდილამდე. შემაშფოთებელია დაავადების მსოფლიო სტატისტიკაც... თანაც ის რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდა.*

*სწორედ ათეროსკლეროზის პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს მიეძღვნა სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“.*

*ძალზე საინტერესო იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ ვახტანგ ჭუმბურიძის მოხსენება თემაზე „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სწორი მართვა — პაციენტის სიცოცხლის გახანგრძლივების რეალური შანსი“.*

*დამსწრე საზოგადოებამ ასევე დიდი ყურადღებით მოისმინა კარდიო-ვასკულარული კლინიკის ხელმძღვანელის, პროფესორ თამაზ შაბურიშვილის „გულის იშემიური დაავადებისას მკურნალობის თანამედროვე სტანდარტების და რეკომენდაციების შესახებ“.*

# წნევა გაქვთ? — მოდაში რომ აღარ არის?..

**აქვე დრამატული გადახვევა — ერთი შემთხვევა, რომელიც მრავალს ჰგავს: 52 წლის ჭარბი წონის მამაკაცი, მსხვილი საწარმოს კომერციული დირექტორი, ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესით ცხოვრობდა. სამსახურში ისეთი სამუშაო ჰქონდა, იძულებული იყო, სულ სკამზე მჯდარიყო, პასუხისმგებლობის გამო სულ მუდამ სტრესში მყოფი, 6 წლის მანძილზე ატარებდა მაღალ არტერიულ წნევას (150-100 — 160-100ძ, მაგრამ მოუცლელობის გამო არ მკურნალობდა. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ მიიყვანეს საავადმყოფოში ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევის გამო.**

**შედეგი — პარალიზებულია მარცხენა ხელ-ფეხი. ორი თვეა საწოლს არის მიჯაჭვული. მისი მეუღლე ამჟამად მისი მარჩენალიც არის და მომვლელიც. დარჩა ინვალიდად სიცოცხლის ბოლომდე, ვერ დაუბრუნდა სამუშაოს და მათ ორ შვილს ჯერ კიდევ არ მიუღია განათლება...**

რატომ არის საშიში არტერიული წნევის მომატება? — ამის შესახებ მეცნიერები კონფერენციაზე ძალზე მაღალ დონეზე, თითქმის ყველასთვის გასაგები ენით საუბრობდნენ. გარდა ამისა, მათ დამსწრეთ დაახვედრეს საჩუქრად სახელმძღვანელო ექიმებისათვის, რომელიც პროფესორ ოსტროუმოვას მიერ არის მომზადებული. ამ ბროშურაში წერია: **„არტერიული ჰიპერტენზია საშიშია არა მხოლოდ უსიამოვნო შეგრძნებების გამოვლინების გამო (თავის ტკივილი, დაღლილობის შეგრძნება, უძილობა, „ვარსკვლავები თვალებში“ძ, ის საშიშია უპირველესად თავისი გართულებებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს, არღვევენ მის შრომისუნარიანობას და ცვლიან რადიკალურად მისი ცხოვრების მთელ რიტმს...“**



უნდა გვახსოვდეს, რომ არტერიული ჰიპერტენზია არის ერთ-ერთი მთავარი(თუმცა არა ერთადერთიძ რისკის ფაქტორი მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის, გულისა და თირკმლის უკმარისობის განვითარებაში. დადგენილია, რომ მიოკარდიუმის ინფარქტის 100-დან 68 შემთხვევაში და ინსულტის 100-დან 75 შემთხვევაში ავადმყოფებს ჰქონდათ მაღალი არტერიული წნევა, რომელსაც არასდროს მკურნალობდნენ.

45 წელზე მეტი ხნის ქალბატონების 50 პროცენტზე მეტს და 65 წელს გადაცილებულ 75 პროცენტზე მეტ შემთხვევაში გვხვდება არტერიული ჰიპერტენზია. ქალებში უმეტესად იზოლირებული, სისტოლური (ზედაძ ჰიპერტენზია სჭარბობს, შესაბამისად, მათ უზიანდებათ გული — ე.წ. მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია — კედლების გასქელება!

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მეორე ქალბატონის სიკვდილის მიზეზი სისხლძარღვოვანი დაავადებებია. ცნობილია, რომ სისხლძარღვოვანი დაავადებების სწორი მკურნალობა ქალებში 10 წლით ახანგრძლივებს სიცოცხლეს, ხოლო ავთვისებიანი სიმსივნეების წარმატებული მკურნალობა კი მხოლოდ 3 წლით...

პროფესორმა **ვახტანგ ჭუმბურიძემ** დამსწრეთ გააცნო შედარებით ახალი პრეპარატი, „ზოკორი“, როგორც ყველაზე საიმედო სამკურნალო საშუალება გულის იშემიური დაავადებების, მიოკარდის ინფარქტის, ინსულტის, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლილობის დროს: „ზოკორს“ სპეციალისტები პაციენტს უნიშნავენ მაღალი ქოლესტერინის, მაღალი არტერიული წნევის, შაქრიანი დიაბეტის, მომატებული წონის შემთხვევებშიც...

სამეცნიერო-კვლევით კონფერენციაზე მოსული სპეციალისტებისათვის ფრიად ყურადსაღები და საინტერესო აღმოჩნდა დიაბეტის ცენტრის დირექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ ყურაშვილის მოხსენება **„მეტაბოლური სინდრომი — დისლიპიდემიისა და დისგლიკემიის ტანდემი“**. პროფესორმა ფართოდ მიმოიხილა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ურთულესი მეტაბოლური პროცესები, ნივთიერებათა ცვლის მოშლილობის გამომწვევი მიზეზები და ისაუბრა როგორც დიაბეტის პროფილაქტიკაზე, ასევე იმ სიახლეებზე, რაც ამ სენთან საბრძოლველად არის დღემდე მოწოდებული. პროფესიონალ მედიკოსებს დიდი შესაძლებლობა გააჩნიათ. დაავადებების შესაჩერებლად კი ახლა ჯერი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზატორებზეა.

ბატონ რამაზის სიტყვით, მეტაბოლური სინდრომი წარმოადგენს ინფარქტის გამომწვევი ყველაზე საშიში რისკის ფაქტორების ერთობლიობას: დიაბეტი და უზმოდ პლაზმის გლუკოზის მაღალი ციფრები, აბდომინური სიმსუქნე, მაღალი ქოლესტერინი და არტერიული წნევა. ექსპერტების რამდენიმე ჯგუფმა შეიმუშავა მეტაბოლური სინდრომის სადიაგნოსტიკო კლინიკური კრიტერიუმები. მეტაბოლური სინდრომის პროფილზე წელის გარშემოწერილობის მეშვეობით შეფასებული მუცლის არეში განლაგებული ჭარბი ცხიმი უფრო მიგვანიშნებს... მსოფლიოში 1,7 მილიარდი ადამიანი უკვე იმყოფება წონასთან დაკავშირებული ისეთი არაგადამდები დაავადებების რისკის ქვეშ, როგორიცაა ტიპი 2 დიაბეტი.

ყურადღებით მოისმინეს სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის **თამარ ვახტანგაძის „გულის იშემიური დაავადება ქალებში“** და ასევე — **„ორიგინალი თუ გენერიკი?“** — გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ინტენსიური თერაპიის ბლოკის ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის **არჩილ ჩუხრუკიძის** გამოსვლები.

მართლაც, ძნელია, ამ ერთ საგაზეთო წერილში სრულად გადმოსცე ის შთაბეჭდილება, რაც ადამიანს შეექმნებოდა კონფერენციის მსვლელობისას. მაგრამ ცხადია, რომ ქართველი ექიმები არ ჩამორჩებიან მსოფლიოს მაღალი დონის თავის კოლეგებს და, რაც მთავარია, აქვთ იმის სურვილი, რომ საქართველოში ფართოდ დაინერგოს პროფილაქტიკური ღონისძიებები ჩვენი მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის, რომ პაციენტი დროზე მივიდეს ექიმთან, არ მოითმინოს პატარა დისკომფორტიც კი...

**სამწუხაროდ, არტერიული წნევის მომატების მიზეზები დღემდე ამოუცნობია, მაგრამ შესაძლებელი და აუცილებელია მისი გაკონტროლება როგორც არამედიკამენტოზური ხერხებით (წონის დაკლება, მარილის და ალკოჰოლის შემცირება, ფიზიკური აქტივობის გაზრდაძ, აგრეთვე, სწორად შერჩეული მედიკამენტოზური მკურნალობით.**

**... და მაინც, თუკი წინაპრებს მოვუსმენთ, ჯანმრთელობის საიდუმლო მოძრაობაში, ზომიერ კვებაში, ხალისიან ცხოვრებაში და შინაგან სიმშვიდეშია. მაგრამ ეს რაოდენ შორეულ ამბად გვექცა დღეს ქართველებს!..**

**ლია ჭილლაძე.**

## ინფორმაცია

### კატის საშველად — „ედპ“-ს ოფისში

**„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ოფისში შეჭრაში ეჭვმიტანილი ლადო სულაბერიძის ახლობლები ძარცვის ან სხვა დანაშაულებრივი განზრახვის არსებობას კატეგორიულად გამორიცხავენ.**

**როგორც სულაბერიძის ნათესავებმა სატელეფონო საუბრისას განაცხადეს, სულაბერიძე პარტიის ოფისის აივანზე აივნის რიკულში გაჩხერილი კატის საშველად ავიდა და რადგანაც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, წაბორძიკებისას მინები ჩაამსხვრია.**

**მათივე თქმით, არავითარი დანაშაულებრივი განზრახვა პარტიის ან სხვა პირების მიმართ სულაბერიძეს არ გააჩნდა.**

**ლადო სულაბერიძე წარსულში რამდენიმე ქართულ გაზეთში მუშაობდა. იგი ოთხი შვილის მამაა.**

**ინფორმაცია ლადო სულაბერიძის პარტიის ოფისში შესვლის შესახებ ედპ-ს ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა. მისი თქმით, სულაბერიძე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის აპარატის თანამშრომელია.**

**„ლადო სულაბერიძე პარლამენტში შოთა მალაშხიასთან მუშაობს. ბოლო დროს მალაშხიამ ჩვენი მისამართით განცხადებებს მოუხშირა, თუმცა ამის მიუხედავად, ოფისში შეჭრის ფაქტს ამასთან ჯერ ვერ დავაკავშირებ“,— აღნიშნა ქარდავამ.**

### გაუქმდა პარტიების ანონიმურად დაფინანსება

**ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი დავით ბერძენიშვილი პარტიების ანონიმურად დაფინანსების წესის გაუქმებას მიესალმება.**

**როგორც დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, მმართველი პარტიისგან განსხვავებით, ოპოზიცია ანონიმურად არასდროს ფინანსდებოდა.**

**მისი თქმით, თუ ანონიმური დაფინანსების გაუქმება სწორედ უმრავლესობის წევრის რატი სამყურაშვილის ინიციატივაა, ის მხოლოდ „მიესალმება სამყურაშვილის ბრძოლას ხელისუფლების წინაალმდეგ“.**

**რაც შეეხება პარტიების ანონიმური დაფინანსების გაუქმებას, მას „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესის შესახებ“ კანონპროექტის შეჯერებული ვარიანტი ითვალისწინებს.**

**ინტერპრესნიუსი**

## ინფორმაცია

### საქართველო — „ჩინური საფრთხის“ წინაშე

**საქართველო „ჩინური საფრთხის“ წინაშე აღმოჩნდა. ასეთი განცხადება გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ გააკეთა.**

**მისი თქმით, უახლოეს პერიოდში საქართველოს წინაშე დადგება დემოგრაფიული პრობლემა, რადგან ჩინელებს მარტივად ანიჭებენ საქართველოს მოქალაქეობას და მათ ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობები ექმნებათ.**

**კერძოდ, ბაღათურიას განცხადებით, მათ აქვთ უფლება, საქართველოში ბიზნესის საწარმოებლად გამოიყენონ დემპინგური ფასები, რაც ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესს ანადგურებს.**

**ბაღათურია მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება მოღალატურ პოლიტიკას აწარმოებს. მისი აზრით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ უნდა მიეყიდოს საქართველოს მიწა, ტყე, მდინარეები და ქართველი გლეხი არ უნდა აღმოჩნდეს ფეოდალური წყობის წინაშე.**

**„ჩვენ ვილაშქრებთ სამშობლოს ღალატის წინაშე, რითაც კორუმპირებული ჩინოვნიკები მდიდრდებიან“, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.**

**მისივე თქმით, ჩინელები არა მხოლოდ ქალაქში, სოფლებშიც მკვიდრდებიან და საქართველოს მოქალაქეები „მათ მონებად იქცევიან“. აქედან გამომდინარე, „ქართული დასის“ ლიდერი აცხადებს, რომ 8 მაისს დაგეგმილ საპროტესტო აქციას დაემატება კიდევ ერთი მოთხოვნა, რომელიც უცხოელი მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით კი ჩინელებისთვის, საქართველოში ხელსაყრელი პირობების შექმნის გაპროტესტებას შეეხება.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● სამხრეთ ოსეთის მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ ქართული ბატალიონის ასეთი ხშირი როტაცია მიზნად ისახავს ადგილმდებარეობის დაზვერვას და ეს ხორციელდება სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის მომზადების მიზნით

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



## 1 მაისი საქართველოში: გაზის ფასის მომატებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა

**საქართველოში ფართოდ აღინიშნა 1 მაისი. თუმცა, საქმე ეხება არა მშრომელთა სადღესასწაულო მანიფესტაციებს, არამედ სოციალური ხასიათის მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციებს, რომლებიც ორგანიზებული იყო პროფკავშირებისა და ოპოზიციური პარტიების მოწოდებით.**

უცნაური დამთხვევაა, მაგრამ სწორედ 1 მაისიდან საქართველოში გაძვირდა ბუნებრივი გაზი. ჰოდა, არ არის გასაკვირი, რომ სწორედ ამან გაამძაფრა კიდეც ხალხის ისედაც არასადღესასწაულო განწყობა, რომელსაც ნამდვილად არ აქვს საფუძველი, იყოს კმაყოფილი ცხოვრების დონით. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ საპროტესტო აქციები სხვადასხვა მოთხოვნებით წინასწარ დაგეგმეს 1 მაისისთვის ქვეყნის მრავალ ქალაქში – რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა.

თბილისში რამდენიმე ათასმა კაცმა ჩაიარა ქალაქის ცენტრალური ქუჩები, რომლებსაც მოჰქონდათ ფასების მომატების საწინააღმდეგო ლოზუნგები. გაისმოდა მოწოდებები მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. პარალელურად, რამდენიმე ოპოზიციურმა ორგანიზაციამ „მწვანეთა პარტიის" ინიციატივით გამართა საპროტესტო აქცია, რომელიც მიმართული იყო საქართველოს ეკონომიკისა და სტრუქტურულ რეფორმათა მინისტრის, ცნობილი ბიზნესმენის კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ. ამ ადამიანს ადანაშაულებენ იმაში, რომ სურს საქართველოს სატყეო სავარგულები მიჰყიდოს უცხოელ ბიზნესმენებს.

მიტინგი გაიმართა, ასევე პარლამენტის შენობასთან, რომლის მონაწილეები – ოპოზიციის მომხრეები – მოითხოვდნენ მთავრობის გადადგომას. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიცია გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს მიმდინარე მოვლენებს, თუმცა არ ცდილობდა ჩარევას ან რაიმე გავლენის მოხდენას.

**გიორგი კობალაძე**

РАДИО СВОБОДА

## ქართულმა მხარემ კვლავ დაარღვია სამშვიდობოთა როტაციის ვადები

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შემავალი ქართული სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეთა როტაცია კვლავ ხორციელდება ხელშეკრულებით დათქმული ვადების დარღვევით, – განაცხადა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის საკითხებში ვლადიმერ ივანოვმა.**

„ბოლოჯერ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების შეცვლა მოხდა მიმდინარე წლის 17 იანვარს. დარღვეულია, ასევე შერეული საკონტროლო კომისიის 2005 წლის 16-17 მარტის № 42 გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მომავალი როტაციის შესახებ შეტყობინება უნდა მივიღოთ ამ ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე", – თქვა ივანოვმა.

შეგახსენებთ, რომ „კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კონტინგენტებისა და სამხედრო მეთვალყურეთა საქმიანობის პრინციპების შესახებ დებულების" თანახმად, სამშვიდობო ბატალიონების როტაცია ხორციელდება ერთხელ ექვსი თვის განმავლობაში. საქართველომ კი თავისი ბატალიონის როტაცია განახორციელა 2004 წლის 22-23 სექტემბერს, 2004 წლის 17-18 ნოემბერს, 2005 წლის 24-27 იანვარს, 2005 წლის 24-25 მარტს, საგეგმო როტაცია განხორციელდა, ასევე 2005 წლის 6 სექტემბერს, 2006 წლის 9 იანვარს, 2006 წლის 27 მარტს, 2006 წლის 27 მაისს, 2006 წლის 25 ივლისს, 24 აგვისტოს კი ქართულმა მხარემ მოახდინა თავისი სამშვიდობო ბატალიონის დამატებითი დაკომპლექტება, როცა კონფლიქტის ზონაში დამატებით შეიყვანეს 100 კაცი. 2007 წლის 17 იანვარს ქართულმა მხარემ კვლავ განახორციელა მორიგი როტაცია. ქართული სამშვიდობო ბატალიონის შეცვლა მოხდა, ასევე მიმდინარე წლის 1 მაისსაც.

სამხრეთ ოსეთის მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ ქართული ბატალიონის ასეთი ხშირი როტაცია მიზნად ისახავს ადგილმდებარეობის დაზვერვას და ეს ხორციელდება სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის მომზადების მიზნით.

REGNUM



## საქართველო თავდაცვისთვის განკუთვნილ ხარჯებს ერთიორად ზრდის

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი მიმდინარე წელს თითქმის ერთიორად გაიზრდება და მიაღწევს დაახლოებით მილიარდ ლარს (570 მილიონ ამერიკულ დოლარს). ქვეყნის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი 1 მაისს განიხილა და მოიწონა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა.**

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ინფორმაციით, დამატებითი დაფინანსება მოხმარდება იმას, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები შეესაბამებოდეს ნატოს სტანდარტებს, აგრეთვე არმიაში სამსახური გადავიდეს საკონტრაქტო საფუძველზე.

თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯვის მიმართ ტრადიციულად გამოთქვა პრეტენზია პარლამენტის „მემარჯვენე ოპოზიციის" ფრაქციამ. მისი ერთ-ერთი ლიდერის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, სამინისტროში არ არსებობს სახსრების ხარჯვის „გამჭვირვალე" სისტემა, „ბიუჯეტი დეტალურად არ არის გაწერილი", „არ არსებობს სამოქალაქო და პარლამენტის კონტროლი ამ უწყების კუთვნილი ფულის ხარჯვაზე". „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რას ხმარდება ყოველი თეთრი", – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ. თუმცა, თავდაცვის სამინისტროში ოპოზიციის ამ ეჭვს უწოდეს „სრულიად უსაფუძვლო" და განაცხადეს, რომ უწყების ბიუჯეტი ძალზე დეტალურადაა გაწერილი.

РОСБАЛТ

## საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონები შეიქმნება

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით ქვეყანაში შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონები. შესაბამისი კანონპროექტი უკვე გადაეცა განსახილველად საქართველოს პარლამენტს.**

როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოში განმარტეს, თავისუფალი სავაჭრო და ინდუსტრიული ზონები შეიქმნება ტერიტორიებზე, რომელთა ფართობი 10 ჰექტარს აღემატება. თავისუფალ ზონებში ფინანსური ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ვალუტით. კანონპროექტი ითვალისწინებს ამ ზონებში ბიზნესის განთავისუფლებას დამატებითი ღირებულების გადასახადისა და ქონების გადასახადისგან, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის გამარტივებას.

უკვე მონიშნულია ის ადგილები, რომლებშიც მთავრობა აპირებს თავისუფალი ზონების შექმნას – ფოთის ნავსადგური, ქალაქები სენაკი და ხობი. ამ რეგიონს, კერძოდ კი ფოთს, კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ ძალზე მიმზიდველად გეოგრაფიული მდებარეობის გამო: მას აქვს გასასვლელი კასპიის ზღვის აუზში, ევროპაში, აზიაში, და საერთოდ, არის ძირითადი პუნქტი ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მიზანშეწონილობას ვერ ხედავს ქვეყნის საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი, რომელიც თავის მოსაზრებას ასაბუთებს იმით, რომ საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ლიბერალურია თავისუფალი ზონების შესახებ კანონის მიღების გარეშეც: 2008 წლიდან საბაჟო გადასახდელები საერთოდ გაუქმდება, ქვეყანაში საექსპორტო ოპერაციები კი უკვე განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან.

შეგახსენებთ, რომ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს არაერთგზის გამოუთქვამს ინიციატივა ბათუმის ნავსადგურის ორი ნავმისადგომის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნის შესახებ, რომელშიც საბჟოური ხელისუფლების დროს მოქმედებდა პორტ-ფრანკოს რეჟიმი. მაგრამ საქართველოს პარლამენტმა ორჯერ „ჩააგდო" აჭარის ლიდერის ინიციატივა „ეკონომიკური მიზანშეუწონლობის" გამო. თუმცა, შევარდნაძის პერიოდის ქართველი პოლიტიკოსები არ მალავდნენ, რომ ისინი ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდნენ თვით აბაშიძის იდეას მისი „მკაფიოდ გამოხატული სეპარატისტული განწყობილების" გამო.

РОСБАЛТ



● მარტო ერთი ფაქტი რად ღირს: ნოვოსიბირსკში დიდი აკადემიის ციმბირის განყოფილება რომ დაარსდა, ამ განყოფილების გამგემ, აკადემიკოსმა მიხეილ ლავრენტიევმა სწორედ ილია ვეკუას კანდიდატურა წამოაყენა უნივერსიტეტის რექტორად



◉ იუბილეს ექო

# „ჩვენს ხალხებს შორის არავითარი ანტაგონიზმი არ არის“

*თბილისური ხუთდღიური ილია ვეკუას ასწლიან იუბილეზე ჩამოსულმა ერთადერთმა რუსეთელმა, თანამედროვეობის გამოჩენილმა ალგებრაისტმა, ნოვოსიბირსკელმა აკადემიკოსმა იური ლეონიდეს ძე ერშოვმა ლამაზი ჟესტით დაიწყო: ნოდარ ამაღლობელისა და მისი აფხაზეთში, ბრძოლის ველზე ვაჟკაცურად დაცემული ვაჟის არჩილის საფლავებზე გავიდა ბატონი ნოდარის ქვრივთან, ქალბატონ მერისთან და ძმისწულთან, მიხეილ ამაღლობელთან ერთად...*

*სასაუბროდ რომ მივეახლე, ინტერნეტის ოთახში იჯდა, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და ნოვოსიბირსკიდან გამოგზავნილ წერილს კითხულობდა.*

**ინფორმაცია განსჯისათვის. იური ერშოვის მეცნიერული ბიოგრაფია ფეერიულია: 1966 წელს, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის დამთავრებიდან სამ წელიწადში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ხდება, ერთი წლის შემდეგ, 27 წლის ასაკში – მშობლიური უნივერსიტეტის პროფესორი. 30 წლისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. მოგვიანებით, უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) აირჩიეს. ამჟამად ს. სობოლევის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორია ნოვოსიბირსკში. ჰყავს ორი ვაჟი, ერთი ქალიშვილი და სამი შვილიშვილი.**

**– იური ლეონიდეს ძევ, როგორ გაიხსენებდით იუბილარს – ილია ვეკუას? მე მინახავს დოკუმენტური კინოკადრი, სადაც ის, როგორც ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი, კურსდამთავრებულის დიპლომს გადმოგცემთ...**

– ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში ილია ნესტორის ძის რექტორობის დროს გადმოვედი ტომსკის უნივერსიტეტიდან (ძირძველი ციმბირელი ვარძ. სტუდენტობისას განზოგადებული ანალიზური ფუნქციების სემინარს ვესწრებოდი, რომელსაც ილია ნესტორის ძე უძღვებოდა. მისი ხელიდან პირველმა მივიღე, პირველივე გამოშვებაში, წარჩინებულის წითელი დიპლომი. ახლო ურთიერთობა ილია ვეკუასთან არ მქონია, უფრო ახლოს ანდრეი ვასილის ძე ბიწაძესთან ვიყავი, მაგრამ შემიძლია თქმა, რომ ილია ნესტორის ძე ის ბრძენკაცი გახლდათ, აღმოსავლეთში გურუს რომ ეძახიან. მისი მშვიდი სიბრძნე ძალიან უწყობდა ხელს ნორმალურ ატმოსფეროს უნივერსიტეტში. ვიცი, თუ როგორი გამორჩეული პატივისცემით ეკიდებოდნენ დიდი აკადემიის მათემატიკის განყოფილებაში. მარტო ერთი ფაქტი რად ღირს: ნოვოსიბირსკში დიდი აკადემიის ციმბირის განყოფილება რომ დაარსდა, ამ განყოფილების გამგემ, აკადემიკოსმა მიხეილ ლავრენტიევმა სწორედ ილია ვეკუას კანდიდატურა წამოაყენა უნივერსიტეტის რექტორად.

**– შარშან შემოდგომაზე, როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ასე გამწვავდა, თბილისში ხმა ჩამოვიდა, თითქოს ჩამოხსნეს ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და პირველი რექტორის ილია ვეკუას ბარელიეფი...**

– არაფერი მსგავსი არ მომხდარა. ამას არც დავუშვებთ.

**– რაკი სიტყვამ მოიტანა, ხომ არ გნებავთ რაიმეს თქმა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ სიტუაციაზე...**

– ახლანდელი ვითარება სრულიად არანორმალური და დაუშვებელია. ამდენი ხანი ხომ გვერდიგვერდ გავატარეთ, ყოველთვის გვქონდა კულტურების სიახლოვე, ურთიერთგავლენა.

განა ურთიერთკავშირები, ურთიერთდამოკიდებულებები გაცილებით სასარგებლო არ არის, ვიდრე იზოლაცია? რუს და ქართველ ხალხებს შორის, უბრალო ადამიანებს შორის, ჩვენს შორის არავითარი ანტაგონიზმი არ ყოფილა და არც არის, მადლობა ღმერთს.

არავისი დადანაშაულება არ მინდა, არ დავიწყებ გარჩევას, ვინ მართალია, ვინ მტყუანი, მაგრამ ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ რაც ხდება, არანორმალურია და უნდა გამოსწორდეს.

**– რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაშიც მიმდინარეობს რეფორმები, წამოყენებულია სახელისუფლებო და საკადემიო კანონპროექტები. თქვენი პოზიცია?**

– სამთავრობო რეფორმების რადიკალური მოწინააღმდეგე ვარ...

**– ნოდარ ამაღლობელს ახლოს იცნობდით, ალბათ...**

– ჩვენ გაცნობისთანავე ვიგრძენით და გაგვიჩნდა კიდევაც ურთიერთსიმპათია, ჩვენიშეხვედრები მუდამ თბილი იყო. ნოდარმა მთხოვა შეფობის აღება მათემატიკოს ძმისშვილზე. მიშა ამაღლობელი ნიჭიერი ახალგაზრდა აღმოჩნდა, გახდა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ჩვენ მასწავლებლისა და მოწაფის გულითადი ურთიერთობა გვაქვს. აგერ, „ციმბირის მათემატიკური ჟურნალის“ წლევანდელი იანვარ-თებერვლის პირველი ნომრიდან მისი ახალი ნაშრომის ამონაბეჭდი ჩამოვუტანე... ჩემს მოწაფედ ვთვლი რონალდ ომანაძესაც, რომელმაც აგრეთვე დაიცვა სადოქტორო და პროფესორია.

**– ნოვოსიბირსკში თუ არიან ქართველი მეცნიერები?**

– დაგისახელებთ სიმონ ქუთათელაძეს, დიდი თბოფიზიკოსის, აკადემიკოს სამსონ ქუთათელაძის ვაჟს. სიმონ სამსონის ძე მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, „ციმბირის მათემატიკური ჟურნალის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე... თქვენ რომ გამომელაპარაკეთ, ინტერნეტით სწორედ იმას „ვესაუბრებოდი“...

**– თბილისში ალბათ პირველად არ ჩამოდიხართ...**

– მეოთხე თუ მეხუთე ჩამოსვლაა. ბოლოს 1992-ში ვიყავი პროფესიული მივლინებით, ერთ-ერთ სამეცნიერო ფორუმზე.

... ჩემთვის ძალიან სასიამოვნო გამოდგა ასეთ ინტელიგენტურ, ინტელექტუალურ, სიმპათიურ (მთლიანად შემორჩენილი ლამაზი ჭაღარა თმა!) პიროვნებასთან საუბარი. გამოჩენილ სწავლულს წმინდა მათემატიკური ამბებიც „დავტყუე“ – მართლა დამტკიცებულია თუ არა ფერმას დიდი თეორემა, მართლა გადაწყვიტა თუ არა პუანკარეს პრობლემა პეტერბურგელმა პერელმანმა... ვაითუ ბოროტად ვისარგებლე მისი თავაზიანობით...

**თამაზ ებანოიძე**

**სურათზე: მარცხნიდან – რონალდ ომანაძე, იური ერშოვი და ვლადისლავ დობრიცა.**



◉ პიროვნება

# ბავშვების უბადლო მკურნალი

**ბავშვს თუ რაღაც ასტკივდა, ტემპერატურამ აუწია, ახველებს, ან თუნდაც, უგუნებოდაა, იმ ოჯახში ყველა აფორიაქებულია. იწყება ნაცნობ-მეგობრებთან რეკვა, ინტერნეტში ვებგვერდების მოძიება – ვინ არის საუკეთესო პედიატრი? ვის ვანდოთ ჩვენი შვილების ჯანმრთელობა?**

საბედნიეროდ, დღეს საკმაოდ არიან მაღალკვალიფიციური პედიატრები, მცოდნენიც და გამოცდილებიც. რჩეულთა შორისაა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნუგზარ უბერი.**

„თბილისის საუკეთესო პედიატრები“ – ვეძებ ინტერნეტ-ფორუმის საიტზე. ბევრი ნუგზარ უბერს ასახელებს. ერთს ასე ჩაუწერია: „მე ნუგზარ უბერმა „გამზარდა“... ვინ მოთვლის რამდენი გამოჯანმრთელებული პაციენტის მშობელია მადლიერი, რამდენი პატარას სიცოცხლე გადაურჩენია, რამდენი ჯანსაღი, ფიზიკურად ძლიერი ბავშვი გაიზარდა მისი უტყუარი სამედიცინო დანიშნულებით...

უბერთა გვარი საქართველოში XIX საუკუნიდან იხსენიება, როდესაც საფრანგეთიდან ჩამობრძანებულ პრინც მიურატის ამალას პიერ უბერიც ჩამოჰყვა და ქართულ მიწაზე დამკვიდრდა. ეს გვარი ლამის უბადლო მკურნალების სინონიმად იქცა.

ნუგზარ უბერის მამა პეტრე უბერი ზუგდიდის პირველი პედიატრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საქართველოს პედიატრთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ლეგენდარული მკურნალი გახლდათ. მისი მეუღლეც ექიმი იყო და ოთხი ვაჟიც – პეტრე (უმცროსი), ნუგზარი, ზურაბი და კონსტანტინეც ექიმები გახდნენ. ოთხივე ძმის მეუღლეებიც ექიმები არიან. მათი შვილების უმეტესობამაც ექიმობა აირჩია პროფესიად. უბერების ექიმთა დინასტია პეტრე უბერის ძმისშვილებშიც გაგრძელდა და დღეს არა მარტო საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც მოღვაწეობენ.

აი, ასეთი ცნობილი გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, პროფესორ ნუგზარ უბერს ვესაუბრები.

ნუგზარ უბერის ყოველი დილა პედაგოგიური მოღვაწეობით იწყება. ის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ. სასწავლო პროგრამები, სტუდენტებთან მეცადინეობა, მაგისტრებთან კვლევა-ძიება... შემდეგ იწყება კლინიკური მუშაობა. ექიმებთან ერთად შემოვლას, ავადმყოფთა კონსულტაციებს რომ მორჩება, ნაშუადღევს, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში მიეჩქარება. აქაც პაციენტები ელიან, ამ ცენტრში ხომ ბავშვთა დაავადებების ყველა მიმართულებით საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური და სამკურნალო მუშაობა მაღალ დონეზე მიმდინარეობს.



... ტელეფონი წამდაუწუმ რეკავს. ბატონი ნუგზარი ხან მობილურით უხსნის ბავშვის ავადმყოფობით შეწუხებულ დედას როგორ მოიქცეს, ხანაც ქალაქის ტელეფონით. ამშვიდებს, არიგებს: „ბავშვს სიცხემ აუწია? ნუ ნერვიულობთ: ტემპერატურის მომატება ბავშვის ნორმალური პასუხია ინფექციაზე. ჩვეულებრივ, სიცხის მომატება ნიშნავს იმას, რომ ორგანიზმი ებრძვის ინფექციას. ამიტომ, ნუ მისცემთ პატარას სიცხის დამწევს 38,5 ცელსიუს გრადუსამდე. თუ ბავშვი კრუნჩხვიანია, გულის, ფილტვის ან ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადება აქვს, მაშინ სიცხის დამწევი უკვე 38 გრადუსზეც მიეცით...“

ვიდრე ბატონი ნუგზარი ტელეფონზე საუბრობს, პრესას ვათვალიერებ, სადაც მასზე წერენ: **„...როდესაც პატარა პაციენტის ჯანმრთელობასთან გვაქვს საქმე, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ – საჭიროა მზრუნველობის მაღალი ხარისხი და მობილიზაცია. ამიტომ ვცდილობ მუდმივად „სამედიცინო ფორმაში“ ვიყო. ექიმობა ჩემი პროფესია არ არის, ეს ჩემი ცხოვრების წესია“ – ამბობს სახელგანთქმული ექიმი და გამოცდილებას, ენერგიას, ცოდნასა და სითბოს პატარებს ახმარს“** – წერს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამომავალი ჟურნალი „მედიცინა“.

**„პროფესორი ნუგზარ უბერი – პედიატრი, შეულახავი რეპუტაციით, უდიდესი პრაქტიკული გამოცდილებით, ცოდნითა და ინტელექტით სავსე, ახლობლებისათვის შესანიშნავი, კეთილი და უღალატო მეგობარი, კოლორიტული თამადობითა და ძალზე დახვეწილი იუმორით ცნობილი, ასპირანტებისათვის მისაბაძი პროფესიონალი. მის შესანიშნავ ოჯახში ორი ნიჭიერი და მომხიბლავი ქალიშვილი – ეკატერინე და მარიამ უბერები აღიზარდნენ...“** – წერს გაზეთი „თბილისი“.

ამ ბოლო ათწლეულში სოციოლოგიური კვლევის შედეგად „ვისთან ვიმკურნალოთ“, თვითონ მედიცინის მუშაკები პროფესორ ნუგზარ უბერს დედაქალაქის პედიატრთა შორის საუკეთესო სამეულში ასახელებენ.

დიდი პრაქტიკის მქონე, კომპეტენტურ, ყველაზე მოთხოვნად ექიმს ხშირად იწვევენ მასმედიაში როგორც ექსპერტს, სადაც მკითხველთა თუ მსმენელთა შეკითხვებს.

ნუგზარ უბერი ჟურნალისტებისთვის ძნელად მოსახელთებელი რესპონდენტია და მაინცდამაინც, არც უყვარს მასზე რომ წერენ. უბადლო მკურნალის, პრაქტიკოსი ექიმის აღიარება მისი გამოჯანმრთელებული პაციენტია, არაფერი ისე არ ახარებს, როგორც თვალებგაბრწყინებული ბავშვების და მათი მშობლების მადლიერება.

**ლეილა ნოდია**

# დღევანდელობა

ადიგენის რაიონის მოსახლეობა დაბინძურებულ და მიკრობებით დასნებოვნებულ წყალს სვამს — ამის შესახებ ინფორმაციას „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ავრცელებს. არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებით, წყლის დაშვებული ნორმა ათი რიცხვით არის განსაზღვრული. ამჟამად კი კოლიენდიქსიის, ანუ წყლის შემფასებელი რაოდენობა 460-ია, რაც დაშვებულ ნორმას 46-ჯერ აღემატება



## ინფორმაცია

### ერთად აღვადგინოთ გეთსიმანიის ტაძარი

**მცხეთის გეთსიმანიის ტაძრის აღდგენის საქმეში ფინანსური დახმარების გაწევის მსურველთათვის საბანკო ანგარიში გაიხსნა.**

როგორც საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის ცენტრიდან იტყობინებიან, ტაძრის აღდგენისას ფინანსური დახმარების გაწევის მსურველებს თანხის გადარიცხვა „თი-ბი-სი“ ბანკში გახსნილ ანგარიშზე შეუძლიათ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევით მცხეთაში მდებარე მეექვსე საუკუნის გეთსიმანიის ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდება და სამონასტრო კომპლექსი აშენდება.

ტაძარს რესტავრაციას და ძირითად ფინანსურ დახმარებას „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ გაუწევს.

ძეგლის ნანგრევები 30 აპრილს საქართველოს პატრიარქმა მოინახულა. ტაძრის რესტავრაცია უახლოეს მომავალში დაიწყება და რამდენიმე თვეში დასრულდება.

### კულტურის დღეები რუსთავში

**რუსთავში გუშინ კულტურის დღეები გაიხსნა. კულტურის დღეების გახსნის საზეიმო ღონისძიება რუსთავის ხელოვნების სასწავლებლის დარბაზში ჩატარდა და მასში მონაწილეობა სხვადასხვა ანსამბლებმა და შემსრულებლებმა მიიღეს.**

კულტურის დღეები თვენახევარი გასტანს და გრანდიოზული კონცერტით 15 ივნისს დაიხურება.

ხელოვნების სასწავლებლის ფოიეში რუსთაველ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაც მოეწყო.

რუსთავის კულტურის დღეები ქალაქის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და რუსთავის საკრებულოს პატრონაჟით ტარდება.

### გვეწვია ფრანგი მწერალი

**ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი ცნობილ ფრანგ მწერალ ანა ვისდეის მასპინძლობს. რუმინული წარმოშობის ფრანგი მწერალი ქალი საქართველოში გუშინ ჩამოვიდა.**

ანა ვისდეი რუმინეთში დაიბადა, სწავლა კი შვეიცარიაში განაგრძო, სადაც პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობდა. მოგვიანებით, ვისდეი პარიზში გადასახლდა და დღემდე იქ მოღვაწეობს, როგორც მწერალი და დრამატურგი.

ანა ვისდეი ნაწარმოებებს ფრანგულ ენაზე წერს, ამავე დროს კინოსა და თეატრის ცნობილი კრიტიკოსიცაა.

### საჩუქრები მიუსაფარ ბავშვებს

**მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „მომავლის სახლში“ საქველმოქმედო აქცია ჩატარდა.**

საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა ინიციატივას, საკუთარი სახსრებით შეძენილი ლიტერატურით დაესაჩუქრებინათ „მომავლის სახლის“ აღსაზრდელები, „საქართველოს ბანკისა“ და კომპანია „წიგნის სააგენტოს“ თანამშრომლებიც შეუერთდნენ.

„მომავლის სახლის“ ბიბლიოთეკისთვის შეგროვდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების (6-დან 18 წლამდე) ბავშვებისთვის ქართველი და უცხოელი კლასიკოსი მწერლების, თანამედროვე ლიტერატორების ნაწარმოებები, ქართული და მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, საბავშვო ენციკლოპედიური გამოცემები, ქართველ პოეტთა რჩეული ლექსები და ა.შ.

აღსაზრდელებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საჩუქრები, შემდეგ კი აქციაზე მყოფი სტუმრებისთვის კონცერტი გამართეს.

### ადიგენში წყალი არ დაილევა

**ადიგენის რაიონის მოსახლეობა დაბინძურებულ და მიკრობებით დასნებოვნებულ წყალს სვამს — ამის შესახებ ინფორმაციას „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ავრცელებს. არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებით, წყლის დაშვებული ნორმა ათი რიცხვით არის განსაზღვრული. ამჟამად კი კოლიენდიქსიის, ანუ წყლის შემფასებელი რაოდენობა 460-ია, რაც დაშვებულ ნორმას 46-ჯერ აღემატება.**

წყლის დაბინძურების ფაქტს ადასტურებს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის ხელმძღვანელიც თათენაშვილი. „მიკრობთა საერთო რაოდენობა მაღალია. კოლიენდიქსია წყალში 460-ია, თუმცა ეს რაოდენობა პათოგენურად მაინც არ ითვლება. მოსახლეობა გავაფრთხილეთ, რომ გადადუღებული წყალი დალიოს“, — განაცხადა თათენაშვილმა.

### ცოფი წითელმა მგლებმა გაავრცელეს

**ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში ცოფის შემთხვევები დაფიქსირდა. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში ცოფის შემთხვევებთან დაკავშირებით ვეტერინარი ექიმები მიავლინა.**

სამსახურის მიერ ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის მიხედვით გაირკვა, ა.წ. 15 მარტს სოფელში დაკბენილი იყო 16 სული ცხვარი. ამავე მიდამოში მოკვდა 18 ძაღლი. მოსახლეობიდან დაკბენილი არავინ არ იყო. დახოცილებთან კონტაქტში იმყოფებოდა 12 ადამიანი, რომელთა სია ჯანდაცვის ორგანოებს გადაეცა. ინფექციის სავარაუდო წყაროა ე.წ. წითელი მგლები.

ეპიზოოტიური სიტუაციის შესწავლის შემდეგ ადგილზე გატარდა ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებები და მოსახლეობას გაეწია პრაქტიკული დახმარება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## სევდიანი ჩანახატი

### „უზბეკა“

**აპრილის მზით გაჩახჩახებული აღდგომის დილაა. ჩემი სოფლის სასაფლაო ნელ-ნელა ივსება კუთხე-მეზობლით. აქ (და, მგონი, მთელ დასავლეთ საქართველოშიძ, ძირითადად, აღდგომა დილას გადის დიდ-პატარა ძვირფასი საფლავების მოსანახულებლად, მოსაგონარის სათქმელად...** მივედი მეც — ჩემი ბებია-ბაბუის, ჩემი დედ-მამის საფლავებთან... იქვე, შორი-ახლო დაუკრძალავთ მთელ სამეზობლოში, მთელ სოფელში გამორჩეული კაცი ჯუმბერ ქორქოლიანი, ჩემი „უზბეკა“, მთელი ბავშვობა რომ ერთად გავატარეთ და, ნამეტანი შაგვრემანობის გამო, სიყვარულით, „უზბეკას“ რომ ვეძახდით ტოლ-სწორები...

სამხედრო სამსახური ჩეხოსლოვაკიაში გაიარა. იქ იმ დროს გაამწესეს, რუსის ჯარს რომ ახალი ჩახშობილი ჰქონდა პატრიოტთა ამბოხი. ერთი გენახათ, რა ზიზღით გვიყურებდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს პრაღელებიო, გვეტყოდა ხოლმე ჯუმბერი.

მერე შესანიშნავი ოჯახი შექმნა, წყალტუბოში მუშაობდა და სოფელშიც ასწრებდა საქმეს, ისა და დალი — ერთგული მეუღლე და მეოჯახე — ორ ბოკვერს — გოგიტასა და ლაშას ზრდიდნენ და, რომ იტყვიან, წელგამართული იყვნენ.

მაგრამ აირია ქვეყანა და აირია ჯუმბერისთვისაც. ძნელი შეიქნა ახალ, სასტიკ დროსთან შეგუება... მანაც, სხვებივით თბილისში სცადა ბედი, რაღაც ბიზნესში ჩაერთო, წვალობდა, შრომობდა, დღე-ღამეს ასწორებდა, რისკავდა, იგებდა, აგებდა... არადა, არ იყო ეს ჯუმბერის — ერთი გულკეთილი, მიმნდობი კაცის საქმე... ჰოდა, ველარ გაუძლო ამდენ დატვირთვას გულმა და, შარშან, ნოემბერში, თბილისში გარდაიცვალა უეცრად ჩემი ღიმილიანი, პურ-მარილიანი მეზობელი. ვერ ჩავედი დაკრძალვაზე, გვიან გავიგე მისინაადრევი სიკვდილის ამბავი...

...მივედი ჯუმბერის საფლავთან, იქ დამხვდა მისი შაოსანი მეუღლე, იქ არიან შვილები და შვილიშვილები, ახლობლები... ჭიქა ღვინით ვთქვით მისი ხსოვნის სადღეგრძელო, კაი ქართველის, კაი მეოჯახის, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი კაცის სულის მოსახსენიებელი...

წლევანდელი, 58-ე დაბადების დღეს ველარ მოესწარი, ჩემო „უზბეკა“, თუმცა, შენ ცოცხალი ხარ, რადგან გყავს მომავალი, რადგან იზრდებიან შენი შვილიშვილები — გიორგი და ჯუმბერი...

და, აბა, მეტი რაღაა კაცის სიცოცხლე!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

## წიგნი

### სად მამა-პაპა მეგულვის...

**მოსწყინდა დავით ასკურავას ახალგაზრდული ხეტიალი, ხან ზღვაზე (მეზღვაური იყოძ, ხან ხმელეთზე და მწიფობისთვეში, ნოსტალგიამოძალებულმა, მშობელ ადგილებს მიაშურა — სოფელში ჩავიდა, მამა-პაპურ კერიაზე ცეცხლი გააჩაღა და საწერი მაგიდაც იქვე დაიდგა (უკვე ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი იყო — რამდენიმე წიგნის ავტორიძ.**




**ჰოდა, წერა და წერა სევდიან-ტკივილიანი ნოველები, გაიხსენა წარსული დღეები, მოიგონა წინაპრები და, ყოველივე ეს, ერთ კრებულად აკინძა, რომელსაც, საბაზრო ეკონომიკას რომ შეეფერება, სათაურიც ისეთი დაარქვა — „ეჭვმიტანილი“, თუმცა დეტექტივთან არაფერი საერთო აქვს, თავისთავად, ამ შესანიშნავ ნოველას.**

**კრებულში თავმოყრილი ნოველები, როგორც იტყვიან, მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, კასკასა გურული იუმორითაცაა გამთბარი და, მე პირადად, გული შემიტოკა, მშობლიური სანახები, თანასოფლელები მომანატრა.**

**ნაღდი მწერლობის დანიშნულებაც ხომ ეგ არის!**

**ანანო მაღლაკელიძე**

---

**სს „თამ“-ის (თბილავიამშენიძ აქციონერთა მორიგი კრების მოწვევის შესახებ**

**განცხადება**

**სს „თამ“-ის (თბილავიამშენიძ დირექტორთა საბჭო იწვევს საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 23 მაისს, 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა №181, სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზი.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „თამ“-ის 2006 წლის წლიური ანგარიშის წარმოდგენა;
2. სს „თამ“-ის დირექტორთა საბჭოს დამტკიცება;
3. სს „თამ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. სს „თამ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ;
5. 2007 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;
6. სხვადასხვა.

**სს „თამ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, აქციონერთა მორიგი საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2007 წლის 30 აპრილი.**

**სს „თამ“-ის დირექტორთა საბჭო**

---

**სს „კრედიტინფო საქართველო“ აცნობებს მის აქციონერებს, რომ ამა წლის 23 მაისს შედგება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ. №16.**

**სს „კრედიტინფო საქართველოს“ დირექცია**

---

## შეტყობინება

**სააქციო საზოგადოება „ჩითახევი-ბორჯომის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2007 წლის 23 მაისს დღის 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ბ.**

**სააქციო საზოგადოება „ჩითახევი-ბორჯომის“ მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 2 აპრილი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის წლიური ანგარიში:

აძ წლიური ანგარიშის წარმოდგენა სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;

ბძ მოგების განაწილების გადაწყვეტილების მიღება;

2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;

3. 2007 წლისათვის აუდიტორის არჩევა.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ჩითახევი-ბორჯომის“ იურიდიულ მისამართზე: ბორჯომის რ-ნი, სოფ. ჩითახევი, ან ცენტრალურ ოფისში (მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ბ, ტელ: 22-75-67ძ, ხოლო განმარტებების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნას დაყენებული დირექტორის წინაშე კრებამდე 10 დღის ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2007 წლის 2 აპრილის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

აქციონერები კრებაზე მონაწილეობის უფლებას შეამოწმებენ სს „ჩითახევი-ბორჯომის“ რეგისტრატორთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის ქ. №55, ტელ: 23-03-84.

**სს „ჩითახევი-ბორჯომის“ სამეთვალყურეო საბჭო**

# სპორტი

● როგორც შევიტყვეთ, ირლანდიაში ქართველი კარატისტების გამგზავრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადგომით მოხდარა. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს, შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრები მომავალი წლის შეჯიბრებაზეც მიუწვევიათ



კახა ბასილია

◎ ორბიტაზე

## კრამნიკი მაინც კრამნიკია...



**ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმერ კრამნიკმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა – მან „სწრაფი ჭადრაკის“ მატჩში დაამარცხა მსოფლიო რეიტინგით მერვე – უნგრელი პეტერ ლეკო. დიდოსტატებმა 8 პარტია გაითამაშეს 25-წუთიანი კონტროლით, პლუს თითო სვლაზე 5 წამი.**

კრამნიკმა 2 პარტიაში გაიმარჯვა, ლეკომ – ერთში. დანარჩენი ხუთი პარტია კი ყაიმით დასრულდა. საბოლოო ანგარიშია 4,5:3,5. მატჩი უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში მიმდინარეობდა.

შეგახსენებთ, რომ 2005 წელს ანალოგიურ მატჩში ლეკო დაუზავდა – 4:4 – ადამსს, ხოლო 2006 წელს დაამარცხა კარპოვი – 4,5:3,5. ადრე კრამნიკი და ლეკო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 2001 წელს ბუდაპეშტში 12-პარტიიან რაპიდ-მატჩში, მაშინაც რუსეთელმა გაიმარჯვა – 7,5.

## უეფას თასისთვის ბრძოლაში

**დღეს გაიმართება უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩები: „ვერდერისა“ და „ესპანიოლის“** შეხვედრას გაუძღვება ფრანგი არბიტრი **ლაიეკი.** ესპანეთში კი **„სევილიასა“** და **„ოსასუნას“** ორთაბრძოლას უმსაჯებს – ინგლისელი **ჰოლი.**

## პრემიერლიგაში დასაბრუნებლად

**ისეთი დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი დივიზიონის მერვე ტურში ჯერჯერობით გათამაშების ლიდერის – იაროსლავლის „შინიკის“ და პრემიერ-ლიგიდან „დათხოვნილი“, მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩს, რომ მის საყურებლად ლუჟნიკების სტადიონზე მივიდნენ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ბოროდიუკი, რუსული ფეხბურთის ყოფილი თავკაცი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, სპორტის კიდევ ბევრი სხვა მოღვაწე, უამრავი გულშემატკივარი.**

რასაკვირველია, ორივე გუნდი კვლავ პრემიერ-ლიგას უმიზნებს და ბუნებრივია, შეხვედრაც ძალზე დაძაბული გამოდგა. დედაქალაქელები 26-ე წუთზე დაწინაურდნენ (ვოსკობოიკოვიძ, 49-ე წუთზე, მოსკოველთა აზრით, საეჭვო პენალტით ჯორჯევიჩმა წონასწორობა აღადგინა, 89-ე წუთზე კი შეცვლაზე გამოსულმა მონარევმა ბრწყინვალე თავურით სტუმრებს გამარჯვება მოუტანა.



◎ კარატე

## შიხანი შეგირდებს მაგალითს აძლევს

**ირლანდიის ქალაქ კასტელბარში ორ დღეს გრძელდებოდა მსოფლიო საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელმაც 55 ქვეყნის 500-ზე მეტ რჩეულ სპორტსმენს მოუყარა თავი. მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს წარგზავნილებიც შოტოკან კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, მსოფლიო ჩემპიონის, შიხან კახა ბასილიას ხელმძღვანელობით.**



უტევს ლევან გორელაშვილი (მარცხნივ).

საგულისხმოა, რომ ბატონმა კახამ შეგირდებს კარგი პირადი მაგალითი და სტიმული მისცა – პირველსავე დღეს ვეტერანთა შორის კატაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოს იყო 19 წლის **ლევან გორელაშვილი,** რომელიც უფროსებში გამოდიოდა. მან კონტაქტურ კარატეში, ანუ ჯუ-კუმიტეში (ორ-ორწუთიანი ორი რაუნდით) ზედიზედ სამი მეტოქე დაამარცხა. ფინალური ორთაბრძოლა რომ დაამთავრა, არბიტრების აზრი გაიყო. რეფერისთან მოლაპარაკების შემდეგ მსაჯებმა გამარჯვება, რატომღაც, ინგლისელს მიაკუთვნეს და გორელაშვილი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.

ამავე სახეობაში, ასევე მეორე ადგილზე გავიდა თვრამეტწლიანთა შორის **დავით ტყებუჩავა,** რომელმაც მხოლოდ გადამწყვეტი შეხვედრა დათმო. სხვა სტილით პაექრობაში სცადა ბედი უფროსთა შორის **ირაკლი ტყებუჩავამ.** იგი „ბრინჯაოს“ დასჯერდა. ჩვენი გუნდის კიდევ ერთი წევრი კობა ბუიშვილი VI ადგილზე გავიდა.

საქართველოს ნაკრების წევრებს მეორე დღესაც უწევდათ ასპარეზობა, მაგრამ დუბლინი-სტამბოლის თვითმფრინავზე დააგვიანებდნენ (კასტელბარიდან ირლანდიის დედაქალაქამდე მატარებლით 4 საათი უნდა ემგზავრათ). არადა, უკან დასაბრუნებელი ბილეთები წინასწარვე დაჯავშნული ჰქონდათ.

როგორც შევიტყვეთ, ირლანდიაში ქართველი კარატისტების გამგზავრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადგომით მოხდარა. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს, შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრები მომავალი წლის შეჯიბრებაზეც მიუწვევიათ.

◎ კალათბურთი

## ცხელი ზაფხულის წინ

**გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ კაფე „მსოფლიო სპორტში“ პრესკონფერენცია მოაწყო და „ევრო-2008“-ის შესარჩევი რაუნდის დარჩენილი მატჩებისთვის ეროვნული ნაკრების მზადების პროგრამა გაგვაცნო.**

გორდონ ჰერბერტის შეგირდები ივლისში, აგვისტოსა და, პლეი-ოფში გასვლის შემთხვევაში, სექტემბერშიც, ხუთ შეკრებაზე დახვეწენ ოსტატობას. ოფლისღვრის პერიოდი, ბუნებრივია, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობასაც ითვალისწინებს:

**23-25 ივლისი. სოფია** (ბულგარეთი, მაკედონია, ისრაელი); **3-5 აგვისტო. სანჟოაო დე მადეირა** (პორტუგალია, ინგლისი, ტუნისი).

ხანგრძლივი ევროპული ვოიაჟის განმავლობაში „ჯვაროსნები“ საფრანგეთის ქალაქ პოში იქნებიან დაბანაკებულნი, სადაც ერთ ან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

შევიტყვეთ ისიც, რომ დასკვნითი შეხვედრებისთვის თბილისის სპორტის სასახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულდება (სავარაუდოდ 15 აგვისტოს).



**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

◎ ჩემპიონთა ლიგა

## გაფანტული ნისლი



**„ენფილდს“ სახელოვანი თაობის ქართველ ფეხბურთელთა ნატერფალებიც ატყვია. სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის სამშობლოშიც კი „ლივერპულის“ სტადიონი ერთგვარ მექად ითვლება, სადაც განუმეორებელი სიტუაცია თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე იქმნება, ხოლო თვით ბრძოლის ველზე სტუმართა უმეტესობა თავს დათრგუნულად გრძნობს.**

რასაკვირველია, მხოლოდ ქომაგთა მიერ ტრიბუნებზე დანთებული ცეცხლი ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად საკმარისი არაა – მეტოქის დასაჩოქებლად, უპირველესად, პროფესიონალი მთავარსარდალია აუცილებელი. ბედნიერნი არიან მერსისაიდელები, რომ ბილ შენკლის, ბობ პეისლისა (სწორედ მისი დამოძღვრილი გუნდი დასცა ნოდარ ახალკაცის ფორმაციის თბილისის „დინამომ“ 1979 წელს) და ჟერარ ულიეს გაკვალულ ტრიუმფალურ ბილიკს რაფაელ ბენიტესის თავკაცობით მიუყვებიან. თანაც როგორ? – უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ესპანელმა მეტრმა მეორედ აუნთო შეგირდებს მწვანე შუქი ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ.

თქვენი არ ვიცი და, მე სიმბოლურად მეჩვენება, რომ „წითლებმა“ ამჯერადაც ჩამოიცილეს გზიდან არანაკლებ განსწავლული და ამბიციური მწვრთნელის ჟოზე მოურინიუს ნაამაგარი „ჩელსი“. იცით რატომ? – იმიტომ, რომ საპასუხო ანუ გადამწყვეტ ნახევარფინალურ რაუნდს „ენფილდი“ მასპინძლობდა. მისი თავდახრილად დატოვების მორალური უფლება კი დამხვდურებს, უბრალოდ, არ ჰქონიათ. და კიდევ უმთავრესი: დონ რაფამ ტაქტიკური დუელი კვლავ მოუგო პორტუგალიელ კოლეგას. თუ არ გჯერათ, გაიხსენეთ, ვის აუღო მატჩისშემდგომი პენალტები რეინამ. დიახ, რობენსა და ჯერემის, ისინი კი მინდორზე ახალგამოსულნი იყვნენ და, რომ იტყვიან, გახურება ვერ მოასწრეს. ვითომ წვრილმანია?

„არისტოკრატთა“ გულშემატკივრებს, ბუნებრივია, გამამართლებელი საბუთიც აქვთ – კარვალიუს, ბალაკისა და შევჩენკოს არყოფნა, მართლაც რომ, სერიოზული დანაკლისია, მაგრამ როცა ჩემპიონთა ლიგის მწვერვალს უმიზნებ, ასეთი საკადრო პრობლემების გადასაჭრელადაც მზად უნდა იყო.

**„ლივერპული“ – „ჩელსი“ 1:0 (პირველი მატჩი 0:1). პენალტებით – 4:1.**

**გოლი – აგერი (22-ე წუთი).**

**გია პლატონიშვილი**



◎ ჭადრაკი

## საგზურები გაინაწილეს

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შესარჩევი ტურნირიც იყო.**

გოგონებში 7 ქულით ჩემპიონობა ნინო ანაკიძემ მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ნათია ჯალაბაძე, რომელიც 6 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობდა, მაგრამ ბოლო სამ პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულის აღება შესძლო. 6 ქულით მესამე იყო მარიამ თევზაძე.



ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. გიორგი ნიკოლაშვილი – 7,5 ქულა, 2. ზურაბ ჯავახაძე – 7 ქულა, 3. ნოდარ ლორთქიფანიძე – 6,5 ქულა. საგულისხმოა, რომ ამდენივე ქულა მოაგროვეს ირაკლი ბერაძემ და მერი არაბიძემ, მაგრამ ლორთქიფანიძემ მათ უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრო.

ჩემპიონები – ანაკიძე და ნიკოლაშვილი მსოფლიო პირველობაზე გამოვლენ, ხოლო ჯალაბაძე და ჯავახაძე ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

ჩუმი ღალატი
ჩარდახიან ციხეებს ანგრევს,
ლაჩართან ძმობას
გულმაგართან სჯობია დავა,
წამების ცეცხლში გაუმარჯოს
მდუმარე ბაგეს...
გაუტეხლობას ვადიდებდი,
ვადიდებ კვლავაც!



№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

პოეზია

## გიორგი გიგაური



### სიმღერა მამაცობაზე

მე მამაცობას ვუმღეროდი,
ვუმღერი კვლავაც,
ვაი, რომ მოყვასს
ულმობელი ფიქრები მკლავენ, —
ნუმც ვნახავ ლომზე ატოტებულ
შურ-გესლის ლავას,
ნუმც მოვესწრები
სიმართლისთვის მოსხეპილ მკლავებს.

ჩუმი ღალატი
ჩარდახიან ციხეებს ანგრევს,
ლაჩართან ძმობას
გულმაგართან სჯობია დავა,
წამების ცეცხლში გაუმარჯოს
მდუმარე ბაგეს...
გაუტეხლობას ვადიდებდი,
ვადიდებ კვლავაც!

### მარტო ვარ

გინდ ბრბო მეხვიოს,
მაინც მარტო ვარ,
უწყალოდ ვსრესავ ჭორის გორახებს,
გულო, ვერ გუობ სულით მათხოვარს,
საერთო ენა ვერ გამონახე.
არც გაეკარო,
ასე სჯობია,
არ დაუმოყვრდე გველს და მორიელს,
გულო, მორიე ხელი ცოფიანს,
გულო, მოლაყბეს ხელი მორიე.
წუთისოფელი მკაცრი მეკვლეა,
მიმომილეწა მწველი ფიქრები,
და მაინც მჯერა,
ღობეს, ეკლიანს
გავარღვევ, თუკი ჩემთან იქნები.
გულო, სიძნელე ნუ შეგაშინებს,
იმედის ზარი ისევ წკრიალებს,
რისხვა აგემე ეშმას ნაშიერს,
შეურცხვენელი გზებით იარე.
შევხვდებით მხედრებს,
პიროფლიანებს,
დაგვიბრუნებენ ნათელ აისებს,
ხმელი ხმელეთი,
ზღვა მოღრიალე,
გაგვენდობა და
გაგვითავისებს...
იწამე, გულო,
თუმცა მარტო ვარ,
არ დავიჩოქებ
მტრის გასახარად,
საჯიხვეს ჩემსას
ჩამოათოვა
და ვეფერები მთათა ჭაღარას.

### წვიმა

ბორგავს შავი ზღვის
ცისფერი წყალი...
შენ რაღა გინდა, წვიმავ ქვირფასო,
ადამისძეზე რადა ხარ მწყრალი,
ასეთი გარჯა ვინ დაგიფასოს?!

მგზავრის ტკივილებს ვერვინ აწონის,
ჯერ ეს ვერავინ დაიმსახურა,
როცა ღრუბელი — ელვის საწოლი
მაღალ მწვერვალებს
ჩაჩქნად ახურავს...

წვიმს,
ცა მიწაზე ჩამოდის ფეხად,
წუხელაც ღამე თეთრად ვათიე,
უამინდობავ, ჯოჯოხეთს გევხარ,
ამ გადარევას ვინ გაპატიებს.

### ექსპრომტი ფრიდონ ხალვაშს

ვერცხლის ზარები რეკავენ,
ლექსიც ზარივით რეკავს,
ტაძრისკენ გიხმობს მეთარე
და გზის ფოთლების ცეკვა.
გაქვს საკუთარი სახატე,
ხატავ საკუთარ ზეკარს,
მედროვეს ფარდა ახადე,
კაცი აქციე ლეკვად...
თუმც არ გაკლია მოციქლე,
კლდეებს უშიშრად დრეკავ, —
შენი მზე დავალოცვინე
ჩემს ღვიასა და დეკას.

მუსიკა

## ჯაზი ჯაზის თვეში...

**აპრილი ჯაზის თვედ არის აღიარებული მსოფლიო ჯაზსამყაროში... ეს ჯაზმენების სიმბოლური გააზრებაა დროის დინამიკაში, როცა მუსიკისა და ბუნების იმპროვიზაცია თითქოს ერთდროულად განიცდის ფერწერულ კონტრაპუნქტს. „ჩიკაგოს, ნიუ-ორლეანული ჯაზისა და ბროდვეის შოუებიდან წამოსული მუსიკის ესთეტიკაზე დაუსრულებლად შეიძლება მხოლოდ აპრილში ისაუბრო" — ჯაზმენები ამბობენ...**

ბილი ჰოლიდეის, ელა ფიცჯერალდის, ფრედი ჰაპარტისა და ჰერბი ჰენკოკის ჩანაწერების ფონზე ეროვნულ მუზეუმში ჯაზსამყაროს ეს ტრადიცია შედგა... მყუდრო აუდიტორიაში გამართული სემინარი „ჯაზი ჯაზის თვეში" — ეს იყო ჯაზის მოყვარულების ტრადიციული გამოხმაურება არატრადიციული ფორმატით... აქ უბრალოდ შეიკრიბნენ, „ალაპარაკეს ჯაზი" და ამ პოლიფონიური „ჩანახატებიდან" გამოყოლილი შთაბეჭდილებები გაიხსენეს. ჟღერდა ის მუსიკა, საიდანაც ჯაზის ისტორია იწყებოდა... ჯაზი — ამერიკული წარმონაქმნი — დღეს მხოლოდ ამერიკელების კუთვნილება არ არის. ამ მუსიკალურ ფორმას აქვს უნიკალური ენა, რომელიც თანამედროვეობაში ლიბერალიზმის გაგებასთან ასოცირდება და დემოკრატიის პრინციპებს უახლოვდება. ინტერნაციონალური ჯაზი თავისი არსით ქართულ პოლიფონიურ შედევრებს ენათესავება, ანუ სცენაზე ხდება იმ ექსპერიმენტის გატანა და მუზიცირება, სადაც ყველა ინსტრუმენტი თანაბარი უფლებით სარგებლობს, გურული ვერტიკალური კრინი კი მაინც ოპოზიციაში ხმაურობს...

...„ჯაზი ჯაზის თვეში" — ეს სემინარი ჯაზპროექტის პირველი ეტაპია, როცა ზურაბ ქარუმიძესთან, გაიოზ კანდელაკთან და კახა თოლორდავასთან ერთად ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი საუბრობდა აპრილის თვეში დაბადებული ამერიკელი მუსიკოსების შესახებ.

— ჯაზში თავიდან მოხდა ორი მუსიკალური ასპექტის შერწყმა — აფრიკული მუსიკალური ტრადიცია, რომელიც ძირითადად გულისხმობდა რიტმიკას, მეორე იყო ევროპული მუსიკალური ტრადიცია — ევროპული ფოლკლორი და კლასიკური მუსიკა. — ამბობს ჯაზის მოყვარული მწერალი **ზურაბ ქარუმიძე,** — აფრიკული რიტმიკა გამოიყოლეს აფრიკიდან ნიუ-ორლეანში ჩამოყვანილმა მონებმა... 1831 წლისათვის ყალიბდება ორი მუსიკალური ფორმა, რომელიც გადამწყვეტი იყო ევროპული ჯაზისთვის, ეს არის ბლუზი და ბრეკტაიმი. ბლუზი თავისი არსებითი თვისებითა და მნიშვნელოვანი ელემენტით არის ეგრეთ წოდებული ბლუზური ტონი. კლასიკურ ბლუზში ასეთი ბლუზური ტონი იყო ორი. ბრეკტაიმი ყალიბდება 80-იან წლებში, მას შემდეგ რაც ნიუ-ორლეანში მომრავლდა სასულე ორკესტრები. 90-იან წლებში ეს ორი ფორმა ერთმანეთს ერწყმის და ნიუ-ორლეანში იწყებს ალაპარაკებას ჯაზი. ეს არის პირველი ეტაპი ჯაზის ისტორიისა. ჯაზმა მიიღო ნიუორლეანული სტილი, რაც გულისხმობს კოლექტიურ მუზიცირებას. აქ არ არის გამოკვეთილი სოლისტი და წამყვანი ინსტრუმენტი, აქ არის სამი წამყვანი ინსტრუმენტი — ტრომბონი, კორნელი და კლარნეტი, ეს სამი ინსტრუმენტი ასრულებს იმას, რასაც შემდგომში დაერქვა ნიუორლეანული კონტრაპუნქტი. ეს იგივე პრინციპია, რითაც მღერიან გურულები საქართველოში. მიკვირს და გული მწყდება, თუ რატომ ვერ მოხერხდა გაჯაზება ქართული ხალხური მუსიკისა, რომელიც ასეთი პოლიფონიურია, იმპროვიზაციულიც არის და ცოცხალიც.

როცა ჯაზმა დაიწყო გამოსვლა ნიუ-ორლეანიდან, ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი იყო მიგრაციის პროცესი, და კიდევ, ჩიკაგოში იწყება ჯაზის მეორე ეტაპის განვითარება. ეს არის 1920-იანი წლები, როცა ამ ხანას უწოდებენ სხვადასხვანაირად — ჩიკაგოს ჯაზს, სოლისტების ჯაზს... ჯაზმენები კიდეც ხუმრობენ ხოლმე, რომ ჯაზი თუ დაიბადა ნიუ-ორლეანში, ჩიკაგოში დავაჟკაცდაო. ჩიკაგოს ჯაზში იწყება ლუი ამსტრონგის ხანა. ამ დროს ჯაზბენდში იკვეთება სოლისტი, რომელიც მეტყველებს ინსტრუმენტის საშუალებით. XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ჯაზში სვინგის ჩამოყალიბება და ლუი ამსტრონგია მისი შემქმნელი. სვინგმა ფაქტობრივად წალეკა ამერიკა, ეს იყო დიდი ჯაზორკესტრების მუსიკა, რომელიც აიტაცა აბსოლუტურად ყველა თაობამ. ამავე დროს უკვე ჩნდება რადიოქსელი და მისი საშუალებით უსმენს ყველა. ამ დროს ნიუ-იორკის და ჩიკაგოს ჯაზკლუბებში გაჩნდა ასეთი წარწერა: ნუ იცეკვებთ! ანუ იმხანის ჯაზი იყო უფრო სმენადი მუსიკა და არა საცეკვაო.

**კახა თოლორდავა:** ფიუჟენის დაარსებას იჩემებს მინიმუმ 10-15 მუსიკოსი. ჯაზის ისტორიკოსებისთვისაც პასუხგაუცემელია კითხვა, სად, როდის და როგორ აღმოცენდა ეს მიმდინარეობა. მაილს დევისი ერთ-ერთი დიდი სახელია ჯაზში და ეს მიმდინარეობა სწორედ მან დაიწყო. მის პერიოდში ჩნდება ალბომები, სადაც გამოიკვეთა ფიუჟენის ელემენტები. იმდროის ჯაზორკესტრებში უკვე შემოდის ბასგიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტები, სინთეზატორი... ანუ ჯაზი გაროკდა, როკი კი გაჯაზდა. ამ დროს ბიძგი მიეცა იმას, რაც დღემდე გრძელდება — ჯაზმა გამოამჟღავნა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

**... ეროვნული მუზეუმის შემდეგ ჯაზპროექტის მეორე ეტაპი კომპანია „ისთერნ ფრომოუშენის" ივნისში დაგეგმილი XXI საერთაშორისო ჯაზფესტივალია, როცა თბილისში ტრადიციულად ჯაზვიქენდი გველოდება...**

**მზექა მახარაძე**

მხარე

## ჯონ ტეფტი ზუგდიდს ეწვია

**ზუგდიდს ორი დღე სტუმრობდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი. 29 აპრილს მან დაათვალიერა ზუგდიდის დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურული ანსამბლი. უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქის საზოგადოებისთვის ზუგდიდის საჯარო ბიბლიოთეკაში ამერიკული კუთხის გახსნა.**

ამერიკული კუთხე, ანუ ამერიკული სტილის მცირე ბიბლიოთეკა შეიქმნა საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის გასაღრმავებლად. კუთხეში თავმოყრილია ინფორმაცია ამერიკის ისტორიისა და კულტურის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამერიკული კუთხე მნახველს სთავაზობს სხვადასხვა სახის გამოცემებს, მათ შორის საცნობარო და მხატვრულ ლიტერატურას, გამოცემებს ბიზნესისა და მმართველობის შესახებ, აგრეთვე ლიტერატურას ინგლისური ენის სწავლებისათვის, ინტერნეტკავშირს. ამასთან ერთად, აქ საბიბლიოთეკო მომსახურებას ითვალისწინებს: ელექტრონულ წყაროებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერებს, ასევე თემატურ გამოფენებს, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, შესთავაზებენ ლექციებსა და სემინარებს, ინგლისური ენის გაკვეთილებს. სხვათა შორის, არც ვიდეოჩვენებების ნაკლებობა ექნებათ, სისტემატურად ნახავენ ამერიკულ კლასიკურ და დოკუმენტურ ფილმებს.



ამერიკული კუთხის მოწყობის ინიციატორების სასახელოდ უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ აქ მომსახურება უფასოა და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

როგორც ზუგდიდის საჯარო ბიბლიოთეკაში ამერიკული კუთხის კოორდინატორმა ხათუნა ციცქარავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დღეის მონაცემებით მსოფლიოში 400 ამერიკული კუთხეა. მათ შორის: საქართველოში — შვიდი. პირველი ამერიკული კუთხე 2003 წელს გაიხსნა ქალაქ თელავში.

ზუგდიდის ბიბლიოთეკაში ამერიკული კუთხის მოწყობა, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ქართველ ახალგაზრდობას ამერიკასა და ინგლისურენოვან ქვეყნებში უმაღლესი განათლების მიღების საქმეში. ამერიკელ სტუმრებს მეგზურობას უწევდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ" საკ. კორ.**

**სს ოზურგეთის „ნავთობპროდუქტის" აქციონერთა საყურადღებოდ: გაცნობებთ, რომ 2007 წლის 15 მაისს დღის 12 საათზე შედგება სს ოზურგეთის „ნავთობპროდუქტის" აქციონერთა საერთო კრება რეკომენდებული საკითხებით:**

1. სს ოზურგეთის „ნავთობპროდუქტის" მიერ 2006 წელს გაწეული საფინანსო-სამეურნეო შედეგების შესახებ;
2. საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**აქციონერთა კრება გაიმართება ქ. ოზურგეთში, ბათუმის ქუჩის მე-4 შესახვევი №6-ში, ადმინისტრაციის შენობაში.**

სს ოზურგეთის „ნავთობპროდუქტის" სამეთვალყურეო საბჭო

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,*
*ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



## ხსოვნა

# თენგიზ ღვინიაშვილი

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ცნობილი მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ი. ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი თენგიზ ღვინიაშვილი.

იგი დაიბადა 1925 წელს. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1944-51წ) თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთ ფუძემდებელთან იაკობ ნიკოლაძესთან. მრავალი წლის შემდეგ მადლიერმა აღზრდილმა მაესტროს პორტრეტული ბიუსტი თბილისის ცენტრში, მის სახლ-მუზეუმთან ახლოს აღმართა, მეორე ძეგლმა ი. ნიკოლაძის მშობლიური ქუთაისი დაამშვენა.



1953 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაიდგა დიდი ივანე ჯავახიშვილის ძეგლი, რომელიც ბრინჯაოში მოქანდაკის სადიპლომო ნამუშევრიდან ჩამოისხა. იგი ორგანულად შეესისხლხორცა გარემოს. შემოქმედებითი მოღვაწეობის რამდენიმე ათეული წლის მანძილზე თ. ღვინიაშვილმა არაერთი მონუმენტური ნამუშევარი შექმნა, რომლებიც საქართველოს მრავალ ქალაქში, თბილისში (გ. ლეონიძე, ნ. მუსხელიშვილი, ე. ახვლედიანი), ყვარელში (ი. ჭავჭავაძე), ბორჯომში (კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი), გორში (ნ. ბარათაშვილი), საჩხერეში და სხვ. აღიმართა, თ. ღვინიაშვილის სკულპტურული შემოქმედება მრავალფეროვანია. მისი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ძეგლები ხშირად გამხდარან ქებისა და დისკუსიის ობიექტებიც. შედარებით ჩრდილშია დაზგური ნამუშევრები, რომლებიც მრავალფეროვან გრძნობებს გამოხატავენ. დაზგური პორტრეტის ჟანრში ყურადღებას იქცევენ ხელოვანთა პორტრეტები: ცნობილი რეჟისორის ა. წუწუნავას, პიანისტ ე. ვირსალაძის, დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნის ავტორის, კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის, აგრეთვე უნგრელი ქალიშვილის ევას, სსრკ გმირის ვ. პირმისაშვილის და სხვათა გამოსახულებანი. გარკვეული ადგილი მის შემოქმედებაში სპორტისადმი მიძღვნილ კომპოზიციებს უკავია.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ გალერეაში, სხვა მნიშვნელოვან საცავებში. მისი სკულპტურული შემოქმედება ხშირად იყო წარდგენილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ მრავალ გამოფენაზე.

თ. ღვინიაშვილი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო მხატვართა კავშირის მდივანი, მონაწილეობდა ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციის დაფუძნებაში. დიდი ადგილი ეკავა მის ცხოვრებაში პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1955 წლიდან ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1968 წლიდან მიენიჭა პროფესორის წოდება, ხელმძღვანელობდა სახელოსნოს. აღზარდა მრავალი ნიჭიერი შემოქმედი.

მის ცხოვრებაში ერთი შეხედვით არ იყო დიდი ქარტეხილები. შემოქმედებითი წარმატებაც და წარუმატებლობაც თითქოს ერთნაირად მშვიდად აღიქმებოდა. მაგრამ ყველაფრის მიღმა იყო რომანტიკული ისტორია, რომელიც ექსტრემალურ პირობებში ადამიანის კეთილშობილური გრძნობების გამოვლენაზე მეტყველებს, და თენგიზ ღვინიაშვილს სულ სხვა სახით წარმოგვიდგენს. სრულიად ახალგაზრდამ მან დაარღვია ტაბუ და გამოხატა თანაგრძნობა რეპრესირებულთა მიმართ: გადასახლების ადგილზე ჩააკითხა მომავალ მეუღლეს – მშვენიერ თათული მასხარაშვილს, რომლის ოჯახი: დედა, სახელგანთქმული ბაბო დადიანი და ძმა გიორგი, ემიგრანტ ნათესავებთან კონტაქტების ბრალდებით 50-იან წლებში გაასახლეს საქართველოდან.

თენგიზ ღვინიაშვილი თავისი დროის შვილი იყო, კარიერული მიღწევებითა და კომპრომისებით რომ იყო სავსე. მან სცადა მოეძებნა და იპოვა კიდეც საკუთარი ადგილი სივრცეში, XX საუკუნის ქართული ხელოვნება რომ ჰქვია.

საქართველოს
მხატვართა კავშირი

---

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი, მოქანდაკე, ჰუმანიტარული და ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თენგიზ ღვინიაშვილი,

რომლის შემოქმედებითმა მოღვაწეობამ ქართული ხელოვნების ისტორიაში საკუთარი, წარუშლელი კვალი დატოვა. იგი ილვწოდა როგორც ხელოვანი, როგორც საზოგადო მოღვაწე, როგორც პედაგოგი, რომელიც მომავალ თაობას უნერგავდა სიყვარულს და ასწავლიდა პლასტიკურ ხელოვნებას – ქანდაკებას. მის ცხოვრებას და შემოქმედებას ყოველთვის გაგვახსენებენ ივანე ჯავახიშვილის, გოგლა ლეონიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, იაკობ ნიკოლაძის და სხვათა ძეგლები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია აღმართული.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ბატონი თენგიზის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

ვალერი ასათიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება თვალსაჩინო პიროვნების, ხელოვანისა და მოღვაწის

თენგიზ ღვინიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

# ოთარ აბესაძე

გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სახალხო მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, პერსონალური პენსიონერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ოთარ აბესაძე.



წლების განმავლობაში მოღვაწეობდა კომკავშირულ, პარტიულ ორგანოებში. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაისა" და ყოფილი ჩაის მრეწველობის სისტემაში მმართველად, იგი ყველგან განსაკუთრებული და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ასრულებდა მინდობილ სამუშაოს.

წავიდა კიდევ ერთი ქართველი, გაზაფხულის სითბოს ვერ მოესწრო, სამწუხაროდ, თავისი სულის სითბო დაგვიტოვა და სამუდამო ბინა დაიდო ჩვენს გულებში, იგი იყო უნიჭიერესი ორგანიზატორი, ჰქონდა საზოგადო მოღვაწეობის სიბრძნე, ხელმძღვანელობის იშვიათი უნარი, ორგანიზების პრობლემების განსჭვრეტის უტყუარი ალღო, განურისხებელი გული. მან საინტერესო და რთული გზა გაიარა აღსავსე ქვეყნისათვის, მომავალისთვის სასარგებლო საქმის კეთებით, ინარჩუნებდა პიროვნულ ხიბლს და ჯანსაღი ოპტიმიზმის გრძნობას.

მისი წასვლა ამ ქვეყნიდან ტკივილიანი და თავზარდამცემია, ახლა, როცა გიგონებთ, ბატონო ოთარ, ისევ გვტკივა გული, მაგრამ თავზარდაცემა და მონატრება შეცვალა თქვენმა დათესილმა სიკეთემ. უფროსი და უმცროსი მეგობრები ძედს ვიხრით თქვენი ნათელი, მთისწყაროსავით ანკარა ცხოვრების წინაშე. თქვენ ნიმუშს უჩვენებდით ახალგაზრდობას, როგორც კავშირის გამგეობის წევრი, ვაჟკაცურად უმკლავდებოდით ყოველგვარ სიძნელეებს, ეხმარებოდით, რჩევას აძლევდით რაიონულ და პირველად ორგანიზაციებს, სექტორთა თავმჯდომარეებს, თუ როგორ უნდა წარემართათ მუშაობა, მხარში ამოსდგომოდნენ ვეტერან პენსიონერებს, გაეგოთ, თუ რა წვლილი შეჰქონდათ წინა თაობებს ქვეყნის ძლიერებისათვის, მათ უნდა იცოდნენ, თუ ვინ ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით და ვილვწოდით.

წავიდა ჩვენგან ალალმართალი, უღალატო, გულისხმიერი, კეთილი ადამიანი, საქმეზე უზომოდ შეყვარებული. მარადიულ ნათელში ამყოფოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის, ბატონ ოთარის კეთილი სული. უკუნითი უკუნისამდე!

საქართველოს შრომის
ვეტერან პენსიონერთა კავშირისა და თბილისის
საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა

## გახსენება

# თენგიზ სუხიშვილი

სწრაფად გავიდა 40 დღე. თუმცა 40 დღე რა არის იმ 62 წელიწადთან შედარებით, რომელიც გუშინდელი დღესავით გვახსოვს თითოეულ ჩვენგანს. ჩვენ ხომ 1945 წლის პირველ სექტემბერს ყველამ ერთად შევაღეთ ქ. თბილისის პირველი ვაჟთა სკოლის კარი, ერთად ავირბინეთ საფეხურები და თერთმეტი წელი ერთ კლასში, ერთმანეთის გვერდით გავატარეთ.

ჩვენო თენგიზ! შენ სიცოცხლის ბოლომდე გაგყვა ადამიანებისადმი უანგარო დამოკიდებულება, მოყვასის ერთგულება, გაჭირვებულის თანადგომა. ჩვენი ბავშვობის წლების საუკეთესო ურთიერთდამოკიდებულებამ ჟამთა ბრუნვას გაუძლო. ყველანი ვეძებდით თავშეყრის მიზეზს – ხან სკოლაში შესვლას აღვნიშნავდით, ხან სკოლის დამთავრებას. ბოლოს ავადმყოფობის გამო გამოგვაკლდი, ყველა თავყრილობაზე გადღეგრძელებდით, გლოცავდით, ვიმედოვნებდით, რომ შენი ჩვენთან არყოფნა დროებითი იყო, მაგრამ...

ჩვენო თენგიზ! შენი წასვლით ქართული საზოგადოება გაღარიბდა. იშვიათად რომ ვინმეს რგებოდეს წილად ისეთი დიდებული გენი და ქვეყნის სამსახურის მისია, როგორიც შენ მიიღე შენი მშობლებისაგან. შენ ღირსეულად გააგრძელე მათი ტრადიციები. ბევრი სიხარული და სიამაყის წუთები აჩუქე ჩვენს ქვეყანას. არწივივით გაშლილი მხრები განსაკუთრებულ იერს გაძლევდა. ძლიერი რაინდული სული იგრძნობოდა შენს სიარულში, საუბარში, ჟესტიკულაციაში. მართალია, ამ სულმა დატოვა შენი სხეული, მაგრამ საოცრებაა, რომ უკანასკნელ გზაზე მიმავალს ეს იერი ბოლომდე შეგრჩა.

როცა ვსაუბრობთ ადამიანის სულის უკვდავებაზე, ალბათ იგულისხმება, თუ რამდენად ცოცხლობს პიროვნების შემოქმედება ხალხში, ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების ხსოვნაში. შენ ხომ წარუშლელი კვალი დატოვე ყველა ადამიანის მეხსიერებაში, ვისაც შენი „სიმდი" უნახავს, ვისაც შენთვის აღფრთოვანების ოვაციები უჩუქებია, როგორც სახელოვანი ანსამბლის ხელმძღვანელისთვის; შენ მარად დარჩები მეგობრების თუ ახლობლების მახსოვრობაში, რომლებიც შენი სითბოს, ერთგულების და უბრალოდ მართალი კაცის ცხოვრების მოწმენი ყოფილან.

ჩვენ ვიცით, რომ რაც დრო გავა, სულ უფრო მოგვაკლდები, მოგვენატრები. შენთან ურთიერთობას ვერაფერი აგვინაზღაურებს. ვართ იმ იმედით, რომ შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილი და შვილივით ნაზარდი „სუხიშვილების ანსამბლი" გააგრძელებენ სიცოცხლეს... და შენი და შენი მშობლების სიცოცხლეც გაგრძელდება.

კლასელები

---

იუზა აბესაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი

ოთარ აბესაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და აბესაძეების საგვარეულოს.

---

კომპანია „მარტინ ბაუერის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი მეცნიერის, ჩაის დარგის თვალსაჩინო ხელმძღვანელის, ღირსეული მამულიშვილის, ბატონ

ოთარ აბესაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

შვილი ირაკლი ფაღავა, რძალი ლარისა, შვილიშვილები ელიკო, ირაკლი, დეა, შვილთაშვილები ჯეიმსი, ჯერარდი, გუკა, ეკატერინე, სანდრო, ძმა ავთანდილი, ძმისწულები ნუგზარ, თენგიზ, ნანი, მანანა, მიხეილ შოშიაშვილები ოჯახებით, სიძეები: სტივენ სმიტი, გიორგი არაყიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე მიხეილის ასული
შოშიაშვილი-ფაღავა

პანაშვიდი 3, 4 V, 17 სთ. რჩეულიშვილის ქ. №8. გამოსვენება 5 V ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოძ 15 სთ.

---

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება თვალსაჩინო მეცნიერისა და უკეთილშობილესი პიროვნების, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ

არჩილ ასათიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

შვილი სვეტლანა აფშილავა, შვილიშვილები ბიძინა, ლევანი, მიშა მგალობლიშვილები, სიძე შალვა მგალობლიშვილი, დისწული გივი იოსელიანი, რძლები თამრიკო უგულავა, სოფო მასხულია, შვილთაშვილები, მძახლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაისა ბესარიონის ასული
ქირია-აფშილავა

პანაშვიდი 3, 4 V, 17 სთ. გამოსვენება 5 V, 2 სთ. მისამართი: ახვლედიანის (პეროვსკაიასძ ქუჩა №13.

№ 84. ხუთშაბათი, 3 მაისი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



აქციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს წერეთლის გამზირზე, დიდუბის ეკლესიასთან, სადაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა 19 წლის ამირან რობაქიძე მოკლეს.

აქციის მონაწილეებს გამოფენილი ჰქონდათ პლაკატები, აგრეთვე, ქალაქის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსის მერაბ ბალათურიასა და კრიმინალური პოლიციის უფროსის ირაკლი ქადაგიძის ფოტოები.

აქციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პირები დამნაშავე პოლიციელებს მფარველობენ.

## ადამიანი დროში

# ჩემი პირველი ხელმძღვანელი...

**დავინახავ და მიხარია, რომ ჯერ კიდევ მხნედ დააბიჯებს ჩემი პირველი ხელმძღვანელი. შემხვდება ქუჩაში და გავაბამთ საუბარს. მიკვირს, ამხნის კაცს მისხალ-მისხალ რომ ახსოვს ყველაფერი...**

კარგა ხნის წინათ სამსახურის მაძიებელმა ოცდაერთი წლის ბიჭმა მივაკითხე. მიღების დღე ჰქონდა. ჩემი რიგიც მოვიდა. კაბინეტში საშუალო ტანის ძალიან სიმპათიური კაცი დამხვდა. ოფიციალური ტონით რამდენიმე შეკითხვა მომცა. ავუხსენი ჩემი მდგომარეობა: რომ მყავდა მეუღლე, შვილი. დაკვირვებით მიყურებდა. მერე კადრების უფროსი გამოიძახა, ჩემს განცხადებას რაღაც წააწერა და გადასცა...

ერთი თვის შემდეგ ტელევიზიის კომიტეტის თანამშრომელი გავხდი. მისი ხელმძღვანელობით ოცი წელი ვიმუშავე. ომში გამობრძმედილი კაცი მკაცრი უფროსი იყო. სინამდვილეში კეთილი და ალერსიანი. მისი „გაფუჭებული" თანამშრომელი არსად შემხვედრია. ხშირად გვსჯიდა, მაგრამ მადლობის გამოცხადებასაც არ ავიწყდებოდა. თვითონ სპეტაკი პიროვნება უსაქციელობას არავის ჰპატიობდა. მერე ჩვენი გზები გაიყარა, იგი ერთ-ერთი საპატიო უწყების მინისტრად გადაიყვანეს. ყველას გული დაგვწყდა. ხშირად ვიგონებდით, როგორც სამართლიან და კარგ კაცს... კარგა ხანია ერთ უბანში ვცხოვრობთ. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. ათას რამეზე ვსაუბრობთ. ვიხსენებთ ერთად გატარებულ წლებს. თანამშრომლებს, ცოცხლებსაც და წასულებსაც.

ამ დღეებში შემხვდა. გულწრფელად გადავკოცნე. მისი მრავალსულიანი ოჯახი მოვიკითხე. ამოიოხრა, დავბერდი ოთხმოცდაათს მივუკაკუნეო. მეც სამოცდაათს გადავაბიჯე-მეთქი, ვუთხარი. ბიჭო, შენც, შებერებულხარო, ღიმილით მითხრა და მხარზე ხელი მომითათუნა. დავემშვიდობე. თვალი გავაყოლე. მიდიოდა ნელი ნაბიჯით, დამშვრალი, შრომაში დახარჯული წესიერი კაცი და თან მიჰქონდა კრიალოსანივით აკინძული თავისი წლები...



არ ვიცი, ბატონ კარლო გარდაფხაძეს სწამს თუ არა ღმერთი. უფალი დიდია. იმედია, რომ კიდევ დიდხანს აცოცხლებს კეთილ და უანგარო კაცს ამ ქვეყნად.

**ზაურ გომართელი**

## ინფორმაცია

### სისხლიანი სპეცოპერაციის წლისთავი

**სანაპიროზე, კორტებთან 2006 წლის 2 მაისის სპეცოპერაციისას დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის მშობლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ამირან რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის მშობლები და ოჯახის წევრები შეიკრიბნენ.**

მათი განცხადებით, შეკრების მიზანი იყო, საზოგადოებისთვის შეეხსენებინათ ზუსტად ერთი წლის წინათ სანაპიროზე მომხდარი სისხლიანი სპეცოპერაციის შესახებ.

### რა ბედი ეწევა მე-9 საავადმყოფოს?

**კონსერვატიული პარტიის წევრი კახა კუკავა მე-9 საავადმყოფოს პრივატიზებასთან დაკავშირებით მთავრობის ერთიანი პოზიციის დაფიქსირებას ითხოვს.**

როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კახა კუკავამ განაცხადა, მას აქვს ინფორმაცია, რომ №9 საავადმყოფოსთან მიმართებაში ეკონომიკური განვითარებისა და კულტურის სამინისტროებს განსხვავებული პოზიციები აქვთ.

კუკავას თქმით, საპრივატიზაციო დათქმაში საერთოდ არ არის ნახსენები, რომ №9 საავადმყოფოს განსაკუთრებული სტატუსი აქვს.

კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა კი აღნიშნა, რომ აუცილებლად დაუკავშირდება ორივე უწყებას და დეპუტატებს პასუხს აცნობებს.

**ინტერპრესნიუსი**

## გვემრავლოს!

### რამდენი ქართველიც იბადება, იმდენად მაღლდება სვეტიცხოველი

**თბილისის მე-2 სამშობიარო სახლში, როგორც უფროსმა მედდამ მანანა ხვედაშვილმა გვაცნობა, აპრილის თვეში 66 ბავშვი დაიბადა, მაისი კი ვაჟიანობით დაიწყო.** მცხეთის რაიონის სოფელ დილომში მცხოვრებ ელზა მძევალიშვილს პირველ მაისს ბიჭი შეეძინა. ბავშვი 2 კილოსა და 750 გრამს იწონის. მანანა ხვედაშვილმა ისიც გვითხრა „საქართველოს რესპუბლიკა" გამოწერილი გვაქვსო. ჩვენთან მოლოგინებული ქალების მეუღლეები თქვენს გაზეთს ჯიხურებში ეძებენო.

ამბობენ, რამდენი ქართველიც იბადება, იმდენით მაღლდება სვეტიცხოველი და კარგია, რომ მასში მძევალიშვილების ვაჟიც იგულისხმება. ხშირად ხმიანობდეს საქართველოში ბიჭიანობის გადაძახილი...

**ნათელა ფაილოძე**

## ლარის კურსი

**3 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,9574 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6890 ლარი |
| ევრო | 1 | 2,3033 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0658 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9537 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4731 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3719 ლარი. |

## კადრი



## ანეკდოტები

**ცოლი საუზმისთვის ტაფამწვარს ამზადებს. უცებ სამზარეულოში მიხო შემოვარდება.**

**— ფრთხილად, — ყვირის გამწარებული, — ფრთხილად! მეტი ზეთი დაასხი! ღმერთო ჩემო, შენ ძალიან ბევრ კვერცხს წვავ ერთად, ძალიან ბევრს! გადააბრუნე, დროზე გადააბრუნე-მეთქი, ჩქარა, თორემ დაგეწვება! მეტი ზეთია საჭირო! ღმერთო, გადააბრუნე, ახლავე გადააბრუნე! ზეთია საჭირო, სად ვიშოვოთ ზეთი? ახლა ტაფა მიიწვავს! აი, შენ არასოდეს მიგდებ ყურს, როცა ტაფამწვარს ამზადებ! არასოდეს! შენ რა, გაგიჟდი? ფსიქიატრიულში ხარ წასაყვანი, კაცი ვერ უნდა დაგელაპარაკოს? მარილი მოაყარე, არ დაგავიწყდეს მარილის მოყრა! სულ გავიწყდება მარილის მოყრა! გამოიყენე მარილი, მოაყარე მარილი! მა-რი-ლი!**



**— რა გემართება, კაცო, დღეს, — გაკვირვებული უყურებს ცოლი მიხოს. — შენი აზრით, ელემენტარული ერბო-კვერცხის მომზადებაც არ შემიძლია?**

**— არაფერიც, — დინჯად უხსნის მიხო, — მინდოდა მეჩვენებინა, რას ვგრძნობ და განვიცდი, როდესაც საჭესთან მჯდომს მანქანაში მიზიხარ.**

* * *

**პატარა მიხოს დაკვირვებიდან: თუ მამა დედიკოს ოხუნჯობაზე იცინის, ესე იგი, სახლში სტუმრები არიან.**

* * *

**— ჩემთვის მუდამ ავტორიტეტი იყო მამაჩემის შავი ქამარი.**

**— კარატეში?**

**— არა, საჯდომზე.**

* * *

**მიხო სალამოობით დურბინდით უყურებს მოპირდაპირე კორპუსში მცხოვრებ სტუდენტ გოგოს.**

**ერთხელაც მასთან ტელეფონი რეკავს და ყურმილში ქალის ხმა ისმის:**

**— არ დაგინახავს, წუხელ კოლგოტკები სად დავაგდე?**

* * *

**არასოდეს აიღოთ ბოლო კატლეტი ტაფიდან: ერთი კატლეტი მაინც ვერ დაგანაყრებთ, ტაფა კი გასარეცხი გაგიხდებათ.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში".
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.